წლიწადი მეექვსე

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
და სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა, 10—11 ს.
ტელეფონები:) რედაქტორის 14—76
) მდივანის 10—58
ღამის მორიგეს 13—80

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 34;
ტელეფონი № 10—49
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის 90 კ., დანარჩენებისათვის—1 მან. და 20 კაპ., განცხადებები: ნონპარელის სტრიქონი—40 კაპ., ტექსტში—ორჯერ მეტი, სამგლოვიარო —10—15—20 მან. დოკუმენტების დაკარგვა—1 მ., განცხადებების მიღება სწარმოებს შუადღის 4 საათამდე.
სტამბის ტელეფონი 13—80
ექსპედიციის 5—48.

დ ღ ი უ რ ი

- იაპონიაში დიდი მიწისძვრა მოხდა.
- ამხ. რაკოვსკი დაბრუნდა პარიზში.
- ამერიკელი პროფ. კამერერი იკვლევს პოლონეთის ფინანსებს.
- მექსიკაში იმართება დიდი დემონსტრაციები სამღვდელოების წინააღმდეგ.
- მელონს თათბირი ჰქონდა იტალიის ფინანსთა მინისტრთან.
- კუნძულ ხიტილენთან დაიღუპა ოსმალეთის გემი.
- ვარშავაში სასიკვდილოთ დასჭრეს პოლონელი მოღვაწე მიხ. სურინი.
- უნგრეთში ძლიერ აშინებთ საბჭ. კავშირის პურის კონკურენცია.
- ამუნდსენის დირიჟაბლის უფროსი ნობილე დაბრუნდა რომში.

პარასკევი, 6 აგვისტო 1926 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 177 (1722)

„კომუნისტი“
გრძელდება ხელისმოწერა
აგვისტოსათვის
კანტორა—რუსთაველის პროსპ. № 34, ტელეფ. № 10—49

ცეკას პლენუმი საბინაო კრიზისის შესახებ

ის ფაქტი, რომ საბინაო აღმშენებლობის საკითხზე საკმაოდ ვრცლად შეჩერდა საკავშირო კომპარტიის ცეკას უკანასკნელი პლენუმი, თავისთავად გულისხმობს, რომ ჩვენი მეურნეობის ამ დარგს უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება, იმ დაბრკოლებათა თავიდან ასაცილებლად, რომელთაც ადგილი აქვთ დღეს ბინის კრიზისთან დაკავშირებით.

რამ შექმნა ბინის ასეთი სივიწროვე საბჭოთა კავშირის თითქმის ყველა რამდენადმე მნიშვნელოვან ქალაქებში თუ სამრეწველო რაიონებში? მიზეზები აქ მრავალნაირია. პირველ ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ უკანასკნელ ათი წლის განმავლობაში მუშათა კლასი ბევრათ გაიზარდა კულტურულად. მისი დღევანდელი ყოფა-ცხოვრების მოთხოვნილებანი გაცილებით წინ უსწრებს ადრინდელ მოთხოვნილებებს. ბინის კეთილმოწყობას ამ მოთხოვნილებათა შორის ერთი მთავარი ადგილი უჭირავს.

ამავე დროს, სწორედ ამ ხნის განმავლობაში, საბინაო მშენებლობას დიდი ნაბიჯი არ გადაუდგამს წინ. რატომ?—ეს ყველასათვის გასაგებია. მაგრამ, საქმე ისაა, რომ ის მთავარი მიზეზები, რომელიც წინ ეღობებოდენ საბინაო აღმშენებლობას (იმპერიალისტური და სამოქალაქო ომები) დღეს აღარ არსებობენ. ჩვენ კარგა ხანია ფეხი შევსდგით გაცხოველებულ სამეურნეო აღმშენებლობაში. მიუხედავად ამისა საბინაო აღმშენებლობის საქმეში ყველაფერი მოწესრიგებული არაა.

ზარალი კი, რომელსაც აყენებს ჩვენს მრეწველობას უბინაობა, აუწერელია. ცხადია, რომ ნათელი და მშრალი ბინა ისეთივე აუცილებელი პირობაა მუშა-მოსამსახურის უნაკლო მუშაობისათვის, როგორც ნორმალური ჭამა-სმა. ამიტომ მუშათა ბინების იმ „კატასტროფიულ“ (პლენუმის რეზოლიუციის გამოთქმაა) მდგომარეობის პირობებში, რომლის მოწმენიც დღეს ჩვენ ვართ, შეუძლებელია შრომის ნაყოფიერების იმდენად აწევა, როგორც ეს სხვა პირობებში იქნებოდა შესაძლებელი.

ამას გარდა ბინის სივიწროვე დიდ დაბრკოლებას წარმოადგენს მუშათა კლასის კულტურულ განვითარებისათვის. უბინობა წინ ეღობება ახალი ყოფა-ცხოვრების, საბჭოთა საზოგადოებრივობის განმტკიცების საქმეს. უბინობა წარმოადგენს საუკეთესო ნიადაგს ინფექციური სნეულებათა გავრცელებისათვის, უბინობა აძლიერებს სხვა ავათმყოფობასაც და ამნაირად იწვევს სიკვდილიანობის ზრდას.

დღევანდელი საბინაო აღმშენებლობა ბევრად ვერ აუდის მოთხოვნილებას. ცეკას პლენუმის რეზოლიუციაში ჩვენ ვპოულობთ ამ მოვლენის შემდეგნაირ ახსნას:

„საბინაო კრიზისის თანდათანობითი გაძლიერების მიზეზებია: ბინების ნგრევის პროგრესიული ზრდა დაბალ საბინაო ქირის გამო; საბინაო აღმშენებლობის საქმის მოუწესრიგებლობა და საბინაო აღმშენებლობის ფონდის დასაარსებლად მუდმივი წყაროების უქონლობა“; ამას გარდა რეზოლიუციაში ჩამოთვლილია უფრო მცირე მნიშვნელობის დაბრკოლებები, როგორც მაგალითად: საალმშენებლო მასალების დამზადების მოუწესრიგებლობა; მუშათა ბინების იაფ და რაციონალური ტიპის უქონლობა; საალმშენებლო ორგანიზაციათა უვარგისი მუშაობა და სხვანი.

ამ მიზეზებიდან, რომელნიც აღნიშნულია პლენუმის დადგენილებაში, თავისთავად ისახება ის ღონისძიებანი, რომელნიც უნდა გატარებულ იქნან ცხოვრებაში ბინის სივიწროვის დასაძლევათ. ესენია: ბინის ქირის იმდენად გადიდება, რომ შემოსავალი ფარავდეს საამორტიზაციო ხარჯებს და შესაძლებელს ხდიდეს სახლის მდგომარეობის გაუმჯობესებას. ამასთანავე უნდა შექმნილ იქნას მუდმივი ფონდი მუშათა საბინაო აღმშენებლობისათვის. ამ ფონდის სახსარს უნდა შეადგენდეს: წარმოების მოგებათა ანარიცხების ბიუჯეტით გათვალისწინებულ ასიგნობები, სახელმწიფო დაზღვევის წმინდა მოგება და სხვა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საბინაო აღმშენებლობის წარმატებით განვითარებისათვის საჭიროა გაფართოებული და გაადვილებული იქნას იმ ორგანიზაციების საკრედიტო დახმარება, რომელნიც უშუალოდ განაგებენ საბინაო აღმშენებლობის საქმეს. ეს გაადვილება გულისხმობს ერთი მხრივ კრედიტის ვადის გაგრძელებას და მეორე მხრივ საპროცენტო ანარიცხების შემცირებას.

საბინაო აღმშენებლობის განვითარებისათვის არანაკლები მნიშვნელობა აქვს იაფ და კეთილმოწყობილ სახლის ტიპის გამომუშავება-გავრცელებას. წარსულ საალმშენებლო წლის განმავლობაში, საბჭოთა კავშირის 22 სხვადასხვა ქალაქებში, მოსკოვისა და ლენინგრადის გამოკლებით, აშენებულია 94,3 პროც. ერთ სართულიანი სახლები, 5,4 პროც. ორსართულიანი და 0,3 პროც. მრავალსართულიანი (უმთავრესად სამსართულიანი) სახლები.

ეს ცნობები აშკარად მოწმობენ, თუ რამდენად მიზანშეუწონლად სწარმოებს აღმშენებლობა საბჭოთა რესპუბლიკებში. წვრილი და ცალ-ცალკე შენობები გაცილებით უფრო ძვირი ჯდება, ვიდრე შენობა იმდენივე საცხოვრებელი მოედანით, რამდენიც ამ ცალკე სახლებში იქნება. ზოგიერთები თითქოს შიშს გამოსთქვამენ, რომ დიდ და მრავალსართულიან სახლებს ჩვენ ამერიკანიზმამდე მივყევართო, მაგრამ გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ ეს შიში მოკლებულია საფუძველს.

ჯერ ერთი ჩვენ კიდევ დიდი მანძილი გვრჩება ამერიკულ საალმშენებლო ტეხნიკის მიღწევამდე; მეორეც ცხოვრების ცუდი პირობები იმდენად დამოკიდებული არაა სახლის სიდიდე-სიპატარავეზე, რამდენადაც შენობის კეთილმოწყობაზე. ამიტომაა, რომ ცეკას პლენუმი უარყოფს მუშათა სახლების დაქუცმაცებას და იძლევა გარკვეულ დირექტივას: „აღებული იქნას კურსი მუშათა ბინების უფრო დიდი საზომით აღმშენებლობისაკენო“.

ასეთია მოკლეთ ცეკას უკანასკნელი პლენუმის მთავარი დავალებანი საბინაო აღმშენებლობის დარგში. ჩვენმა სამეურნეო, საზოგადოებრივ და ადმინისტრატიულ ორგანოებმა უნდა შეიგნონ ამ დავალებათა მთელი მნიშვნელობა, და გადამჭრელი ზომები უნდა მიიღონ პლენუმის დირექტივების ცხოვრებაში გასატარებლად.

◆

ინდუსტრიალიზაციის გზაზე

(„პრავდა“-ს მოწინავე)

მე-14 პარტიულმა ყრილობამ პარტიისა და მუშათა კლასის წინაშე დააყენა წარმოების საშუალებათა წარმოების ისეთი განვითარების ამოცანა, რომელმაც უნდა უზრუნველჰყოს ინდუსტრიალიზაციის შესაძლებლობა და ამავე დროს მოსპოს ჩვენი დამოკიდებულება ამ წარმოებაში უცხოეთის კაპიტალისაგან. ლითონის მრეწველობა, რომელიც წარმოების საშუალებათა წარმოების დარგია, ყრილობის ამ დადგენილების მიხედვით ჩვენი ინდუსტრიალიზაციის მოძრაობის ნამდვილი საზომია.

გეგმაშეზომილი ინდუსტრიალიზაციის შესაძლებლობის შესაქმნელად, ლითონის მრეწველობამ უნდა დაამზადოს წარმოების საშუალებანი მრეწველობისათვის, სასოფლო მეურნეობისათვის და ტრანსპორტისათვის იმ რაოდენობით, რომელიც განსაზღვრულია ამ დარგების ურთიერთ დამოკიდებულებით, და თავის განვითარებაში რამდენადმე უნდა გაუსწროს წინ მთელი სახალხო მეურნეობის ზრდის საერთო ტემპს. ლითონის მრეწველობის განვითარების ჯამობრივი ციფრები ორი უკანასკნელი წლის განმავლობაში, მრეწველობის საერთო მოძრაობასთან დაპირდაპირებული, ჩვენი წარმატების საუკეთესო მაჩვენებელია. მაშინ, როდესაც მთელი მრეწველობა გაიზარდა 62 და 40 პროცენტით, ლითონის მრეწველობა—100 და 67 პროცენტით.

ყველაზე უფრო სწრაფი იყო სასოფლო-სამეურნეო მანქანების წარმოების განვითარება, რომელმაც უკანასკნელი 2 წლის განმავლობაში 25 პროცენტით მომატება. უკვე ამ წელში ომამდე არსებული წარმოების ციფრები უკან რჩება და მომავალი წელი, მიუხედავად ცალკე ქარხნების მეტად დიდი დატვირთვისა, მოგვცემს საშუალებას გავადიდოთ მისი წარმოება 40 პროცენტით. სოფლისათვის მანქანების მიწოდების პოლიტიკა, რომელიც ტარდება მანქანების განაწილების დროს და რომელიც ქმნის მუშათა კლასისათვის დასაყრდენს სოფელში, ამ ზრდის ციფრებთან ერთად გვაძლევს ნათელ სურათს მუშათა კლასის ღონისძიებათა, რომელიც მიმართულია ქალაქისა და სოფლის კავშირის განმტკიცებისაკენ. სოფლისა და ქალაქს შორის საქონლის გაცვლა-გამოცვლის ზრდისა და მძიმე ინდუსტრიის აღორძინების გამო, მეტად სწრაფად ძლიერდება ტრანსპორტის მუშაობა, რომელიც ორი წლის განმავლობაში ტვირთის გადატანის მხრივ ომამდე არსებულ დონეს აღწევს, ხოლო სამგზავრო მატარებლების მოძრაობის მხრივ კი ამ დონეს აღემატება. მეფის მთავრობის მტაცებლურმა პოლიტიკამ ტრანსპორტის დარგში და სამოქალაქო ომის ნგრევამ, განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობა შექმნა რკინისგზებისათვის, რომელიც სახელმწიფოს მხრივ მოითხოვს დიდ თანხებს და ლითონის მრეწველობის დიდ მუშაობას, რომ ტრანსპორტი ჩვენი საერთო განვითარების დამაბრკოლებლად არ გადაიქცეს.

ამ მხრივ ლითონის მრეწველობა დიდ წარმატებებს აღწევს: ორი წლის განმავლობაში მან ორჯელ უფრო გაადიდა ტრანსპორტის ძირითადი კაპიტალის შევსება ლითონით.

ასეთი ზრდა განსაკუთრებით თვალსაჩინოა იმ პირობებში, რომ ახალი ორთქლმავალების გამოშვება, რომელიც მეტად ძნელია ლითონის მრეწველობის ქარხნებისათვის, მომავალ წელში ომამდე არსებული რაოდენობის 85 პროც. მიაღწევს.

ამავე დროს რონოდების სრულიად შეჩერებული წარმოება ჩქარი ნაბიჯით იწყებს აღდგენას და მომავალ წელში ჩვენ გამოვუშვებთ 11—15,000 ახალ რონოდას.

იზრდება აგრეთვე საწარმოო საშუალებათა წარმოება მრეწველობისათვის, სწრაფად ვითარდება არა მარტო ომამდე მოწესრიგებული, არამედ მასთან ერთად იზრდებიან ისეთი დარგებიც, რომლებიც ან სავსებით არ არსებობდენ ან და განადგურებული იყვნენ. ორი წლის განმავლობაში ჩვენ მოვაგვარეთ ორთქლის ტურბინების აშენების საქმე, გავადიდეთ ომის წინა დრომდე არსებული სამრეწველო ტურბინების წარმოება, ქვაბების გამოშვება, დაზგებისა და სხვ. ამავე დროს მოვაწესრიგეთ ტრაქტორების საალმშენებლო საქმე; ამ წელში შეგვიძლია 2000 ტრაქტორის გამოშვება, სრულიად ახალ საფუძველზე დავაყენეთ ავტომობილების კეთების საქმე და ამ წელში პირველად გამოუშვით 350 ცალი, მომავალში კი შეგვიძლია ორჯერ გავადიდოთ ეს რიცხვი. უდიდეს სიძნელეთა გადალახვა შევძელით აგრეთვე საჰაერო ფლოტის აღმშენებლობის საქმეში. ჩვენი ჰაეროპლანები დღეს კონკურენციას უწევენ უცხოეთის ჰაეროპლანებს, თუმცა იქ მათი წარმოება გაცილებით ადრე დაიწყო. ნაციონალურ რესპუბლიკებში, მაგ. კაზაკისტანში და ამიერ-კავკასიაში გაიზარდა ფერად ლითონების წარმოება, ალტაიზე სრულიად ახალი წარმოებები იზრდება. მიმდინარე წლიდან მომავალ წელში გადასვლის დროს ჩვენ შევქმნით ლითონის წარმოების განსაზღვრულ ტემპს. მაშინ, როდესაც მთელი წარმოება ანვითარებს თავის პროდუქციას 15—17%-ით სასოფლო-მეურნეობა აღწევს 12%-ს, ლითონის მრეწველობა—კი გაადიდებს თავის პროდუქციას 22%-ით. ამასთანავე, ის დაბრკოლებები, რომლებიც ამ საქმეს ეღობებიან წინ, გაცილებით უფრო დიდია, ვიდრე წინა ორი წლის განმავლობაში არსებული დაბრკოლებები ძირითადი კაპიტალი სავსებით ამოწურულია ქარხნები 100%-ზე მეტადაა დატვირთული ომის წინ დროსთან შედარებით. მაგრამ შემდეგი განვითარება უნდა ხდებოდეს წარმოების საგრძნობი გაიაფებისა და რაციონალიზაციის აუცილებელ პირობებში. ახალი ლითონის ქარხნების აგების ვადა საგრძნობლად ხანგრძლივია, დაახლოვებით 3—5 წელს უდრის.

ეხლავე უნდა გავითვალისწინოთ მომქმედი ქარხნების ძირითადი გადაკეთების აუცილებლობა და ახლის აშენება, რომ უახლოეს წლებში ჩვენი სახალხო მეურნეობა არ განიცდიდეს ლითონის ნაკლებობას. სამოქალაქო ომის პერიოდში მთელი სახალხო მეურნეობის დანგრეული ძირითადი კაპიტალის აღდგენის აუცილებლობა აიძულებს სახელმწიფოს განუწყვეტელი დეფიციტი იქონიოს ლითონის წარმოების საქმეში. 1926—27 წლებში წინასწარი ვარაუდის ანგარიშით ეს დეფიციტი უდრის უდიდეს თანხას — 200 მილიონ ომის წინა დროინდელ მანეთს. ლითონის წარმოება დღემდისაც იყო პარტის განსაკუთრებული ყურადღების საგანი. ამ დარგის წარმოებისათვის იხარჯებოდა იმ თანხის უდიდესი ნაწილი, რომელსაც აგროვებდა აღორძინების გზაზე შემდგარი ჩვენი ქვეყანა. მიმდინარე წელში ლითონის წარმოებაში დაბანდებული თანხა უკვე 180 მილ. მანეთს შეადგენს.

მომავალ წელში ეს რიცხვი კიდევ უფრო უნდა გაიზარდოს, დაახლოვებით 230 მილიონ მანეთამდე უნდა მიაღწიოს. ამ წელში დაიწყო ახალი ქარხნების აშენება, მომავალ წელში უნდა შეუდგეთ კიდევ უფრო მეტი ქარხნების აგებას. პირველ რიგში ჩვენ შეუდექით სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და ტრაქტორების ქარხნებისა და ამერიკული ტიპის მეტალურგიული დიდი ქარხნების აგებას. საქმიანი მუშაობა მომჭირნეობის რეჟიმის დარგში და ადმინისტრატიული ხარჯების უკიდურესი შემცირება საშუალებას მოგვცემს, რომ მომავალ წელში უზრუნველვყოთ ლითონის მრეწველობისათვის საჭირო საშუალებანი. პირველ რიგში მელითონე მუშებმა და ლითონის სამეურნეო მუშაკებმა უნდა იზრუნონ ამისათვის.

1925—26 წელი, უდიდეს სამეურნეო მიღწევათა წელი, დიდ დაბრკოლებებთან ერთად, გამოცდილების შეძენის წლად გახდა. 1926—27 წელი უდიდესი პრაქტიკული მუშაობის წელი უნდა იყოს ამ წელში ადგილი აღარ უნდა ქონდეს იმ შეცდომებს, რომლის შესახებაც ლაპარაკობდა თავის უკანასკნელ სიტყვაში ამხ. ძერჟინსკი, როცა მან ჩვენი უყაირათობის მაგალითი მოიყვანა. ეწევა რა ყოველი კაპეიკის მომჭირნეობას, პარტიამ და მუშათა კლასმა იციან თუ როგორი მიმართულება უნდა მისცენ მომჭირნეობით შეგროვილ თანხებს. წარსული წლების გამოცდილება ამის საუკეთესო თავდებია.

მოსკოვი, 5 აგვისტო
(გადმოცემულია ტელეგრაფით)

◆

გაფიცულების წინააღმდეგ შეთქმულთა ბრბო

მემაღაროების საერთაშორისო ფედერაციას ორი დღის განმავლობაში სხდომები ჰქონდა პარიზში. ინგლისელ მემაღაროების ფედერაციის ბიუროს ოთხმა წევრმა, სმიტმა, კუკმა, რიჩარდსმა და რიჩარდსონმა ბრძოლის ასპარეზზე დასტოვეს მილიონი ინგლისელი მემაღაროე და ლამანშის სრუტე გადმოლახეს, რათა აქ გერმანიისა, საფრანგეთისა, ამერიკისა, ბელგიისა და ჩეხო-სლოვაკიის მემაღაროების წარმომადგენლებს შეხვედროდნენ.

რა იყო მათი მიზანი? მათ უნდოდათ ერთი მხრით ფინანსიური დახმარების ღება, მეორე მხრით ქვანახშირის იმპორტის შეჩერება ევროპის კონტინენტიდან ინგლისში.

შესძლეს თუ არა მათ ამ ორმაგი დახმარების მიღება, რომელიც საჭიროა იმისთვის, რომ დამშეულმა და არაქათ გამოლეულმა ინგლისელმა მემაღაროებმა გამარჯვებას მიაღწიონ?

სამწუხაროთ, როგორც სჩანს მემაღაროების ინტერნაციონალი, დახმარების მაგივრად, ემზადება ჩასძროს ინგლისელ მემაღაროების ბრძოლა. მე უყოყმანოთ როდი ვურდგენ ამ ბრალდებას მემაღაროების ინტერნაციონალს. მაგრამ როგორია ულმობელი ფაქტები?

1. ქვანახშირის წარმოება არსად არ შეუზღუდავთ. არსად გაფიცვა არ გამოუცხადებიათ. პირიქით, უნდა ითქვას, ზოგიერთ ქვეყანაში, განსაკუთრებით პოლონეთსა და გერმანიაში ქვანახშირის წარმოება დღეს ბევრად დიდია, ვიდრე ოდესმე ყოფილა. ეს არ არის საერთაშორისო სოლიდარობა. ეს ინტერნაციონალური შტრეიკბრეხერების ყოფაქცევაა.

2. მემაღაროეთა ინტერნაციონალის მდივანი, ფრანკ ჰოჯსი, პარიზის კონფერენციაზე იცავდა სამუშაო დღის გაგრძელების იდეას. ის პირველია ტრედ-უნიონების ბელადებს შორის, რომელიც ამ თეზისს მიემხრო. თუმცა სექციებმა კატეგორიულად უარჰყვეს ფრანკ ჰოჯსის მოსაზრებანი, მაგრამ მოსალოდნელია, რომ ფაქტიურად ისინი მხარს დაუჭერენ მის პოლიტიკას. ისინი ხელს შეუწყობენ სამუშაო დღის გადიდების კამპანიას. არც ეს ჩაითვლება საერთაშორისო პროფკავშირული სოლიდარობის ნიმუშათ! პირიქით, ეს არის საერთაშორისო შეთქმულება სამუშაო დღის გასაგრძელებლად.

3. კუკი მუდამ ამტკიცებდა, რომ შენარჩუნებული უნდა იქნას არსებული ხელფასი და სამუშაო დღის ხანგრძლივობა და განხორციელდეს ყველა მშრომელთა საერთო ფრონტი. მაგრამ მემაღაროების ინტერნაციონალი როდი გაჰყვა კუკს; პირიქით, მან გაახშირა იერიშები მის წინააღმდეგ, ხოლო მისი სახით მან ზიანი მიაყენა მილიონ ინგლისელ მემაღაროების გმირულ ბრძოლას. მემაღაროების ინტერნაციონალმა ფეხით გასთელა პროფკავშირული ერთობა და ამავე დროს ქურდულად მახვილი ჩასცა თავგამოდებულ მემაღაროებს, მათ ცოლებსა და შვილებს, რომელნიც დღეს გაფიცულნი არიან. განა ეს არის პროფკავშირული ერთობა? არა, ეს მუშათა მოძრაობის განმანადგურებელთა საერთაშორისო კრებაა.

4. საბჭოთა კავშირის მემაღაროებმა და მშრომელებმა დამხმარე ხელი გაუწოდეს ინგლისელ მემაღაროებს და ას მილიონ ფრანკზე მეტი გაუგზავნეს. ეს თანხა ათჯერ აღემატება იმ დახმარებას, რომელიც ევროპის ყველა პროფკავშირებმა გაგზავნეს ერთად. ეს არის ნამდვილი დაურღვეველი კავშირი, რომელიც საბჭოთა კავშირის და ინგლისის მშრომელებს შორის გაიჭედა. მაგრამ საბჭოთა კავშირის მემაღაროები მიღებულნი არ არიან მემაღაროების ინტერნაციონალში.

მემაღაროეთა ინტერნაციონალის თავმჯდომარის მოწვევით საბჭოთა კავშირის მემაღაროების თავმჯდომარე, ამხანაგი შვარცი, მოვიდა კონფერენციის სხდომაზე დასასწრებლად. კონფერენციამ ის არ მიიღო წმინდა ფორმალური მოსაზრებებით. საბჭოთა კავშირის მემაღაროებმა გამოააშკარავეს საუცხოვო გრძნობა პროფკავშირული სოლიდარობისა, ამის შედეგი იყო მათ მიერ მიღებული ღონისძიებანი. მაგრამ პროფმოძრაობის ბიუროკრატების კამარილიას აღარ შერჩენია პროლეტარული სინდისის ნატამალი. მემაღაროების ინტერნაციონალი დღეს ერთგვარ „ჯენტლმენების“ კლუბს წარმოადგენს, სადაც პროფმოძრაობის ბიუროკრატები დადიან. ამ „ჯენტლმენებმა“ უარი სთქვეს რუს მემაღაროებთან შეხვედრაზე იმ უგრძნობლობითა და სიმკაცრით, რომელიც ბალდუინს შეეფერება. აგრეთვე კარი ჩაუკეტეს საფრანგეთის რევოლიუციონერ მემაღაროებსაც.

დაე, ინგლისელი მემაღაროები შიმშილით დაიხოცნენ, ეს მათ არ აწუხებთ.

რას ნიშნავს ეს ყოველივე? ეს იმას ნიშნავს, რომ მთელი დედამიწის მემაღაროები დღეს ვალდებულნი არიან რეალური დახმარება მიაწოდონ ინგლისელ მემაღაროებს, რომელთაც უსირცხვილოთ უღალატეს პროფკავშირებში მოკალათებულმა ბიუროკრატებმა.

რ. პაჟ—არნო.

ლორდთა პალატამ მიიღო ნახშირის მრეწველობის რეორგანიზაციის პროექტი

ინგლისმა სამთა-მადნო მუშების გაფიცვის გამო 1.500.000.000 მანეთი იზარალა

ამხ. ლიტვინოვი მიიღო ბრიანმა.—ესტონეთის ყოფ. ელჩის ახალი მამხილებელი წერილი

მოსკოვში ჩავიდა ამერიკელ საზოგადოებრივ და პოლიტიკურ მოღვაწეთა დელეგაცია

საბჭოთა კავშირი და უცხოეთი

საბჭოთა კავშირი მტრის მზვერავებს ვერ შემოუშვებს

ლონდონი, 4 აგვ. იმის გამო, რომ საბჭოთა მთავრობამ ნება არ დართო კანოფილდს საბჭოთა კავშირში შემოსვლისა (ვინაიდან კანოფილდი ბრიტანეთის მისიის წევრი იყო 1918 წელს), გარეშე საქმეთა მინისტრის ამხანაგმა ლოკერ ლემპსონმა განაცხადა, რომ ამის შესახებ რამდენჯერმე თხოვნა გაეგზავნა საბჭოთა მთავრობას, მაგრამ ეს თხოვნა უშედეგოდ დარჩა. ლემპსონმა აღნიშნა, რომ ორივე მთავრობას აქვს უფლება, საკუთარ სახელმწიფოში შესვლის ნება არ დართოს ისეთ პირებს, რომელიც არასასურველ პიროვნებას წარმოადგენს მისთვის.

საბჭოთა პურის შიში

ვენა, 4 აგვ. ჰუნგრეთის მეურნეები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ საბჭოთა პურის ექსპორტს, რადგანაც ეშინიანთ საბჭოთა პურის კონკურენციისა მსოფლიო ბაზარზე. ჰუნგრეთის გაზეთები აღნიშნავენ, რომ თუ საბჭოთა კავშირის პურის ექსპორტმა ომამდე არსებულ ზომას მიაღწია , ჰუნგრეთის სასოფლო მეურნეობა შეიძლება კრიტიკულ მდგომარეობაში ჩავარდეს.

ამერიკა და საბჭოთა კავშირი

ვაშინგტონი, 4 აგვ. საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესის ბიურომ ამ დღეებში გადასცა გაზეთებს ზინოვიევის ერთ-ერთი მოხსენების შინაარსი, რომელშიაც უკანასკნელი ამერიკის შრომის ფედერაციის პოლიტიკას ადარებდა ფაშისტურ პოლიტიკას. ამ ცნობის მიზანია გაამწვავოს ფედერაციის ხელმძღვანელთა ანტისაბჭოთა განწყობილება სწორედ იმ დროს, როდესაც საბჭოთა კავშირში გამგზავრებას აპირობენ რამდენიმე დიდი პროფკავშირების აღმასკომების წარმომადგენელები.

◆

გ ა ფ ი ც ვ ა ი ნ გ ლ ი ს შ ი

ზარალი გაფიცვისაგან

ლონდონი, 4 აგვ. ლონდონის თემთა პალატაში, სემუელმა, მიცემული შეკითხვის საპასუხოდ განაცხადა, რომ მემაღაროელთა გაფიცვით გამოწვეული ზარალი 150.000.000 გირვ. სტერლინგს უდრის. კამათში გამოვიდა ლოიდ-ჯორჯი, რომელმაც აღნიშნა, რომ ინგლისის საგარეო ვაჭრობა, რომელიც გაფიცვის გამოცხადებამდე ომამდე არსებული რაოდენობის 80 %-ს შეადგენდა, ამ სამი თვის განმავლობაში 62 %-მდე შემცირდა.

ლორდებმაც მიიღეს

ლონდონი, 4 აგვ. ლორდთა პალატამ მიიღო კანონპროექტი სანახშირო მრეწველობის რეორგანიზაციის შესახებ. თემთა პალატამ ეს კანონპროექტი უკვე წინათ მიიღო.

◆

ესტონეთის ყოფილ ელჩის მამხილებელი წერილი

ბირკის ახალი გამოსვლა

მოსკოვი, 5 აგვისტო. „იზვესტიას“ 4 აგვისტოს ნომერში დაბეჭდილია საბჭოთა კავშირში ესტონეთის ყოფილ ელჩის ბირკის ახალი წერილი, რომელშიაც იგი ადასტურებს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ პოლონეთის მეთაურობით სამხედრო კავშირის ორგანიზაციის არსებობას.

წერილში ნათქვამია: „პიიპის (ესტონეთის გარეშე საქმეთა მინისტრი) და მის თანამოაზრეთა მისწრაფებანი მიმართულია არა იმისაკენ, რომ საბჭოთა კავშირთან დაიდოს საგარანტიო ხელშეკრულება ან ამისათვის გზები გამოინახოს, არამედ იმისაკენ, რომ ეს საქმე არქივს ჩაბარდეს. რამდენადაც მე ვიცი, პიიპი ამას სჩადიოდა იმისათვის, რომ ამავე დროს საიდუმლო მოლაპარაკებას ეწარმოებიათ სხვა სახელმწიფოებთან და პოლონეთთან, რის შედეგები იყო პოლონეთის გარეშე საქმეთა სამინისტროს აღმოსავლეთის განყოფილების უფროსის იანკოვსკის ცნობილი მოგზაურობა. ამ მოგზაურობის დროს იანკოვსკი იძლეოდა ესტონეთისთვის დამღუპველ წინადადებებს კავშირის დაარსების შესახებ—საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ მთლიანი ფრონტის შექმნის მიზნით. ამ კავშირში პოლონეთს თავისი არძიით უმთავრესი გავლენა უნდა ჰქონოდა და მზრუნველის როლი უნდა ეთამაშა ბალტიის მხარის სახელმწიფოთა ურთიერთობაში. წინასწარი მოსამზადებელ მუშაობას ასეთი კავშირის შექმნისათვის უკვე დიდი ხანია აწარმოებდენ, როგორც ესტონიის, ისე სხვა სახელმწიფოების, თუმცა უპასუხისმგებლო, მაგრამ მეტად გავლენიანი პირები და ჯგუფები. განსაკუთრებით მუშაობდენ ამ მიმართულებით გენერალური შტაბები, რომლებიც თავის წარმომადგენლების საშუალებით იხილავდენ ამ საკითხს ვარშავაში სპეციალურ თათბირზე წარსული წლის დეკემბერში რუმინეთის გენერალური შტაბის წარმომადგენლის მონაწილეობით. ესტონეთის გენერალური შტაბი იმდენად კონსპირატიულად აწარმოებდა თავის მუშაობას, რომ თვით მეც, მაშინდელ გარეშე საქმეთა მინისტრს, არ მაცნობეს ამ თათბირზე განსახილველად დასმული საკითხები; გენერალურმა შტაბმა მაცნობა, რომ განხილულ იქნება უმნიშვნელო ტეხნიკური საკითხებიო. მხოლოდ შემდეგ გავიგე ამ თათბირის ნამდვილი მიზანი. მე შევეცადე შევბრძოლებოდი გენერალური შტაბის ასეთ მოქმედებას, მაგრამ მიზანს ვერ მივაღწიე, ვინაიდან გენერალური შტაბი სარგებლობდა ისეთ პირთა დაცვით, როგორიც იყო პიიპი და სხვანი; მასვე მფარველობდენ უცხოეთის სახელმწიფოები, რომლებიც დაინტერესებული იყვნენ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მთლიანი ფრონტის შექმნაში. ამგვარად, იანკოვსკის წინადადებას დახვდა შემზადებული ნიადაგი; ამ ნიადაგის შექმნა უნდა მიეწეროს გენერალურ შტაბს, რომლის გავლენა ესტონეთის საგარეო პოლიტიკაზე უსაზღვროდ გაიზარდა პიიპის დროს. **ამ პოლიტიკას მე ვცნობ დამღუპველად ესტონეთისათვის და ჩემს მოვალეობად ვრაცხ, რომ გავაფრთხილო ჩემი ხალხი სახიფათო ნაბიჯებისაგან.**

◆

„თავისუფალი“ არჩევნები

სამხრეთ-სლავიაში

ვენა, 4 აგვისტო. სერბიასა, ჩერნოგორიასა და მაკედონიაში მუნიციპალური არჩევნები უნდა მოხდეს. **მთავრობა სცდილობს, რომ უზრუნველყოს უმრავლესობა, რისთვისაც უსაშინელეს ტერორს მიმართავს; მცხოვრებლებს აწამებენ და სტანჯავენ.** ჟანდარმები დადიან სოფლებში და აწამებენ, სტანჯავენ ყველა იმათ, ვინც მთავრობის მოწინააღმდეგედ აცხადებს თავის თავს. ოპოზიციონური პრესა სავსეა ცნობებით, ცემისა და მკვლელობის შესახებ. ასე, მაგალითად, სოფლებში ლიუმანცში და ბულაჩანში ჟანდარმებმა სცემეს ასზე მეტ გლეხს, მათ შორის 8 გარდაიცვალა წამებისაგან; 40 გლეხი სიკვდილის პირსაა. ქალებს ძალდატანებით ნამუსი ახადეს. ლიუბანცის სოფლის მამასახლისი მძიმედ არის დაჭრილი. ცერლიგოვეიას მაზრის უფროსი ფულადი დაჯარიმებითა და დატუსაღებით ემუქრება ყველა იმათ, ვინც თავის კანდიდატურას წამოაყენებს მის ნება დაურთველად.

ამხ. კუიბიშევი—საბჭოთა კავშირის ს. მ. უ. ს. თავმჯდომარე

მოსკოვი, 5 აგვისტო. საბჭოთა კავშირის ცაკის პრეზიდიუმმა ამხ. კუიბიშევი საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს თავმჯდომარედ დანიშნა. ამხ. კუიბიშევი განთავისუფლებულია საბჭოთა კავშირის მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისრის თანამდებობიდან.

◆

ამხ. რაკოვსკი და ლიტვინოვი პარიზში

ამხ. რაკოვსკი და ლიტვინოვი პარიზში

პარიზი, 4 აგვ. საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი რაკოვსკი ჩავიდა პარიზში.

ამხ. ლიტვინოვი ბრიანთან

პარიზი, 4 აგვ. ლიტვინოვმა პარიზში გავლის დროს ინახულა ბრიანი და გარეშე საქმეთა სამინისტროს გამგე ბერტელლო.

◆

ფინანსიური კრიზისი

პუანკარეს მონა-მოსამსახურეები

პარიზი, 4 აგვ. საფრანგეთის სენატმა 25 ხმით უცვლელად მიიღო საფინანსო კანონპროექტი.

მთავრობაში მონაწილეობის წინააღმდეგ

პარიზი, 4 აგვ. ბრიუსელიდან იტყობინებიან, რომ საზოგადოებრივ სარგებლობის წარმოებების მუშათა კომიტეტმა (რეფორმისტულმა) გამოიტანა რეზოლიუცია, რომელშიაც მოითხოვენ სოციალისტ მინისტრების მთავრობიდან გამოსვლას. მოსამსახურეთა კავშირმა ბრიუსელში გამოიტანა რეზოლიუცია, რომელშიაც ნათქვამია, რომ ყოველგვარ საშუალებებით იბრძოლებენ ბანკირების დიქტატურის წინააღმდეგ.

რკინის-გზის ტარიფი საფრანგეთში

ლონდონი, 4 აგვ. გაზეთ „დეილი მეილის“ ცნობით, სამგზავრო მატარებლების ტარიფი გადიდებულია 32 ნახ. პროცენტით, დასაძინებელი მატარებლებისათვის 65 პროცენტით.

სიძვირესთან ბრძოლის მეთოდი

პარიზი, 4 აგვ. ბელგიის ლიბერალების მემარჯვენე ფრთის ორგანო „ედუალ ბელჟი“ ფიქრობს, რომ სიძვირესთან ბრძოლის საუკეთესო საშუალებას წარმოადგენს მომხმარებლის სყიდვითი უნარიანობის შეზღუდვა.

ამიტომ გაზეთი საჭიროთ სთვლის ხელფასის შემცირებას, ვინაიდან, ამგვარათ შეზღუდული იქნება მომხმარებლის „ძალიან დიდი რესურსები“.

საფრანგეთი და ერთა ლიგა

პარიზი, 4 აგვ. „პტი პარიზიენის“ ცნობით ბრიანს თათბირი ჰქონდა პოლონეთის, ესპანეთის და იაპონიის ელჩებთან ერთა ლიგის სესიის სამზადისის შესახებ.

გადასახადი უცხოელებზე

პარიზი, 4 აგვ. საფრანგეთში უცხოელებზე განზრახული გადასახადის დადების გამო „ჟურნალი“ მოითხოვს შეღავათს ევროპასა და ამერიკის ლათინური სახელმწიფოებისათვის.

◆

პილსუდსკის სამფლობელოში

დასვენება სჯობია

ვარშავა, 4 აგვ. პოლონეთის სეიმი დათხოვნილია არდადეგებზე. უკანასკნელ სხდომაზე სეიმმა უარყო პოლონეთის სოციალური პარტიის მემარცხენე ფრთის წინადადება სეიმის თვითდაშლის შესახებ იმიტომ, რომ სეიმს არ შეუძლია დაიშალოს მანამ, სანამ არ იქნება გადაწყვეტილი საარჩევნო კანონის შეცვლის საკითხი.

ლატვიის მინისტრი პოლონეთში

ვარშავა, 4 აგვ. ვარშავაში ჩამოვიდა ლატვიის გარეშე საქმეთა მინისტრი.

თავდასხმა სურინზე

ვარშავა, 4 აგვ. ცნობილ ბელორუსელ სოციალისტურ მოღვაწეს მიხეილ სურინს თავს დაესხნენ. სურინი მძიმედ დაჭრილია და გადაყვანილია საავადმყოფოში.

მინისტრთა საბჭოს მუშაობა

ვარშავა, 4ავისტო. მინისტრთა საბჭომ დაადასტურა რესპუბლიკის პრეზიდენტის განკარგულების პროექტი უცხოელების შესახებ.

შემდეგ მინისტრთა საბჭო შეუდგა იუსტიციის სამინისტროსთან იურიდიული საბჭოს დაარსების საკითხის განხილვას; ამ იურიდიული საბჭოს დანიშნულება იმაში უნდა მდგომარეობდეს, რომ მან იურიდიული თვალსაზრისით უნდა გამოსთქვას თავისი აზრი იმ კანონპროექტების შესახებ, რომლებსაც რესპუბლიკის პრეზიდენტი გამოაცხადებს სეიმის მიერ მინიჭებულ უფლების მიხედვით.

მრეწველობის გამოკვლევა

ვარშავა, 4 აგვისტო. პროფესორი კემერერი ხუთშაბათს გაემგზავრება პოზნანში ამ რაიონის მრეწველობის და ფინანსების მდგომარეობის გამოსაკვლევად.

◆

ამერიკელი მემაღაროელები ევროპაში

ბერლინი, 4 აგვ. ამერიკის სამთო-მადნო მუშათა წარმომადგენლები, რომლებიც ჩამოვიდნენ ევროპაში სამთო-მადნო მუშათა საერთაშორისო კონგრესზე დასასწრებლად ამჟამად ბოხუმში იმყოფებიან და გერმანიის სამთო-მადნო მუშათა კავშირის პრეზიდიუმთან ერთად იხილავენ მთელ რიგ საორგანიზაციო საკითხებს და ეცნობიან სამთო-მადნო მუშათა მოძრაობის პირობებს რურში.

ეს პირველადაა ომის შემდეგ, როდესაც ამერიკელი სამთო-მადნო მუშები ჩამოდიან გერმანიაში. ამერიკის სამთო-მადნო მუშათა ფედერაცია დიდი ხანია არის სამთო-მადნო მუშათა ინტერნაციონალის წევრი, მაგრამ არ შედის ამსტერდამის ინტერნაციონალში.

◆

ვანდერველდე მონობას იცავს

პარიზი, 4 აგვ. მუატედე-ლეოპელდვილის რკინის-გზის ხაზზე (ბელგიის კონგოში) მუშაობის საწარმოებლად საკოლონიო საბჭომ, წაქეზებულმა ბელგიის მთავრობის მიერ, რომელშიაც მონაწილეობას იღებს ვანდერველდე, მიიღო პროექტი, რომლითაც 9.000 ზანგი მუშა იძულებით უნდა იქმნან გადაყვანილი შორეულ მანძილზე. გენერალმა კაბრამ, რომელიც დიდი ხანია კონგოში სცხოვრობს განაცხადა, რომ მან პირადი გამოცდილებით იცის, რომ ზანგების შორეულ მანძილზე გადაყვანა მათ სიკვდილს უდრის.

ბელგიის კომუნისტური პარტია ენერგიულ კამპანიას აწარმოებს ზანგების იძულებით გადაყვანის პროექტის წინააღმდეგ, რომლითაც თვით ბურჟუაზიის წარმომადგენელთა აზრითაც კი (ამ შემთხვევაში გენერალ კაბრას აზრით) 9.000 ზანგს სიკვდილი ელის.

◆

გაზეთების მიმოხილვა

საბჭოთა პრესა

პარტიის დამრღვეველი მუშაობა

ჩვენ ვლაპარაკობთ „ახალი“ ან გაერთიანებული ოპოზიციის მუშაობაზე.

როგორც უკვე გვქონდა აღნიშნული ჩვენს გაზეთში, ეს ოპოზიცია წარმოადგენს დღეს შეკოწიწებას იმ ელემენტებისას, რომლებიც, დიდი ხანი არ არის მას აქეთ. რაც გააფთრებული კრიტიკით გამოდიოდნენ ერთი ერთმანეთის წინააღმდეგ. მაგრამ უთქვამთ „მიზანი ამართლებს საშუალებებს“-ო და ოპოზიციონერებმაც მიმართეს ერთ ისეთ საშუალებას, რომელმაც გატიტვლებული გამოათრია ისინი ქუჩრით მთელი პარტიის დასანახავად და აშკარა გახადა მათი ნამდვილი სახე და ზრახვები. ეს მიზანი გახლავთ პარტიის დღევანდელი, ლენინური ხელმძღვანელობის დარღვევა, ხოლო ფრაქციების ლეგალიზაციით რასკოლი პარტიისა და კურსი მეორე პარტიის შექმნაზე. ამისათვის კი საჭირო ძველ მოწინააღმდეგეთა ძალების გაერთიანება, მათ შორის ძველი დავის მივიწყება ან მისი დაგმობა (როგორც ეს მოიმოქმედა ზინოვიევმა ტროცკის მიმართ) და ამნაირად „შეიარაღება“ პარტიის წინააღმდეგ. გაზ. „ბედნოტა“ თავის მეთაურ წერილში (31 ივლისი) ეხება ოპოზიციის ამ „მუშაობას“ და სწერს:

> „ამხ. ზინოვიევის საქციელში განსაკუთრებით ნათლათ ხედავთ იმას, რომ კიდევ ორი და თვით ერთი წლის წინადაც ის აწარმოებდა — და სამართლიანადაც აწარმოებდა — ენერგიულ ზომას ტროცკიზმის წინააღმდეგ, რომელიც შეიცავდა ახალი ფრაქციისა და პარტიის რასკოლის საფრთხეს. **მაშინ ამხ. ზინოვიევი ცენტრალური კომიტეტის უმრავლესობასთან ერთად** გადაჭრით მოითხოვდა ყოველგვარი ფრაქციულობის მოსპობას, რადგან ეს ფრაქციულობა მიგვიყვანდა პარტიის დასუსტებამდე, პროლეტარიატის დაუძლურებამდე.
>
> და მართლაც პარტიის გათიშვა ეს ნიშნავს ორი პარტიის შექმნას. ხოლო ორი პარტიის არსებობა აუცილებლად გამოიწვევდა ბრძოლას ურთიერთ შორის, რომლითაც მყისვე ისარგებლებდა ბურჟუაზია. ეს ბრძოლა გადაუშვებდა წყალს კონტრ-რევოლიუციის წისქვილზე. ეს ნათელია თითო მუშისთვის, თითო გლეხისთვის და ტყუილად არ ყოფილა მიღებული ამხ. ლენინის წინადადებით პარტიის მეათე ყრილობაზე რეზოლიუცია, რომელიც მოითხოვდა **დაუზოგავ ბრძოლას ყოველგვარი ფრაქციულობის და პარტიის შიგნი გამთიშავი პოლიტიკის ყოველგვარი ნიშნის წინააღმდეგ.**
>
> და აი ამხ. ზინოვიევი, რომელიც დიდი ხანი არ არის რაც იცავდა სწორ ლენინურ შეხედულებას ოპოზიციურობისა და ფრაქციულობის შესახებ, ახლა თვით აწარმოებს **რასკოლის პოლიტიკას,** უერთდება რა სრულიად და მთლიანად ტროცკიზმს ყველა მის გამოსვლებში და ხმის მიცემაში, გამოდის რა მასთან საერთო ოპოზიციონური ფრონტით. ამხ. ზინოვიევი, განმარტოებული პარტიის მეთოთხმეტე ყრილობის შემდეგ, დაგორდა საეჭვო და არა საქებ დაღმართით, **ხელი აიღო თავის საკუთარ შეხედულებებზე.**
>
> აქედან ცხადია საით მიიმართება ახალი ოპოზიცია. მისთვის არ არის ძვირფასი მისი პრინციპები, მისი შეხედულებანი და რწმენა —წინააღმდეგ შემთხვევაში მას შეეძლო დაეცვა ეს შეხედულებანი და პრინციპები აშკარათ პარტიული დაწესებულებების ფარგლებში. არა. ეს მან არ მოიმოქმედა. მას სურს მეორე პარტიის შექმნა, რომ მას ჩაუდგეს სათავეში. აი არსებითად რომ ვსთქვათ რა მიზანს ისახავს ახალი ოპოზიციის ფრაქციული მუშაობა“.

სწორედ ამას აღუდგა წინ, ამ საფრთხის თავიდან ასაცილებლად გამოვიდა ცეკას და ც. საკონტროლო კომისიის პლენუმი და მიიღო ჯერ-ჯერობით ის ზომები, რომლის შესახებ იცის ყველამ და რაც ერთსულოვნად მოიწონა მთელმა პარტიამ და კომინტერნმა.

უცხოეთის პრესა

ყოფილი მოკავშირეები ერთმანეთს ებღლვნენ

ვალების საკითხი

ეს ერთი ხანია დიდი „დაჭკა-დაჭკაა“ ინგლისსა და ამერიკის შეერთებ. შტატების შორის, როგორც ერთი ისე მეორე მხრით გვერდზე გადასდვეს ჩვეულებრივი თვალთმაქცური თავაზიანობა და ზრდილობა და ამის მაგიერ წინ წამოიჭრა ძალიან მკვახე, მეტად „უზრდელი“ სიტყვები და „მოპყრობა არ სათუთი“. თქვენ იფიქრებთ, რომ ამას სჩადიან ვინმე უცნობი პირები ან უმნიშვნელო დაწესებულებანი, რომელთა ხსენებაც არა ღირს. სრულიადაც არა. ქიშპში სწვდენ ერთმანეთს ერთი მხრით ამერიკის შეერთებული შტატების ფინანსთა სამინისტრო, მეორე მხრით კი ინგლისის ფინანსთა სამინისტრო და პირადათ თვით ჩერჩილი. მათ მხარი დაუჭირეს თავიანთ ქვეყნების გაზეთებმა და შექმნა ისეთი აურზაური, რომ პარიზის „ტან“-ი ამბობს, ამის მსგავსი რამ ჩვენ ჯერ არაფერი გვსმენიაო.

მიზეზი?

საქმე იმაშია, რომ ამას წინედ შეერთებული შტატების ფინანსთა მინისტრმა მელონმა სიტყვა წარმოსთქვა მოკავშირეთაშორისო ვალების გასტუმრების შესახებ. იქ მან სხვათა შორის ის აზრი გაატარა, როდესაც ინგლისს შეეხო, რომ მას არავითარი იმედი არ უნდა ჰქონდეს ჩამოუწეროთ ანგარიშიდან მისი ვალები, რადგან ისინი ისეთ პირობებში იყო აღებული და გარდა ამისა უმთავრესად აღებული არა ომის საჭიროებისთვის, რომ ამ ოპერაციებში მან დიდი სარგებლობა ნახა და კეთილ ინებოს გახსნას ქისა და ჩვენი დოლარები დაგვიბრუნოსო. ეს ვალი კი უდრის შვიდ მილიარდ დოლარზე მეტს (7.200 მილიონს).

ამაზე პასუხი გასცა ჩერჩილმა, რომელმაც აალელვა ამერიკა. ჩერჩილს მხარი დაუჭირა ინგლისის მთელმა პრესამ, რომელმაც ამერიკას უწოდა „ბიძია შეილოკი“, ე. ი. უსინდისო მევახშე. კაცი იფიქრებს, რა „საშინელება“ მოხდა: მევახშეს მევახშის სახელი უწოდესო. მაგრამ ყურს ეჩოთირა და დაიწყეს მთელი მსოფლიოს დასანახავად თავიანთი მწვირიანი საცვლების რეცხვა.

ინგლისელებმა ისიც მოაგონეს ამერიკელებს, რომ ევროპის „თავისუფლებისა“ „ცივილიზაციისათვის“ ჩვენ მილიონამდე კაცი დავკარგეთ, თქვენ კი მარტო ორმოცი ათასი, გარდა ამისა ისარგებლეთ ომით და სხვისი უბედურების დროს გამდიდრდითო.

პუანკარეს გაზ. „ტან“ (26 ივლისი) ეხება ამ აურზაურს, მოჰყავს ომში დახოცილთა ციფრები და იმ დასკვნამდი მიდის, რომ ყველაზე უფრო მეტი სისხლი ფრანგებმა დაღვარეს და ამიტომ ეს გარემოება მისაღებია ანგარიშში, როდესაც ამერიკის ხაზინა თავის დავთრის წიგნებში ჯამს გაუკეთებს ჩვენ მიერ აღებულ ვალებსო. ის „შანს უგებს“ ინგლისელებს.

> „როდესაც ჩვენ, ფრანგებმა, ლაპარაკი დავიწყეთ ჩვენ მიერ გაღებულ მსხვერპლზე, მივუთითეთ 1.400.000 დახოცილ ფრანგ მეომრებზე და გავერანებულ ჩვენ მიწა-წყალზე, რომელიც ოთხი წლის განმავლობაში საშინელი ომის ასპარეზი იყო, ჩვენ ამაზე გვიპასუხეს ინგლისის გაზეთებში, რომ ამ არგუმენტებს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს ვალების მოწესრიგების საკითხისათვის, რომელიც უნდა გადაიჭრას ყოველგვარ მორალურ მოსაზრებათა გარეშე წმინდა საქმიან ნიადაგზე“-ო.

გაზეთი ურჩევს ამერიკა - ინგლისს თავი დავანებოთ ამ სამარცხვინო აურზაურს მიცვალებულის (ჩვენი ძველი კავშირის) ირგვლივ, ნუ გავილანძღავთ თავს მთელი მსოფლიოს თვალშიო.

პირდაპირ ამ სიტყვებით მიმართავს ის ატეხილ ჩხუბში თავდავიწყებულ ინგლისელ - ამერიკელებს.

ასე ვაჭრობენ ეს არამზადები დაღუპულთა სასაფლაოზე, ასე უნდათ მათ ვალების გასწორების დროსაც ისარგებლონ მკვდრებით მას შემდეგ, რაც ისარგებლეს და დაღუპეს ევროპის მინდორველებზე რამოდენიმე მილიონი მშრომელი ახალგაზრდა.

ვინ იტყვის ამის შემდეგ რომ საჭირო არ იყოს ამ უწმინდურობისაგან გამწმენდი რევოლიუციის ცეცხლისა და მახვილის „გასეირნება“ ბურჟუაზიის სამფლობელოებში?

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

კიდევ ერთი თვით...

საგანგებო წესები ინგლისში, შინაგან საქმეთა მინისტრის, ჰიქსის მოთხოვნილებით, კიდევ ერთი თვითაა გაგრძელებული.

(დეპეშებიდან)



განაჩენი რაკოშისა და სხვ. საქმეზე

ვენა, 4 აგვ. რაკოშისა და სხვა ბრალდებულთა შესახებ გამოცხადებულია განაჩენი.

სასამართლოს შენობა დილიდანვე გარშემორტყმული იყო პოლიციის გაძლიერებული რაზმებით, რომლებიც ერეკებოდენ იმ მუშათა ჯგუფებს, ვისაც სურდა სასამართლოს სხდომას დასწრებოდა.

განაჩენის წაკითხვის დროს მთელი დარბაზი გაჭედილი იყო ხალხით.

ბრალდებულ კომუნისტებს გადაწყვეტილი აქვთ: **რაკოშს** 8 ½ წლის ციხე; **ვეინბერგერს**—8 წლის; **ერის**—4 წლის; **გეგეშს**—3½; **ეკატერინა ხამანს, ბოჟოკლის, ცეინერს, მიტტერერს და ფიალას ორ-ორი** წლის და 4 თვის ციხე; **ნემეტს, ვაის და ვაისგნხოფერს** ორ-ორი წლით საკატორღო ციხე. 11 კომუნისტს მიუსაჯეს 1 წლისა და 10 თვის ციხე, ორს 10 თვის.

ბრალდებულებს სოციალისტური პარტიიდან: ვაგისა და ვაის გაუზს - წლის ციხე. დანარჩენი 20 კაცი და მათ შორის სოც. მუშათა პარტიის ეხლანდელი თავმჯდომარე გუბერი გაამართლეს. ყველა ბრალდებულებს ჩაუთვალეს წინასწარი დამაპატიმრება.

კომუნისტური ჯგუფის გასამართლება მოხდა 1921 წლის სახელმწიფო თავდაცვის კანონის საფუძველზე და რადგან სასამართლოს არ ქონდა ხელში დასამტკიცებელი საბუთები შეიარაღებული აჯანყების მოწყობის შესახებ—ამიტომ კომუნისტები გაასამართლეს, როგორც კლასთა ბრძოლის წამქეზებელნი. სასამართლოს განაჩენში აღნიშნულია, რომ თუმცა კომუნისტებს არ დაუმტკიცდათ შეიარაღებული აჯანყების მოწყობა, მაგრამ ასეთი აჯანყების მოწყობა მათი მიზანი იყოვო. სასამართლოს აზრით, საკმაოა კომუნისტურ პარტიას ეკუთვნოდე და გასამართლებული იქნები, როგორც სახელმწიფოს მოღალატე.

სოციალისტური მუშათა პარტიის წრიდან გამოსულ ბრალდებულების სასჯელი დამყარებულია იმ გარემოებაზე, რომ ისინი არ ეკუთვნოდენ კომუნისტურ პარტიას და, მაშასადამე, მათი გასამართლება არ შეიძლებოდა, როგორც სახელმწიფო მოღალატეების.

განაჩენის წაკითხვას **რაკოში** შეხვდა **შემდეგი სიტყვებით:**

„გაუმარჯოს უნგრეთის ლეგალურ კომპარტიას". **ვეინბერგმა** წამოიძახა: „გაუმარჯოს კომინტერნს". ამ ხმას აყვნენ სხვა ბრალდებულნიც.

თავმჯდომარის შეკითხვაზე, სურს თუ არა მას სასამართლოს დადგენილება გაასაჩივროს, რაკოშიმ უპასუხა:

„ეს განაჩენი მთელ მსოფლიოში საერთო აღელვებას გამოიწვევს". თავმჯდომარემ სიტყვა წაართვა რაკოშის.

დამცველებმა განაცხადეს, რომ მათ განზრახული აქვთ განასაჩივრონ სასამართლოს დადგენილება. პროკურორმა თავის მხრით განაცხადა პროტესტი სოც. პარტიის ზოგიერთი წევრების განთავისუფლების წინააღმდეგ და მოითხოვა უკანასკნელთათვის უფრო მკაცრი სასჯელი. სოც. პარტიის ყველა წევრები და ორი კომუნისტი, სულ 33 კაცი დროებით გაანთავისუფლეს.

რემედასის მოწოდება

მოსკოვი, 5 აგვისტო. უნგრეთის რევოლიუციონერთა გასამართლების გამო რემედასის აღმასკომმა მოწოდებით მიმართა საერთაშორისო პროლეტარიატს და რემედასის ყველა წევრებს—მთელი ქვეყნის განათლებულ კაცობრიობას პროტესტის ხმა აღიმაღლონ უნგრეთის სასამართლოს განაჩენზე სოლიდარული გამოსვლით და ახალი დემონსტრაციების მოწყობით ადამიანისა და მოქალაქის ელემენტარული უფლებების დასაცავად, აიძულონ ფაშისტების ჯალათები დაუბრუნონ მებრძოლ გმირებს თავისუფლება.

◆

პან-აზიური კონგრესი

ანგორა, 4 აგვისტო. ნაგასაკაში გაიხსნა პანაზიური კონგრესი იაპონიის, ჩინეთის, ინდოეთის და ფილიპინის კუნძულების დელეგატების მონაწილეობით.

ჩინეთის დელეგატმა წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც გამოამჟღავნა ინგლისის იმპერიალიზმი და ხთხოვა კონგრესს უთანასწორო ხელშეკრულებების და იაპონიის მოთხოვნილებათა გაუქმება დელეგატმა მხარი დაუჭირა აზიის ერთა ლიგის დაარსებას ცენტრალური ბიუროთი ტოკიოში.

იაპონიის დელეგატმა მხარი დაუჭირა აზიურ ბანკის დაარსებას და აგრეთვე ტრანსაზიურ რკინის-გზის გაყვანას შორეულ აღმოსავლეთისა და ცენტრალურ აზიას შორის კავშირის დასამყარებლად.

შანხაის საზოგადოებრივ ორგანიზაციების ასოციაციამ გამოაქვეყნა პროტესტი კონგრესის წინააღმდეგ და აღნიშნა, რომ კონგრესი წარმოადგენს იაპონიის იმპერიალისტურ ავანტიურას, ვინაიდან მას სურს დაიმორჩილოს აზიის ხალხები.

იაპონიის წინააღმდეგ

შანხაი, 4 აგვისტო. ქუჩაში მოვაჭრეთა კავშირმა გამოიტანა რეზოლიუცია იაპონიაში გახსნილ პანაზიურ კონფერენციის გამო; რეზოლიუციაში აღნიშნულია, „რომ იაპონია ჩინეთის მიმართ ყოველთვის დამპყრობელ პოლიტიკას აწარმოებდა: უთანასწორო ხელშეკრულებათა გაუქმების გარეშე ლაპარაკიც არ შეიძლება დამონებულ ხალხთან მეგობრობაზე".

მიწის ძვრა იაპონიაში

ტოკიო, 4 აგვ. 3 აგვისტოს დილით ტოკიოში საგრძნობლათ იძრა მიწა. დაშინებული მცხოვრებლები გამოცვივდნენ სახლებიდან. იაპონიის სხვადასხვა ადგილებიდან მოსულ ცნობების მიხედვით მიწისძვრა დიდ სივრცეზე მოხდა. რკინის-გზის ხიდი, რომელიც ტოკიოს აერთიანებდა ახლო მახლო მიდამოებთან ძლიერ დაზიანებულია. სატელეფონო კავშირი შეწყვეტილია.

◆

მექსიკაში

ბანკირები შუამავლობას კისრულობენ

ლონდონი, 4 აგვისტო. ნიუ-იორკის ბირჟის ცნობით, მექსიკის არმიის ასი ოფიცერი დათხოვნილია სამსახურიდან შვებულებიდან დაუბრუნებლობის გამო.

ბანკირების ჯგუფმა ინახულა მექსიკის პრეზიდენტი და მიუთითა მას, რომ სარწმუნოებრივი განხეთქილების გამო ბანკებიდან გააქვთ დიდი თანხები. ბანკირებმა პრეზიდენტს განუცხადეს, რომ ისინი მზად არიან იკისრონ შუამავლობა.

დემონსტრაცია ხუცების წინააღმდეგ

მექსიკა, 4 აგვისტო. ქალაქ მექსიკაში მთავრობის დაწესებულებათა 50.000 მოსამსახურემ, რომლებიც მექსიკის შრომის ფედერაციის წევრები არიან, **საპროტესტო დემონსტრაცია მოაწყვეს ეპისკოპოსების წინააღმდეგ. ასეთივე დემონსტრაციები მოხდა მექსიკის სხვა მსხვილ ქალაქებშიაც.**

პოლიციამ დაატუსაღა რამოდენიმე პირი, რომლებსაც ბრალი ედებათ პრეზიდენტ კაიესის მოკვლის განზრახვაში.

კათოლიკური ეკლესიის უმაღლესი წარმომადგენლები შეშფოთებული არიან შექმნილი მდგომარეობით და აყენებენ წინადადებას მათ და პრეზიდენტ შორის შუამავლობის გაწევისა პლებისციტის ან უცხოელი დიპლომატების საშუალებით.

◆

მელონი რომში

რომი, 4 აგვისტო. რომში ჩამოსულ შეერთებულ შტატების ფინანსთა მინისტრს მელონს თათბირი ექნება მუსოლინთან და ფინანსების მინისტრ ვოლპისთან იტალიის ეკონომიურ და ფინანსიურ მდგომარეობის საკითხის გარშემო.

ბერლინი, 4 აგვისტო. მელონს თათბირი ჰქონდა რომში იტალიის გარეშე საქმეთა მინისტრთან ვოლპისთან, მელონს მიიღებს მუსოლინი.

◆

გაფიცვა ნარვაში

რეველი, 4 აგვისტო. გრენგოლმის ფაბრიკის მუშათა საზოგადო კრებამ დაადგინა მოითხოვოს სამუშაო ხელფასის გადიდება 5 მარკით დღეში. ფაბრიკის გამგეობამ უარი განაცხადა მოთხოვნილების დაკმაყოფილებაზე, რის გამოც მუშებმა 26 ივლისს იტალიური გაფიცვა გამოაცხადეს. მათ შეუერთდა ქალაქის ელექტრონის სადგურის მუშები და ქალაქი უელექტრონოთ დარჩა.

გაფიცვა მალე შესწყდა. მუშათა მოთხოვნილება არ იქნა დაკმაყოფილებული. მრავალი მუშა დაითხოვეს.

◆

კობხემის გადაფრენა

ლონდონი, 4 აგვისტო. რეიტერის სააგენტოს ცნობით ალა კობმი ჩავიდა კუნძულ ტიმორზე; მან გადაიფრინა 450 მილი ზღვაზე.

ლონდონის ყოფილმა ლორდ-მერმა ჩარლზ ვეკფილდმა გადასცა ალან კობხების მოკლულ თანამგზავრის მექანიკოსს ელიოტის მეუღლეს 100 გირ. სტერლინგი.

ლონდონი, 4 აგვისტო. ალან კობხემი დღეს მოფრინდა ავსტრალიაში. ის გაფრინდა ინგლისიდან 3 ივნისს და, გარდა მისი მექანიკოსის სიკვდილისა არ მომხდარა არავითარი სერიოზული ინციდენტი ფრენის დროს.

უკანასკნელად გადაფრენილი მანძილი კუნძულ ტიმირადან დარვინის ნავთსადგურში უდრის 450 მილს.

◆

ნობილეს დაბრუნება

რომი, 4 აგვისტო. 3 აგვისტოს რომში ჩავიდა ამუნდსენის დირიჟაბლის უფროსი ნობილე. როდესაც ნობილე, ექსპედიციის მონაწილეებთან ერთად სადგურის მოედანზე გამოჩნდა, ხალხის ბრბომ მას გრანდიოზული ოვაცია გაუმართა. ნობილე სადღესასწაულო ეტლით გაემგზავრა გარეშე საქმეთა სამინისტროში, გზაზე ეტლში ყვავილებს ესროდენ. სასახლეში ნობილეს მიეგება მუსოლინი, რომელმაც მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვა. საღამოს ნობილეს პატივსაცემათ ქალაქი ბრწყინვალეთ იყო განათებული. ყველა გაზეთებმა ნობილეს მოწინავე წერილები უძღვნეს, რომელშიაც აღნიშნავდენ მის დამსახურებას სამშობლოსა, ავიაციის და მეცნიერების წინაშე.

ნობილეს სახელზე მოდის მისასალმებელი დეპეშები ყველა ქვეყნებიდან.

◆

სხვადასხვა

ალან კობხემი. რეიტერის სააგენტოს ცნობით, ალას კობხემმა ავსტრიაში გადაფრენის დროს უკვე გაიარა 10.000 მილი. გუშინ ალან კობხემი იყო სურას სტუტში კუნძულ იავაზე.

ფიზიოლოგიური კონგრესი. სტოკჰოლმში გაიხსნა მე-12 საერთაშორისო ფიზიოლოგიური კონგრესი, რომელზედაც მონაწილეობას იღებს 600 უცხოეთის წარმომადგენელი.

ქვის ნახშირი გერმანიაში. გაზეთების ცნობით, ბერლინის მახლობლად აღმოჩენილ იქნა ქვის ნახშირის ბუდობები, რომელსაც უჭირავს 192 კვ. კილომეტრის სივრცე. ნახშირის ყოველდღიურ ამოღებას 2.000 ტონით განსაზღვრავენ. მუშაობა დაუყოვნებლივ დაიწყება.

ნობილეს დაბრუნება. ნეაპოლში ნიუორკიდან ჩამოვიდენ გენერალი ნობილე და მისი ამხანაგები, რომელნიც ამუნდსენის ექსპედიციაში მონაწილეობას იღებდენ.

ცხენის მუმია. ეგვიპტეში, ერთი დიდი პირამიდის მახლობლად იპოვეს კუბო, რომელშიაც აღმოჩნდა მუმიად ქცეული ცხენის ტანი. კუბო თეთრად არის შეღებილი და ფართო ყვითელი ვერტიკალური ზოლები აქვს. მუმია დაახლოებით 1200 წელს უნდა ეკუთნოდეს ჩვენი წელთაღრიცხვის დაწყებამდე.

წყალდიდობა სამხრეთ სლავიაში. წყალდიდობამ დიდი ზარალი მოახდინა. ქ. რუგოვში, სერბიის ჩრდილოეთ ნაწილში, წყალმა დაფარა მთელი ქალაქი, 100 კაცი დაიღუპა.

ჰაეროპლანის დაცემა მაყურებლებზე. საცდელი გაფრენის დროს ვიურტემბერგში (გერმანია) ერთი ჰაეროპლანი უწესო მანევრის გამო, ძირს ჩამოსვლის დროს, დაეცა მაყურებელ საზოგადოებას. 5 კაცი მოკვდა, 7 მძიმედ დაიჭრა, ჰაეროპლანი დაიმსხვრა, მფრინავი-კი გადარჩა.

ალჟირის ციხეში მოთავსებულ კომუნისტების პროტესტი. ალჟირის ციხეში მყოფ კომუნისტებმა რომლებიც გაასამართლეს მაროკოში ომის წინააღმდეგ აგიტაციის გაწევისათვის, იუსტიციის მინისტრს მიმართეს პროტესტით მათდამი ცუდი მოპყრობის წინააღმდეგ ციხის ადმინისტრაციისაგან.

სამხრეთ-სლავიის სახელმწიფო მოსამსახურეთა პროტესტი. სამხრეთ-სლავიის დიდ ქალაქებში სახელმწიფო მოსამსახურეები მართავენ მასიურ საპროტესტო კრებებს მათი ჯამაგირების 20 პროც. დაკლების წინააღმდეგ.

—კონტინენტალურ რკინისგზის სინდიკატი 12 აგვის. განზრახულია ხელისმოწერა კონტინენტალურ რკინისგზის სინდიკატის დაარსების შესახებ. ხელშეკრულებაზე ხელისმოწერა დამთავრება იქნება იმ მოლაპარაკებისა, რომელიც 1½ წელიწადია სწარმოებს გერმანიის, საფრანგეთის და ბელგიის რკინის მრეწველობის მსხვილ წარმოებათა წარმომადგენლებს შორის. ამ შეთანხმების უმთავრესი მიზანია—ასწიოს რკინის ფასი მსოფლიო ბაზარზე. მეტად საინტერესოა, რომ ინგლისის რკინის მრეწველობის წარმომადგენლები არ იღებენ მონაწილეობას ამ შეთანხმებებში.

— სოლიდარობის გაფიცვა. საფრანგეთის სამთამადნო მუშების ფედერაციის გაფართოებულმა ბიურომ, რომელიც შრომის უნიტარულ ფედერაციაში შედის, დაადგინა, **9 აგვისტოს გამოაცხადოს 24 საათის გაფიცვა ინგლისის მემაღაროეთა სოლიდარობის ნიშნად.**

— ფაშისტური პროფკავშირები. სტეფანის სააგენტო იუწყება, რომ იტალიის მთავრობის ყველა წევრთა, უმაღლეს თანამდებობის პირთა და ფაშისტური პარტიის და პროფესიონალური ორგანიზაციების წარმომადგენელთა თანდასწრებით მუსოლინიმ გახსნა ახალი სამინისტრო—„ფაშისტურ პროფკავშირთა" კორპორაცია.

საბჭოთა კავშირში

რუსეთი

გლეხკორის ცემა

ტამბოვი, 5 აგვისტო. სოფ. იურკოვში, კოზლოვის მაზრაში სცემეს კოზლოვის გაზეთის გლეხკორს ჩერენკოვს, რომელმაც მთელ რიგ კორესპონდენციების საშუალებით გამოამჟღავნა იმავე სოფლის რამოდენიმე პირის ბოროტმოქმედებანი.

შეღავათი სახალინზე გადასახლებულთათვის

მოსკოვი, 5 აგვისტო. რ. ს. ფ. ს. რ.-ის მიწათმოქმედების კომისარიატმა შუამდგომლობა აღძრა სახ. კომ. საბჭოს წინაშე, რომ მიეცეს შეღავათები იმ გლეხებს, რომლებიც სახალინზე გადასახლდებიან. მიწათმოქმედების კომისარიატი სცნობს, რომ გადასახლება უნდა მოხდეს მხოლოდ იმ გლეხებისა, რომლებიც სასოფლო-მეურნეობას ეწევიან.

ამერიკელების დელეგაცია

მოსკოვი, 57 აგვისტო. 4 აგვისტოს მოსკოვში ჩამოვიდა ამერიკელ საზოგადოებრივ და პოლიტიკურ მოღვაწეთა დელეგაცია 19 კაცის შემადგენლობით. ჩამოსულთა შორის არის: როზენვალდი, ამერიკის ერთი უდიდესი კაპიტალისტის შვილი, ჩესტერ სოველი, ამერიკის გამოჩენილი ჟურნალისტი, რომლის წერილები 100 გაზეთში იბეჭდება ერთდროულად, პროფესორი კაგანი და სხვანი. დელეგატებ შორის არის აგრეთვე სამი ქალი.

სამუშაო ხელფასის მინიმუმი ივლის-სექტემბერში

მოსკოვი, 4 აგვ. საბჭოთა კავშირის შრომის სახალხო კომისარიატმა დააწესა მინიმალური სამუშაო ხელფასი ა.-წ. ივლის-სექტემბრის პერიოდში შემდეგი განაკვეთით: პირველ ზოლზე 10 მან., მეორეზე—9 მან., მესამეზე—8 მან., მეოთხეზე—7 მან. 50 კაპ., მეხუთეზე—7 მანეთი.

უკრაინა

მოსავლის დღესასწაული

ხარკოვი, 5 აგვისტო. მიწადმოქმედების კომისარიატმა დაადგინა მოაწყოს უკრაინაში „მოსავლის დღესასწაული", რომელიც უნდა დაიწყოს პირველ სექტემბრიდან. „მოსავლის" დღესასწაულის დღეებში უნდა გაიხსნას სასოფლო-სამეურნეო გამოფენები, რისთვისაც ადგილობრივი ბიუჯეტიდან გადაიდება 100.000 მანეთი.

რას ამბობენ უცხოელები

მუშათა ჯანმრთელობის დაცვის შესახებ საბჭოთა კავშირში

ლენსბერის განცხადება

მოსკოვი, 5 აგვ. 4 აგვისტოს ესენტუკში სამკურნალოთ ჩამოვიდა ლენსბერი, რომელიც დაავადებულია ღვიძლის და კუჭ-ნაწლავის ავადმყოფობით. „როსტა"-ს კორესპონდენტთან საუბარში ლენსბერიმ სთქვა: „ინგლისში მუშებისათვის მოწყობილია საავადმყოფოები და რამოდენიმე სანატორიუმები, მაგრამ ეს დაწესებულებები ვერ შეედრებიან თქვენს სანატორიუმებს, რომლებშიც თქვენი მუშები და მშრომელები საუცხოვოთ გრძნობენ თავს და არ აკლიათ მოვლა და კარგი კვება.

მე ბედნიერათ ვსთვლი ჩემს თავს, როდესაც თქვენს დასასვენებელ სახლებში, რომელიც წარმოადგენდა წინათ მდიდრების და პლუტოკრატიის საკუთრებას, ვხედავ იმათ, ვინც ეს სახლები ააშენა, მოაწყო და შექმნა ყველა არსებული ღირებულებანი.

ინგლისში სანატორიუმებზე, განსაკუთრებით წლექიანთა სანატორიუმებზე იხარჯება 10 მილიონი მანეთი წელიწადში, **მაგრამ ამ სანატორიუმებში მუშები ისე გრძნობენ თავს, თითქოს მოწყალებას იღებდენ თავიანთი მთავრობისაგან და გაბატონებული კლასისაგან. თქვენს სანატორიუმებში კი მშრომელები გრძნობენ, რომ მათ აქვთ უფლება დაისვენონ და იწამლონ და ეს უფლება აღიარებულია სახელმწიფოს, ჯანმრთელობის ორგანოების მიერ, ვინაიდან თქვენი მუშურ-გლეხური ხელისუფლების დევიზია: „ჯანმრთელი მუშა წარმოადგენს სოციალისტური სახელმწიფოს საფუძველს".**

ინგლისში სანატორიუმები შექმნილი არიან პროფესიონალურ ორგანიზაციების და საქველმოქმედო საზოგადოებათა მიერ, მაგრამ ამ სანატორიუმებს აქვთ სახაზინო საავადმყოფოების ხასიათი. ინგლისში არსებული სამკურნალო წყლები მისაწვდომია მხოლოდ ინგლისის მდიდარი კლასისათვის. თქვენს კურორტებზე შეხვდებით საბჭოთა კავშირში შემავალ ყველა ეროვნებათა წარმომადგენლებს. **საბჭოთა ხელისუფლება ანხორციელებს ყველა ერების თანასწორობას არა ქაღალდზე, არამედ საქმით.**

ბელგიის მუშათა დელეგაცია გაკვირვებულია

როსტოვი, 5 აგვ. ბელგიის მუშათა დელეგაციაზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინეს დასასვენებელმა სახლებმა.

ბელგიელმა მუშებმა განაცხადეს, რომ ბელგიელ მუშების ხელფასი უფრო ნაკლებია, ვიდრე საბჭოთა კავშირში. ქალებს არავითარი უფლებები არ აქვთ. ბავშვების და მუშების ვანკისარებას უდიდესი დაბრკოლებები ელობება.

გერმანიის მუშათა მეორე დელეგაცია

დელეგაცია მოსკოვში

მოსკოვი, 5 აგვისტო. მოსკოვში ჩამოვიდა გერმანიის მუშათა მეორე დელეგაცია, რომელსაც სადგურზე შეხვდენ საკავშირო პროფკავშირთა ცენტრ. საბჭოს, კავშირთა ცეკას, მოსკოვის პროფკავშირთა საბჭოს, კომკავშირის პიონერთა და სასპორტო ორგანიზაციების წარმომადგენლები. მოსკოვის პროფკავშირთა საბჭოს, საკავშირო პროფკავშირთა ცენტ. საბჭოს და სხ. ორგანიზაციების წარმომადგენელთა მისასალმებელი სიტყვის შემდეგ, გერმანიის დელეგაციის სახელით სიტყვა წარმოსთქვა დელეგაციის თავმჯდომარემ კერბერმა, გერმანიის ახალგაზრდათა წარმომადგენელმა ულმანმა და მუშა-ქალმა ჰერტრუდ-რაუშტმა. გერმანელი დელეგატების ჩამოსვლას მხურვალე ოვაციებით შეხვდენ. კერბერი დელეგაციის სახელით გადასცემს პროფკ. სალამს და მადლობას იმ გულითადი შეხვედრისათვის, რომელიც საბჭოთა კავშირში მოუწყეს დელეგაციას.

ფაბრიკებისა და ქარხნების დათვალიერების დროს კერბერმა სთქვა: **„გერმანიაში ბურჟუაზია ყოველ-დღე ავრცელებს სიცრუეს საბჭოთა კავშირის შესახებ. უცხოეთის მუშების დელეგაციებს საშუალება უნდა ჰქონდეთ საბჭოთა კავშირში ჩამოსვლისა, რომ გაიგონ რა კეთდება აქ.** ჩვენ მხოლოდ ექვსი დღეა რაც ჩამოვედით ლენინგრადში, მაგრამ ამ მცირე ხნის განმავლობაში კი დავრწმუნდით, რომ სიცრუეა ყოველივე ის, რასაც ავრცელებენ თქვენს შესახებ. ყოველივე ნახულის შესახებ ვაცნობებთ ჩვენს მუშებს".

ულმანი გადასცემს სალამს გერმანიის მუშა-ახალგაზრდების სახელით. იგი ამბობს, რომ მათი ჩამოსვლის მიზანია, რამე ისწავლონ საბჭოთა კავშირის ახალგაზრდა-მუშათა კლასისაგან. დელეგაცია სადგურზე მხურვალე ტაშით გააცილეს.

მოსკოვი, 5 აგვ. 5 აგვისტოს გერმანიის მეორე დელეგაციის ნაწილმა დაათვალიერა სხვადასხვა დაწესებულებები, ინახულა კავშირის ცენტრალური დაწესებულებები და სამთამადნო მუშათა კავშირის ცეკა, სადაც ხანგრძლივი საუბარი ჰქონდა ცეკას მდივანთან.

დელეგატებმა განაცხადეს, რომ ჩვენ სრულიად არ ვიცოდით, რომ კავშირის წევრობა თქვენთან ნებაყოფლობითია. შემდეგ მათ განაცხადეს, რომ პროფორგანიზაციების საბჭოთა სისტემა უფრო მიზანშეწონილიაო.

გუშინ საღამოს დელეგატები დაიყვნენ ჯგუფებათ და დაათვალიერეს ქალაქის ჯანმრთელობის განყოფილების სანატორიები. დელეგაციის თავმჯდომარემ **კერბერმა** დელეგაციის სახელით მადლობა გამოუცხადა ერთ-ერთ სანატორიის გამგეს და ჰნახველთა წიგნში სიხარული გამოსთქვა იმის გამო, რომ სანატორიების ნახვამ დელეგატებს მისცა ახალი დამამტკიცებელი საბუთი საბჭოთა მთავრობის მზრუნველობის შესახებ მუშების ყოფა-ცხოვრებაზე.

ნიჟეგოროდის ბაზრობაზე

ნიჟნი-ნოვგოროდი, 5 აგვ. მიმდინარე ბაზრობაზე პირველათ იქნება წარმოდგენილი საბჭოთა ბრინჯი.

ნიჟნი-ნოვგოროდი, 5 აგვ. საბაზრო კომიტეტმა მიიღო მისასალმებელი დეპეშა კენიგსბერგის სამაზრო კომიტეტისაგან.

ბელგიის მუშათა დელეგაცია თბილისში

დელეგაციის ჩამოსვლა



ვერკრეზ

დელეგაციის თავმჯდომარე

გუშინ, ღამის 11 საათზე, საქართველოს სამხედრო გზით თბილისში ჩამოვიდა ბელგიის მუშათა დელეგაცია 14 დელეგატის და 3 მხლებელის შემადგენლობით.

დელეგაციის შესახვედრად თბილისიდან გამგზავრებული იყო საქართველოს პროფსაბჭოს სპეციალური კომისია ამხ. ქელიძის, ანთიძის, ფანცხავას, მარკმანის და შეფტელის შემადგენლობით. აღნიშნული ამხანაგებიდან 1 ნაწილი დელეგაციას შეხვდა კავკავის ახლოს, ნაწილი კი ფასანაურში.

დელეგაციაში შედის 6 სოციალ-დემოკრატი და 8 უპარტიო მუშა-მოსამსახურე.

დელეგაციის თავმჯდომარეა **ვერკრეზ**—ტრამვაის მუშათა კავშირის და პროფმოძრაობის მთლიანობის მომხრე ბრიუსელის ჯგუფის მდივანი.

დელეგაციის წევრებია: ფეიქარი—**გერმან**, მთლიანობის ჯგუფის დელეგატი, მკერავი— **ტან კარტუა** მკერავთა ნაციონალური კომიტეტის წევრი, მელითონე **ბრიეზ** ანტვერპენის მელითონეთა კავშირის თავმჯდომარე—**ბოხარც ტრიულმანს, გერც, სტასს**, ტრამვაელი—**გიუნე**, ბრინჯაოზე მომუშავე **პუასსონ**—სოციალისტური „ახალგაზრდა გვარდიის" წევრი; მოსამსახურე—**ტრალნბოტ** და კომპოზიტორი **ოტსტონ** მსახიობი და მუსიკოსთა კავშირის დელეგატი.

სამხედრო გზაზე დელეგატები შეჩერდენ ყაზბეგში, კობში და ფასანაურში. დარიალის ხეობამ და სამხედრო გზამ მათზე წარუშლელი შთაბეჭდილება დასტოვა.

დელეგატები დაბინავდენ „სასახლის ნომრებში".

დელეგაცია თბილისში დარჩება 2—3 დღე. თბილისიდან დელეგაცია მიემგზავრება ბაქოში, იქიდან კი ბათომში. ბათომიდან დელეგატები გაემგზავრებიან სევასტოპოლში, იქიდან კი მოსკოვში, სადაც ჩაელენ23 აგვისტოს.

ჩვენი ეკონომიური ურთიერთობა ოსმალეთთან

(საუბარი საბჭოთა კავშირის კონსულთან ყარსში—ამხ. როშალთან).

თბილისში ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის კონსული ყარსში—ამხ. **როშალი**.

ჩვენს თანამშრომელთან საუბრის დროს ამხ. როშალმა საბჭოთა კავშირის და ოსმალეთის სავაჭრო ურთიერთობის შესახებ განაცხადა შემდეგი:

— ოსმალეთის მთავრობის სპეციალურმა კომისიამ ხელშეკრულება დასდო საბჭოთა კავშირის სათანადო ორგანიზაციებთან შაქრის მიწოდების შესახებ აღმოსავლეთ ანატოლიისათვის.

შაქარი 250 ვაგონის რაოდენობით უკვე მიღებულია მოსაზღვრე სადგურ—ლენინაკანში და იქიდან იგზავნება ყარსში.

მეორე კომისიამ ხელშეკრულება დასდო 250.000 ფუთ ნავთის და ბენზინის მიწოდების შესახებ. ნავთის პროდუქტების მიწოდებას აწარმოებს აზერბეიჯანის ნავთის სამმართველო. ნავთის და ბენზინის აღნიშნული რაოდენობა ოსმალეთის მთავრობის მიერ შესყიდულია ოსმალეთის ყველა აღმოსავლეთ ვილაეთებისათვის.

ნავთის მიღება მოსაზღვრე სადგურზე დაიწყება ამ დღეებში.

განსაკუთრებით აღსანიშნავია საბჭოთა ფართლეულობის ექსპორტი ოსმალეთში. უკანასკნელი ექვსი წლის განმავლობაში ჩვენი მანუფაქტურა სრულებით არ იგზავნებოდა ოსმალეთში. ეხლა ოსმალეთის ბაზარზე გამოჩნდა საბჭოთა ფართლეულობა, რომელმაც ერთბაშად მიიპყრო ადგილობრივი მოსახლეობის და ვაჭრობის ყურადღება.

ჯერჯერობით ოსმალეთში გაგზავნილია 1 ვაგონი ფართლეულობა; ახლო ხანში გაგზავნილი იქნება კიდევ მანუფაქტურის დიდი რაოდენობა.

ინტერესი ჩვენი საფეიქრო ნაწარმოებისადმი იმდენად დიდია, რომ საბჭოთა ჩითმა სრულებით განდევნა ოსმალეთის ბაზრიდან იტალიანური ჩითეულობა.

უკანასკნელი ცნობები

ინფლიაციაა თუ არა?

პარიზი, 4 აგვისტო. საფრანგეთის მთავრობამ შეიტანა პარლამენტში ახალი კანონ-პროექტი, რომლის მიხედვით საფრანგეთის ბანკს ეძლევა ქაღალდის ფრანკის გამოშვების უფლება ოქროს და საზღვარგარეთულ ვალიუტის შესასყიდათ. ეს ემისია კანონპროექტით არ არის შეზღუდული. მთავრობას ეძლევა აგრეთვე უფლება აიღოს სესხი საფრანგეთის ბანკიდან ფრანკის კურსის განსამტკიცებლად.

მთავრობის პრესა ცდილობს დაამტკიცოს, რომ ამ შემთხვევაში არ მოხდება ინფლიაცია, რადგან საფრანგეთის ბანკის მიერ გამოშვებული ქაღალდის ფრანკი დამყარებული იქნება ამ ფრანკით შეძენილ ოქროსა და საზღვარგარეთის ვალიუტაზე. კანონპროექტის მოწინააღმდეგენი ამტკიცებენ, რომ ვალიუტას შესყიდიან იმ მიზნით, რომ განამტკიცონ ფრანკის კურსი და მაშასადამე, არავითარი ლაპარაკი კი არ შეიძლება ახალი ემისის სავსებით დაფარვაზე.

ყუმბარების ქარხანა

ლონდონი, 4 აგვისტო. „ტაიმსის" ცნობით კალკუტაში გაჩხრეკის დროს პოლიციამ აღმოაჩინა სახლი, რომელიც მოწყობილი იყო ყუმბარებისა და ასაფეთქებელ ნივთიერებათა დასამზადებლად.

გაჩხრეკის დროს კონფისკაცია უყვეს [illegible] დიდ რაოდენობას და სხვადასხვა ქიმიურ პრეპარატებს.

მემაღაროეთა მოთხოვნილება

ბერლინი, 4 აგვისტო. რეინისა და ვესტფალიის ნახშირის რაიონში სამთამადნო მუშათა პროფკავშირებმა განუცხადეს მეწარმეებს, რომ დღემდე არსებულ ხელშეკრულებას უარყოფენ და მოითხოვენ ხელფასის მომატებას.

ომის საწინააღმდეგო დემონსტრაცია

ბერლინი, 5 აგვისტო. გუშინდელ ომის საწინააღმდეგო დემონსტრაციაში ლუსგარტენში მონაწილეობდა ათი ათასი კაცი. 12 ადგილს გამოვიდენ კომპარტიის, წითელ ფრონტოვიკების და სხ. წარმომადგენლები.

ინგლისის კომპარტიის წარმომადგენელმა სალამი გადასცა დემონსტრანტებს ინგლისის პროლეტარიატის სახელით.

8 საათის სამუშაო დღე

ბერლინი, 4 აგვისტო. ზემო-სილეზიის ნახშირის სამრეწველოებში შრომის სამინისტრომ სავალდებულოდ გახადა ორივე მხარისათვის სამედიატორო სასამართლოს დადგენილება სამუშაო ხელფასისა და სამუშაო დღის სიდიდის შესახებ. სამედ. სასამ. დადგენილებით ცალკე კატეგორიის მუშებს ეძლევათ მომატებული ხელფასი და მიწის ქვეშ მომუშავეებს რვა საათის სამუშაო დროის ზევით ეძლევათ დამატებითი ხელფასი. ამ დადგენილებამ დიდი უკმაყოფილება გამოიწვია მუშებში.

ინგლისის კომისია შეერთებულ შტატებში

ლონდონი, 5 აგვისტო. ინგლისის მთავრობის ნებართვით ამერიკის შეერთებულ შტატებში მიემგზავრება კომისია მრეწველობის პირობების გამოსაკვლევად. კომისია შესდგება 5 კაცისაგან, **უილიამს მაკენზის** თავმჯდომარეობით; კომისია შევა ორი ტრედიუნიონების წარმომადგენელი: ტრანსპორტნიკების გენერალური მდივანი **ერნესტ ბევინი** და კედრი. კომისია ინახულებს შეერთებულ შტატებს და კანადას.

დახმარებას თხოვს

ბერლინი, 5 აგვისტო. ლონდონიდან იუწყებიან, რომ სამთამადნო მუშების კავშირმა დეპეშით მიმართა სამთამადნო მუშების ინტერნაციონალს 4 კვირით განაგრძოს მე მემაღაროეთა გაფიცვისათვის ფინანსიური დახმარება.

რუმინეთის მთავრობის გაკოტრება

ბერლინი, 4 აგვისტო. ბუქარესტიდან იუწყებიან, რომ რუმინეთის ნაციონალურმა ბანკმა უარი უთხრა მთავრობას სესხის მიცემაში, სანამ არ დაფარავს ძველ ვალებს, რომლის რაოდენობა უდრის 1,5 მილიონ მან.

უმუშევრობა ინგლისში

პარიზი, 5 აგვისტო. **უმუშევართა რიცხვი ინგლისში ივლისის დამლევს სამთამადნო მუშებს გარდა უდრიდა 1.600.000 კაცს.**

სოციალისტების წინადადება

პარიზი, 5 აგვისტო. სოციალისტებს განზრახული აქვთ ვერსალში წინადადება შეიტანონ. სენატის უფლებების შეკვეცის შესახებ. ამ წინადადებას თანაგრძნობით ხვდებიან რადიკალ-სოციალისტები.

საქართველოს სახალხო მეურნეობა

1926 წ. ივნისში

სოფლის მეურნეობა

ივნისის თვის ამინდის პირობები საერთოდ წელს უწყობდნენ სოფლის მეურნეობის მდგომარეობის გაუმჯობესებას. საანგარიშო თვის პირველ ნახევრის წვიმიან დღეებმა ხელი შეუწყეს პურეულობის კულტურების ზრდას და მათ დამწიფებას. თვის მეორე ნახევარში იდგა თბილი და მშრალი დარები, მაგრამ წინა-დღეების დიდი წვიმების გამო გორის და დუშეთის მაზრებში გაჩნდა ჭია, რომელმაც დააზარალა ვენახების მნიშვნელოვანი ნაწილი. აგრეთვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ თვის ნიაღვრებისა და სეტყვისაგან ზოგიერთ მაზრებში (ბორჩალოს, დუშეთის, რაჭის, შორაპნის, ქუთაისის) და სამხრეთ ოსეთში დაიღუპა და დაზიანდა ნათესები და სხვა სასოფლო მეურნეობის კულტურები.

ნათესების სხვა სასოფლო მეურნეობის კულტურების მდგომარეობა პირველ ივლისათვის ასეთია: ხუთი მთავარი პურეულობის მდგომარეობა წინა თვის პირველ რიცხვიდან შედარებით გაუმჯობესდა საშუალო ნიშნის მიხედვით—0,4-ით, ე.ი. 12 (შემოდგომის და გაზაფხულის ხორბალი სამ-სამი მეათედი ნიშნით, შემოდგომის ქერი 0,4,—გაზაფხულის 0,2, და სიმინდი 0,4 ნიშნით).

მოსავლის აკრებას შეუდგნენ მხოლოდ ბორჩალოს და დუშეთის მაზრებში, ვენახების მდგომარეობა გაუმჯობესდა 0,2 ნიშნით, თამბაქოს 0,8-ით, ბამბის ნათესების უცვლელია. ხილის, ბაღების მდგომარეობას კი ემჩნევა გაუარესება 0,8 ნიშნით. შარშანდელი ივლისის პირველ რიცხვთან შედარებით ყველა კულტურების მდგომარეობა წრევანდელ ამავე პერიოდისათვის უკეთესია. (კერძოთ ხუთი მთავარი პურეულობა 23,3 პროცენტის გადამეტებით, და თამბაქო 22,2%.

საერთოდ პურეულობის და სხვა კულტურების მდგომარეობა ივლისის 1-ლ რიცხვისათვის ხასიათდება შემდეგი ნიშნებით:

ხუთი მთავარი პურეულობისათვის 3,7 ნიშნით (საშუალოზე მეტით); აღმოსავლ. საქართველოში—3,9 ნიშნით, დასავლ. საქართველოში—3,5, აჭარისტანში—4,0-ით, აფხაზეთში—3,1-ით და სამხრ. ოსეთში—4,0-ით.

ვენახების მდგომარეობა საერთოდ 3,7 ნიშნით (საშუალ. მეტ.); აღმოსავლ. საქართველოში 4,0, დასავლეთ 3,5-ით, აფხაზეთში 3,2-ით. ხილის ბაღების მდგომარეობა საერთოდ 2,7 ნიშნით (საშუალოზე ნაკლები); აღმოსავლეთ საქართველოში 3,3-ით, დასავლეთ 2,6.

თამბაქოს პლანტაციების მდგომარეობა, აფხაზეთში—3,8 (საშუალოზე მეტი), სიღნაღის მაზრაში 5,0 ნიშნით.

ბამბის პლანტაციების მდგომარეობა,—დასავლეთ საქართველოში (ქუთაისის მაზრა) 2,9 ნიშნით (თითქმის საშუალო) თბილისის მაზრაში—2,5 ნიშნით).

თხილის ბაღების,—(დასავლეთ საქართველოში, აჭარისტანში და აფხაზეთში)—3,0 ნიშნით. ჩაის—პლანტაციების და ციტრუსების—(აფხაზეთში) სათანადოთ—3,0 და 4,0 ნიშნებით. სათიბების მდგომარეობა მთელი რესპუბლიკისთვის ხასიათდება, როგორც საშუალო (3,0 ნიშნით).

სავსებით დამაკმაყოფილებელ პირობებში მიმდინარეობდა ამინდის მხრივ მეაბრეშუმეობა, რომელიც წელს იძლევა კარგს მოსავალს.

აღნიშნულ ივნისის პირველ ნახევარ თვეში მომხდარ ნიაღვრების და სეტყვისაგან დაღუპული და დაზიანებულია ბორჩალოს მაზრაში პურეულობის ნათესების 3.000 დეს., ვენახები—420 დეს., და ბოსტნები—100 დეს., საექსპერტო კომისიის გამოანგარიშებით ზარალი უდრის დაახლოვებით 500.000 მან., რაჭის მაზრაში მიყენებული ზარალი უმნიშვნელოა. ქუთაისის მაზრაში, აღმასკ. ანგარიშით ზარალი შეადგენს —24.000 მანეთს, შორაპნის და დუშეთის მაზრების და სამხრ.-ოსეთის შესახებ მიყენებულ ზარალის რაოდენობის შესახებ ცნობები არ არის მიღებული.

საქონლისათვის საძოვრებზე საერთოდ დამაკმაყოფილებელი პირობებია, მაგრამ ზოგიერთ მაზრებში გავრცელებულია საქონლის ჭირი და ციმბირის წყლული, რასაც ხელს უწყობს საზაფხულო საძოვრებზე საქონლის ერთად ყოფნა. საქონლის ჭირი გავრცელებულია ახალ-ქალაქის, გორის, შორაპნის და სამხრ.-ოსეთში. ციმბირის წყლული—უმნიშვნელოა—დუშეთის და ოზურგეთის მაზრებში.

მიწათმოქმედების კომისარიატის ცნობით, საქონლის ჭირისაგან დაიღუპა მთელ რესპუბლიკაში 509 თავი მსხვილფეხა რქიანი საქონელი, ციმბირული წყლულისაგან—111 და დანარჩენ ავადმყოფობისაგან—25—სულ 645 თავი.

ეპიზოოტიისაგან დაღუპული წვრილფეხა საქონლის, ცხენების და ფრინველების რიცხვი უმნიშვნელოა. წინა თვესთან შედარებით, ეპიზოოტიისაგან დაღუპულ საქონლის რიცხვი 43,3%-ით ზრდას იძლევა.

სოფლის ნაწარმოების დამზადება. ღვინის და არყის დამზადება წინააღმდეგ წინა თვეების შემცირების ტენდენციისა, ივნისში იძლევიან ზრდას სათანადოთ 19,8 და 47,9%-ით, რაც უნდა აიხსნას მათი საქართველოს გარეშე გატანის გაზრდით. აღნიშნულ საგნების დამზადების წლიური გეგმა შესრულებულია,—ღვინის—39,3%-ით, არყის 28,4%-ით. კამპანიის დაწყებიდან დამზადებულია სულ 393,1 ათი ვედრო ღვინო.

თამბაქოს და ბეწვეულობის წლიური დამზადების გეგმა თითქმის შესრულებულია სათანადოთ. 98,3 და 94,9%%-ით. კამპანიის დაწყებიდან დამზადებულია სულ 528,8 ათასი ფუთი თამბაქო და 22,.870 ც. ბეწვეული. მატყლის დამზადება შემცირდა ივნისში წინა თვესთან შედარებით 48,4%-ით, წლიური მატყლის დამზადების პროგრამა კი—შესრულებულია 54,3%-ით.

აბრეშუმის პარკის მოსავლის სეზონთან დაკავშირებით გაზრდილია აბრეშუმის პარკის დამზადება. ივნისის თვეში დამზადდა 66,6 ათ. ფუთი, რაც 46,2%-ით აღემატება შარშანდელ ივნისში დამზადებულ აბრეშუმის პარკის რაოდენობას. წლიური აბრეშუმის დამზადების გეგმა შესრულებულია ჯერ - ჯერობით 58,2%-ით, რაც შეეხება დანარჩენ სასოფლო ნაწარმოებს, მათი წლიური დამზადების გეგმის შესრულების %%-ბი შემდეგია: მსხვილი ტყავის 45,9%-ტი, წვრილი—24,9%, ჯაგარის—62,8% და თივის—56%. აღნიშნულ ნაწარმოებიდან მნიშვნელოვან შემცირებას იძლევა მაისის რაოდენობის მიმართ წვრილი ტყავი 73,1%-ით, პირიქით ჯაგარს დამზადება გაზრდილა 11,3%-ით.

წინა კონიუქტურულ მიმოხილვებში არა ერთხელ იყო აღნიშნული, რომ გეგმის მცირე %-ით შესრულება ზოგიერთ მთავარ საგნებზე გამოწვეულია უმთავრესად კონიუნქტურული პირობებით (ფასების დონე, კრედიტების შემცირება და სხვა), რომელნიც ახდენენ **შთაბეჭდილებას** მთელ გასულ სამეურნეო წლის პერიოდზე, ამიტომ აქ ზედმეტია მათი დწვრილებით განმეორება.

მრეწველობა და შრომა

მრეწველობის ხუთი მთავარი დარგის (შავი-ქვის, ქვა-ნახშირის, თამბაქოს, ტყავის მრეწვ., და საპნის ქარხნის) პროდუქციის ღირებულება უდრის 1.075 ათ. ჩერვ. მანეთს, თითქმის იგივეა, როგორც მაისში (1,0%),—შარშანდელ ივნისთან შედარებით კი (შავი-ქვის გამოკლებით) იძლევა ზრდას 44%-ით. მძიმე მრეწველობის პროდუქცია წინა თვესთან შედარებით გაზრდილა 16%-ით, ხოლო მსუბუქი მრეწველობა 8,7%-ით შემცირებას იძლევა.

უმნიშვნელოდ გაიზარდა (1,6%-ით) შავი-ქვის ამოღება. საგრძნობია ზრდა შავი-ქვის გარეცხილ რაოდენობისა (84,0%-ით). მატულობს აგრეთვე ქვა-ნახშირის ამოღებაც (15,4%-ით). უკანასკნელ მრეწველობის დარგში პროდუქციის ზრდა აიხსნება ნამუშევარ კაც-დღეთა რიცხვის მატებით (18,2) წინააღმდეგ ერთ-კაცი დღის გამომუშავების შემცირების 2,4%-ით, რაც დაკავშირებულია ბუნებრივ პირობებთან. ნამუშევარ კაც-დღეთა რიცხვის ზრდა დაკავშირებულია სამუშაო დღეების რიცხვის ზრდასთან და უმთავრესად გაცდენილ დღეების რიცხვის შემცირებასთან, რომლის პროცენტმა წინა თვეში მიაღწია 29. სათანადო ღონისძიებების მიღებით და აგრეთვე შრომის ხელფასის გადიდებით გაცდენილ კაც-დღეთა რიცხვი შემცირებულია მინიმუმამდე.

მსუბუქი მრეწველობის პროდუქციის შემცირებას, ასწორებს მძიმე მრეწველობის პროდუქციის აღნიშნული ზრდა. თამბაქოს მრეწველობაში პროდუქცია შრომის ერთეულებში კლებულობს 17,3%-ით, ნამუშევარ კაც-დღეთა რიცხვის შემცირებასთან ერთად 28,1%-ით, წინააღმდეგ ერთ კაც-დღეზე გამომუშავებულ პროდუქციის 14,5%-ით გადიდებისა. ნამუშევარ კაც-დღეთა რიცხვის და პროდუქციის შემცირება გამოწვეულია შენობის რემონტით და მუშების შვებულებაში წასვლით, რის გამოც არ მუშაობდნენ თბილისში სრულიად მე-4-ე და ქუთაისის თამბაქოს ქარხნები და მხოლოდ 14 დღე მუშაობა სწარმოებდა მე-2-რე თბილისის ქარხანაში, შემცირებულია დათხოვნის გამო მუშა-მოსამსახურეთა რიცხვი 1-ლ ქარხანაში. ერთ კაცდღის გამომუშავების მნიშვნელოვანი ზრდა გამოწვეულია ფაბრიკების ტექნიკურ მოწყობილობის გაუმჯობესებით (ახალი მანქანების დადგმით), მუშების კვალიფიკაციის აწევით და შრომის ინტენსიობის გაძლიერებით.

ტყავის მრეწველობის პროდუქცია შრომის ერთეულებში, მსხვილ ტყავზე გადაყვანით, სტაბილურია (0,2%), შემცირებულია მხოლოდ წვრილი ტყავის გამომუშავება (31,9%-ით) და ამავე დროს გადიდებულია 4,1%-ით, მსხვილი ტყავის გამომუშავება,—ლანჩაზე ერთი-ორად (104,4%), მოთხოვნილების გაძლიერების გამო.

საპნის ქარხნის პროდუქცია კლებულობს **ომის წინა დროის ფასებში** 19,6%-ით, რაც გამოწვეულია ნამუშევარ კაც-დღეთა რიცხვის თითქმის იგივე %-ით შემცირების (20,2%-ით), შრომის ერთეულებში სარეცხი საპნის პროდუქცია კლებულობს 15,9-ით. ტექნიკური გლიცერინი 32,7%-ით, ნამუშევარ კაც-დღეთა რიცხვის შემცირება გამოწვეულია მარშალიოლის საპნის განყოფილების შეჩერებით (სალომასის) ნაკლებობის გამო და აგრეთვე სრულიად არ სწარმოებდა მუშაობა ხელის საპნის განყოფილებაში და ამ მიზეზებით აღნიშნულ განყოფილებათა მუშები გადაყვანილი იქმნენ ტრესტის სხვა წამოწყებებში.

მრეწველობის პროდუქციის რეალიზაცია გადიდებულია ქვა-ნახშირის მრეწველობაში—18,4%-ით (ადგილობრივ გლეხების მიერ საიჯარო მაღაროებიდან ამოღებულ ნახშირის ჩათვლით), თამბაქოს (თბილისში)—1,4%-ით და საპნისა 6,6%-ით. მხოლოდ ტყავეულობის რეალიზაცია შემცირებულია 15,2%-ით.

ყველა აღნიშნულ დარგებში დაუკმაყოფილებელი რჩება მოთხოვნილება კერძოდ ქვა-ნახშირის 15%-ით. საერთოდ, ნედლეულ და დამხმარე მასალის მხრივ ქარხნები არ განიცდიან ნაკლებობას, ხოლო საანგარიშო თვეში საქონლის მეტი მოთხოვნილების გამო თამბაქოს ფაბრიკებს უხდებოდათ ზოგიერთი შეკვეთების შეკვეთა სათანადო მასალების ნაკლულოვანებასთან დაკავშირებით.

შრომა. უმუშევართა ნაშთი 1-ლ ივლისისათვის თბილისში არა მნიშვნელოვან შემცირებას იძლევა 1,7%-ით. აღნიშნული რიცხვისათვის უმუშევართა ნაშთი უდრიდა 15,8 ათ. კაცს, მათ შორის კავშირის წევრები შეადგენენ 69,8%-ს, არა წევრნი—30,2%-ს, კავშირთა წევრების უმუშევართა რიცხვი გაიზარდა 4,4%-ით, არა წევრთა, პირიქით, კლებულობს 14,4%-ით.

უმუშევართა მოძრაობა საშუამავლო ბიუროს ცნობებით ასეთია: შემცირებას იძლევა ჩაწერა 24,7%-ით, მოთხოვნილება 65%-ით, სამუშაოზე გაგზავნა 20,4%-ით. 1-ლ ივლისისათვის აღრიცხვაზე დარჩენილთა შორის უფრო მეტად კლებულობს დამუშავებითი მრეწველობის დარგების უმუშევართა რიცხვი (17,2%-ით) დანარჩენი მთავარი დარგების უმუშევართა ნაშთების შემცირებას იძლევიან 5-დან 7%-მდე. მოთხოვნილება გაიზარდა დამხმარე შრომის უმუშევრებზე (8,9%-ით) და ტრანსპორტ-კავშირის (2,5%), რაც გამოწვეულია ზოგიერთი სეზონური სამუშაოებით, დანარჩენ დარგებში უმუშევართა მოთხოვნილება თითქმის ერთი ორად შემცირდა.

ტვირთ-ბრუნვა. რკინის გზების ტვირთ-ბრუნვა (20,6 ათ. რონოდა) გადიდებულია წინა თვესთან შედარებით 5,3%-ით, მიღება შემცირებულია 9,3%-ით, გაგზავნა გადიდებულია 9,8%-ით. მნიშვნელოვან ზრდას იძლევა შავი-ქვის გაგზავნა 60,4%-ით.

უფრო მეტ ზრდას 64,2%-ით იძლევა ნავთსადგურების (ბათომის, ფოთის, და სოხუმის) ტვირთ-ბრუნვა (176,6 ათ. ტონა), მიღება შემცირებულია 33,3%-ით, გაგზავნა კი—გადიდებულია 82,8%-ით. გაგზავნილ საქონლის შორის მთავარია ნავთეული (61,3 ათ. ტონა) და შავი-ქვა (25,7 ათასი ტონა).

საურმე გზების ტვირთ-ბრუნვაც თბილისში და ბათომში მნიშვნელოვან ზრდას იძლევა (14,1%-ით). შემოტანილია სულ 148,6 ათასი ფუთი. დიდი რაოდენობით შემოტანილია ნახშირი—55,8 ათასი ფუთი, (86,5%). ბოსტნეული 46,0 ათ. ფუთი (70,4%), თივა და ბზე—28,2 ათ. ფუთი (88,5%), ღვინო 16,2 ათ. ვედრო (17,6%) და რძეული —14,1 ათ. ფ. (39,9%).

საერთოდ ივნისის თვის ტვირთ-ბრუნვას გამოცოცხლება ახასიათებს უმეტესად ნავთსადგურების და საურმე გზების. შარშანდელ ივნისთან შედარებით რკინის გზების ტვირთ-ბრუნვა იძლევა 5,6%-ით მატებას, ნავთ-სადგურების—15,1%-ით,—საურმე გზების კი შემცირებას იძლევა 19,3%-ით, რაც უნდა მიეწეროს, ნაწილობრივ, ჭირნახულის დაგვიანებითი მომწიფებას.

ალებ-მიცემობა

საქართველოს საგარეო ალებ-მიცემობის ბრუნვა ივნისში უდრის 11, 4 მილ. მან.,—ექსპორტი 3,4 მილ. მან., იმპორტი—8,0*) მილ. მან., უარყოფითი სალდო—4,6 მილ. მან. მაისთან შედარებით ექსპორტი გაზრდილა 19,7%-ით, იმპორტი—38,8%-ით, სალდო—56,9%-ით. მთავარ საექსპორტო საგნებიდან მნიშვნელოვან ზრდას იძლევიან შავი-ქვა (134,9%-ით), დახერხილი ტყე (131,2%-ით) და ღვინო (12,4%-ით). თამბაქოს გატანა წინააღმდეგ წინა თვეში ხუთჯერ მეტი გადიდებისა ივნისში შემცირებულია 93%-ით.

საიმპორტო მთავარ საგნებიდან მნიშვნელოვნად გაზრდილია ფქვილის შემოტანა (95,6%) და შაქრის (189,7%-ით). მცირე %-ის ზრდით ხასიათდება ფართლეულობის და დაუმუშავებელ რკინის ფოლადის და თუჯის შემოტანა 8,7 და 5,1%-ბით, სათანადოთ, ნავთის და ნავთეულის შემოტანა კი შემცირებულია 4,0%-ით.

გეგმიანი შემოტანა ივნისში დამაკმაყოფილებლად უნდა ჩაითვალოს. გეგმა გადაჭარბებით შესრულებულია ხორბლეულობის, შაქრის, სილიკატის და მარილის მიმართ. დანარჩენ საქონლის შემოტანის გეგმა შეუსრულებელია—25-30%-ით; გარდა ლითონის ნაწარმოებისა, რომლის შემოტანის გეგმა შეუსრულებელი რჩება 54,7-%-ით. ბამბეულ-ფართლეულობის და ლითონის ნაწარმოების მხრივ ბაზარი ვერ აკმაყოფილებს ამ საგნებზე დიდ მოთხოვნილებას.

ფაქტიურად შემოზიდულ საქონლის ღირებულება უდრის 3.517,6 ათ. მანეთს, რაც 51,0 ათ. მანეთით სჭარბობს ივნისის თვისათვის გეგმით გათვალისწინებულ საქონლის ღირებულებას.

შინაურ ვაჭრობას წინააღმდეგ მაისის თვის შემცირებისა, ივნისში გამოცოცხლება ახასიათებს როგორც საბითუმო ისე საცალო ვაჭრობაზე. საქართველოს ბირჟების ბრუნვა (10,0 მილ. მან.) ივნისში შემცირებულია 3,1%-ით, მაგრამ საკონტრაქტო გარიგებების გამოკლებით, იგი იძლევა გადიდებას 3,7%-ით. სახელმწიფო ორგანიზაციების (29 ორგ.) საბითუმო გაყიდვა გადიდებულია 2,7%-ით, საცალო—10,9%-ით, დაბალი კოოპერატივების 13,6%-ით და საბაზრო ვაჭრობა—51,5%-ით.

საბირჟო ვაჭრობის გადიდება გამოწვეულია სამრეწველო საგნების ბრუნვის ზრდით, წინააღმდეგ ზოგიერთ სასოფლო-სამეურნეო ნაწარმოების ბრუნვის შემცირებისა, სასოფლო-სამეურნეო საგნებს შორის ბრუნვა შემცირებულია მატყლის და აგრეთვე ღვინის გარიგებებზე. სამრეწველო საგნებიდან ბრუნვის გადიდებას იძლევიან შავი-ქვა, საფეიქრო საგნები ტყავეულობა, საამშენებლო საგნები და სათბობი მასალა.

ბირჟების სავაჭრო ბრუნვის განაწილება ცალკე კონტრაგენტების მიხედვით ასეთია: გაყიდვაში სახელმწიფო ორგანიზაციების ხვედრითი წონა გადიდებულია მაისთან შედარებით 5%-ით და კერძო წამოწყებათა 1,1%-ით. შემცირებულია კოოპერაციის წონა 4,9%-ით, შერეულ სააქციო საზოგადოებათა 1,1%-ით, ყიდვაში, პირიქით, სახელმწიფო ორგანიზაციათა წილი შემცირებულია 8,1%-ით და კერძო წამოწყებების 0,9%-ით, გადიდებულია შერეული სააქციო საზოგადოებათა 4,3% და უმნიშვნელოთ კოოპერაციის.

საერთო საბირჟო ბრუნვიდან სასოფლო ნაწარმოებზე მოდის 27,5%-ით (მაისში 311%-ით), მოდიოდა სამრეწველო ჯგუფზე 72,5%-ი.

საერთოდ, ბრუნვის განაწილება კონტრაგენტთა ჯგუფების მიხედვით მნიშვნელოვან ცვლილებას არ იძლევა, მხოლოდ აღსანიშნავია გაყიდვაში კოოპერაციის მონაწილეობის შემცირება, რაც აიხსნება ნედლეულობის გაყიდვის შემცირებით, რომლის გასასყიდად გამოდის ჩვეულებრივად კოოპერაცია.

ჯერ-ჯერობით ანგარიშის ნაღდ ფულზე გასწორების პროცენტი მაღალ დონეზე დგას, თუმცა ივნისის თვეში ნაღდ-ფულზე ანგარიშის გასწორების პროცენტმა იკლო (73,1%-იდან მაისში 63,1%-ღე ივნისში).

ცალ-ცალკე საქონლის ბაზრების მდგომარეობა ისეთივეა, (როგორც წინა თვეში) მაღალი ხარისხის ფქვილის საფეიქრო ფაბრიკატების, რკინეულობის და ფერად ლითონის ნაკლებობა) და ამასთანავე გაძლიერდა მიწოდება ცემენტის და სატყეო მასალის, რომელმაც გადააჭარბა კიდეც მოთხოვნილებას. ბაზარზე საკმაო რაოდენობით მოიპოვება შაქარი. გაცხოველებულია მოთხოვნილება ტყავეულობაზე, სილიკატზე, გაზაფხულის მატყლზე. კარგათ მიმდინარეობს აბრეშუმის პარკის დამზადება, რომლის მოწოდებაც, როგორც მიღებულ ცნობებიდან სჩანს გადააჭარბებს გათვალისწინებულ დამზადების გეგმას.

ფასები და ინდექსები

წინა თვეში აღნიშნულ საცალო ფასების საერთო ინდექსის შემცირების ტენდენცია გრძელდება ივნისის თვეშიაც, საერთო ინდექსი მთელი რესპუბლიკისათვის (ს. ხ. ც. ხ.) შემცირებას იძლევა 1,1%-ით, თბილისის-კი 2,5%-ით. შემცირებულია უფრო მეტად სასოფლო-სამ. საგნების ფასები, რომლის საერთო დონემ დაიწია რესპუბლიკაში 1,7%-ით და კერძოთ თბილისში 4%-ით. იმავე დროს სამრეწველო საგნების ინდექსი რესპუბლიკაში დაწეულია მხოლოდ 0,7%-ით, თბილისში მათი საერთო დონე სტაბილური რჩება. სას.-სამეურნეო ინდექსის (191,2) დაშორება სამრეწველო საგნების ინდექსის (262,9) მიმართ მატულობს 1 -ით.

ასეთი უარყოფითი მოვლენა შესაძლებელია გამოწვეული იყოს ნაწილობრივ ზოგიერთ ზოგადი ხასიათის სამომხმარებლო სამრეწველო საგნების ნაკლებობით, ნაწილობრივ კი მომავალ ახალ მოსავლის რეალიზაციით, რომელიც საშუალოზე მეტი მოსავლისა იმედებს იძლევა.

რესპუბლიკის საერთო ინდექსი შარშანდელ ინდექსთან შედარებით შემცირებულია 0,4%-ით, თბილისი კი გადიდებულია 4,1%-ით. ორ ინდექსთა შორის (სახ.-სამ. და სამრეწველო) დაშორება შარშანდელ ივნისში უფრო მეტი იყო (85,3%-ით), ვიდრე მიმდინარე წლის (81,3%-ით) საგნების ჯგუფობრივი ინდექსები, გარდა საბაყლო და არა საბაყლო სასურსათო საგნებისა და რძის ნაწარმოებისა, რომლებიც ზრდას იძლევიან, აგრეთვე ღვინისა, რომელიც სტაბილური რჩება, ყველა დანარჩენი ჯგუფები შემცირებას იძლევიან.

თბილისის ჯგუფობრივი საბითუმო ინდექსები შემცირებულია მხოლოდ პურეულობის და ფურაჟის ფასების (4%-ით) და ხორცეულის (3%-ით), ყველა დანარჩენის კი უცვლელი რჩება.

ფინანსები და კრედიტი

სახელმწიფო შემოსავალი ივნისში 2,09 მილ. მან.*) წინა თვესთან შედარებით შემცირებას იძლევა 23,4 -ით, რაც უმთავრესად საკავშირო ბიუჯეტში შემოსავალი თანხების ხარჯზე ხდება, შემოსავალი შემცირებულია 2,5%-ით რესპუბლიკანური ბიუჯეტით და 35,5%-ით საკავშირო ბიუჯეტით, ფედერატიულ ბიუჯეტით კი შემოსავალი მატულობს 11,5%-ით.

რესპუბლიკანურ ბიუჯეტით პირდაპირი გადასახადები, რომლებიც მთავარ საშემოსავლო წყაროს შეადგენენ, მატულობენ—7,7%-ით, თუმცა მათი შემოტანის ვადა უკვე გასულია. საერთოდ პირდაპირი გადასახადების შესრულება დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს, კერძოთ სასოფლო-სამეურნეო გადასახადი 1-ლი ივლისისათვის შესრულებულია 90,7%-ით, გასავალი უდრის 2,5 მილ. მან.*) და წინა თვეში სამივე ბიუჯეტებით გაწეულ სახელმწიფო ხარჯებს აღემატება 4,5%-ით. გასავლის გადიდება მოხდა თავდაცვის ფონდებიდან გაცემულ თანხების ხარჯებზე.

კრედიტი. საკრედიტო დაწესებულებათა სესხის და განაღდების ნაშთი, რომელიც შემცირებას იძლეოდა (1,9%-ით) ივნისში 4,2%-ის ზრდით ხასიათდება, ეს ზრდა საქართველოს ბანკებში უფრო მცირეა (1,0%-ით); ამავე დროს შემცირებულია ანაბართა და სახელდახელო ანგარიშების ნაშთი, როგორც ყველა ალებულ ბანკებში, ისე კერძოთ საქართველოსი, სათანადოთ 2,2 და 2,6 -ით. აღნიშნულთან დაკავშირებით სალაროს ნაშთი კლებულობს საერთოდ 5,4%-ით, საქართველოს 4,9%-ით.

გადიდებულია კრედიტები კლიენტურისათვის საერთოდ 4,2%-ით, კერძოთ საქართველოს კლიენტურისათვის 5,5%-ით. სახალხო მეურნეობის დარგების მიხედვით წინა თვესთან შედარებით გადიდებულია საქართველოში კრედიტები: მრეწველობას**) 0,1%-ით, ვაჭრობას 19,1%-ით. საკრედიტო დაწესებულებებს 11,1%-ით და კომუნალურ მეურნეობის 7,3%-ით.

ცალკე კლიენტურის ჯგუფების მიხედვით, გარდა კერძო კლიენტურისა, ყველა დანარჩენი დავალიანება გაზრდილია. კერძო კლიენტურის დავალიანება შემცირდა 27,3 -ით. ვაჭრობის დავალიანების გადიდება დაკავშირებულია სეზონურ სასოფლო - სამეურნეო ნაწარმოების დამზადებასთან.

განსაჩივრებული თამასუქების რიცხვი კლებულობს 14,5%-ით, ღირებულობის მიხედვით კი 41,8%-ით .

როგორც ზემოაღნიშნულიდან სჩანს კრედიტი საერთოდ ივნისის თვეში გაუმჯობესება ემჩნევა.

მოკლეთ სახალხო მეურნეობის მდგომარეობას ახასიათებს:

1. მოსავლის მდგომარეობა ივნისში შესამჩნევად გაუმჯობესებულია და საშუალოზე მეტი მოსავლის იმედებს იძლევა.
2. მთავარი სოფლის ნაწარმოების დამზადება დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს.
3. ვაჭრობას გამოცოცხლება ეტყობა, რასაც ხელს უწყობს ალებ-მიცემაში გარიგების პირობების გაუმჯობესება, კრედიტის გადიდება, ზოგიერთ სეზონურ სასოფლო-სამეურნეო ნაწარმოების დამზადება და გეგმიანი საქონლის შემოტანის გაძლიერება და სხვა.
4. მრეწველობის პროდუქციის არა მნიშვნელოვანი შემცირება ემჩნევა სეზონის პირობებთან დაკავშირებით. იმავე დროს ერთ კაცის გამომუშავების გადიდება ტექნიკურ პირობების და უმთავრესად შრომის გაუმჯობესების ორგანიზაციით აიხსნება.
5. სტაბილური მდგომარეობა უმუშევრობის დარგში.
6. დაშორება სასოფლო მეურნეობის და მრეწველობის ინდექსების შორის.

◆

---

*) იმპორტის ნაწილი შეიძლება გატანილ იქნას.

*) არ შედის ახალციხის სალაროს შემოსავალი.

*) არ შედის ახალციხის სალაროს გასავალი.

**) შედის მრეწველობაში ადგილობრივ საკავშირო ფილიალებისთვის გაცემული კრედიტი ფაქტიურად ხორციელდება ვაჭრობაზე.

პარტიული ცხოვრება

პარტიის მთლიანობის სადარაჯოზე

გაერთიანებული უჯრედების რეზოლიუცია

საქ. კომპარტიის (ბ) თბილისის ორგანიზაციის მესამე რაიონის უჯრედების ტყავეულის ტრესტის, საპნის სახდელ ქარხნის, ქალაქის სასაკლაოების, სადგურ ნავთლუღის, მაკარონის ფაბრიკის, ტრიკოტაჟის ფაბრიკის, ჯაგრის სახელოსნოს, სახალხო კვების, ქალაქის აბანოების და სხ. უჯრედების გაერთიანებულმა კრებამ მოისმინა რა ამხ. კახიანის მოხსენება საკავშირო კომპარტიის ცეკას და ცენტ. საკონტროლო კომისიის გაერთიანებული პლენუმის მუშაობის შესახებ, მესამე რაიონის უჯრედების გაერთიანებული კრება სავსებით უერთდება ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის პლენუმის თბილისის ორგანიზაციის ქალაქის აქტივთან ერთად მიღებულ რეზოლიუციებს და მოუწოდებს პარტიის ყველა წევრებს მთლიანობისაკენ.

უჯრედების გაერთიანებული კრება გადაჭრით ჰკიცხავს „ახალი ოპოზიციის“ გამთიშავ მოქმედებას და აცხადებს, რომ იგი, როგორც თბილისის ორგანიზაციის ნაწილი მხარს დაუჭერს ლენინურ ცეკას იმ ბრძოლაში, რომელსაც ის აწარმოებს პარტიის გათიშვისაკენ მიმართულ ყოველგვარი ცდების წინააღმდეგ.

გაუმარჯოს ჩვენი პარტიის მთლიანობას!

გაუმარჯოს ცეკას სიმტკიცეს და შეურყევლობას!

უჯრედების გაერთიანებული კრების რეზოლიუცია

ქალაქის საავადმყოფოს, ამ.-კავკ. სახ. ვაჭრობის, მეტყევეთა, აღმშენებელთა, მეორე საპნის სახდელ ქარხნისა და სხ. უჯრედების გაერთიანებულმა კრებამ მოისმინა რა ამხ. პავლუნოვსკის მოხსენება საკავშირო კომპარტიის ცეკას და ცენტ. საკონტროლო კომისიის გაერთიანებული პლენუმის მუშაობის შესახებ, კრება სავსებით იწონებს პლენუმის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს და ერთხმად უერთდება მათ. პოლიტბიუროს წევრ ამხ. ზინოვიევის ფრაქციულ მოქმედებას ბოლშევიკური მონოლიტური პარტიის რიგები, რომლებიც ამხ. ლენინის მიერ არიან გამოჭედილი, სათანადო პასუხს გასცემენ.

ძირს ფრაქციულობა ჩვენს პარტიაში!

გაუმარჯოს რკინის მთლიანობას და შემჭიდროებას!

გაუმარჯოს მთლიან, მონოლიტურ ლენინის პარტიას!

ხაშურის პარტაქტივის რეზოლიუცია

კომპარტიის ხაშურის ორგანიზაციის პარტაქტივის კრება, მოისმინა რა მან ამხ. საყვარელიძის მოხსენება საკავშირო კომუნისტური პარტიის, ცენტრალური კომიტეტის და საკავშირო საკონტროლო კომისიის პლენუმის შედეგების შესახებ, **მთლიანად და სავსებით უერთდება და იწონებს იმ გადაწყვეტილებას**, რომლებიც მიღებული იყო პლენუმის მიერ.

კრება გამოსთქვამს თავის აღშფოთებას ახალი ოპოზიციის გამოსვლის გამო, რომელსაც ასულდგმულებდა პოლიტბიუროს წევრი ამხ. ზინოვიევი და ერთი რიგი ამხანაგებისა, რომელთა მუშაობა გამოიხატება მე-14 პარტყრილობის დადგენილების დარღვევაში და ლენინის პრინციპების დამახინჯებაში.

ახალი ოპოზიციის გამოსვლა, რომელსაც სარჩულად უდევს გამთიშავი პოლიტიკა და არა ლეგალური ფრაქციული მუშაობა, პარტიას აყენებს განხეთქილების საფრთხის წინაშე, რომლის წინააღმდეგაც კრება სასტიკათ ილაშქრებს, კრება აგრეთვე ილაშქრებს იმათ წინააღმდეგ, ვისაც სურს, რომ პარტიას დისკუსია მოახვიოს თავზე, რასაც შეუძლია პარტიისა და მუშათა კლასის ნებისყოფის შესუსტება და სოციალისტური მშენებლობის ტემპის შენელება.

ხაშურის ორგანიზაცია გადაჭრით აცხადებს, რომ 1) იგი იბრძოლებს ლენინიზმის დამახინჯების წინააღმდეგ, როგორც სჩვევია ფოლადისებურ ბოლშევიკურ პარტიას, 2) აწარმოებს ყოველგვარ მუშაობას საკავშირო კომპარტიის მე-14-ე ყრილობის გადაწყვეტილებათა საფუძველზე და 3) არ დაუშვებს არავითარ ჯგუფობრივობას და ფრაქციულობას მთლიან ბოლშევიკურ პარტიაში.

გაუმარჯოს პარტიის მთლიანობას.

გაუმარჯოს კომუნისტური პარტიის კოლექტიურ ხელმძღვანელს ცენტრალურ კომიტეტს.

მუშაობა საბჭოების წევრ მუშა და გლეხ ქალთა შორის

ცეკასთან არსებული მუშა და გლეხი ქალებს შორის მომუშავე განყოფილება შეუდგა პარტიის ცეკას იმ დირექტივების განხორციელებას, რომლის ძალით საბჭოების წევრი მუშა და გლეხი ქალები უნდა იქმნან ჩაბმული პრაქტიკულ მუშაობაში და მათ შორის უნდა სწარმოებდეს სისტემატიური მუშაობა. გამოირკვა, რომ ადგილობრივი პარტკომები, საბჭოებისა და აღმასკომების ფრაქციები არ აქცევდენ დღემდე ამ მუშაობას სათანადო ყურადღებას. ამ საკითხის შესახებ დაგზავნილი ცაკის ცირკულიარი, რომელიც პრაქტიკულ დირექტივებს შეიცავდა, არ იქმნა დამუშავებული ადგილობრივ და არც გატარდა ცხოვრებაში.

მუშა და გლეხ ქალთა შორის მომუშავე ცეკას განყოფილებამ ამ საკითხის შესახებ გააკეთა მოხსენება ცაკის პრეზიდიუმის სხდომაზე. უკანასკნელი დაეთანხმა განყოფილების დასკვნებს და მოკავშირე რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს დაუგზავნა დამატებითი ცირკულიარი.

ცირკულიარში აღნიშნულია რომ მეტი ყურადღება უნდა მიექცეს საბჭოთა ორგანოებში არჩეულ მუშა და გლეხ ქალთა შორის მუშაობის შესახებ გამოცემული სახელმძღვანელო დირექტივების ცხოვრებაში გატარებას და სათანადო ახსნა-განმარტება მიეცეს ადგილებს.

გარდა ამისა, უნდა სწარმოებდეს ამ მუშაობის სისტემატიური შემოწმება და აღრიცხვა.

გადარჩევამ სუსტი მხარეები გამოაშკარავა

(გაგრა, აფხაზეთი)

კომუჯრედების ბიუროების გადარჩევა გაგრის ორგანიზაციაში დაიწყო 10 ივლისს.

ბიუროების გადასარჩევად პარტკომმა გამოყო კომისია,—ადგილობრივად იმართება კომუჯრედების სხდომა, კომისია ათვალიერებს კომუჯრედის საქმეებს, იკვლევს უჯრედის მუშაობას და ისმენს კომუჯრედის მდივნის საანგარიშო მოხსენებას.

მოხსენებიდან და კომისიის გამოკვლევიდან აღმოჩნდა, რომ უჯრედები ნაკლებ ყურადღებას აქცევდენ საბჭოთა აღმშენებლობას და მეურნეობის საქმეს სოფლად.

უჯრედებში სასოფლო-სამეურნეო საკითხები არ ირჩეოდა.

პოლიტუცოდინარნი და წერა-კითხვის უცოდინარნი ჯერ კიდევ ბევრი ითვლება უჯრედებში.

პოლიტმეცადინეობის საქმე ვერ იყო რიგზე დაყენებული, უჯრედის წევრების დიდი უმეტესობა მეცადინეობას არ ესწრებოდენ.

ნაკლებ ყურადღებას აქცევს უჯრედები აგრეთვე სოფლად გავრცელებულ მიწების ყიდვა-გაყიდვას. არ არის ყურადღება მიქცეული უჯრედების ზრდაზე; არ სწარმოებს მუშაობა უპარტიო გლეხობაში, არ არის აღრიცხული და გამოყენებული სოფლების აქტივი, არიან გლეხები, რომელთაც სურთ პარტიაში შესვლა. მაგრამ უჯრედები ამას ნაკლებ ანგარიშს უწევენ.

ქალთა შორის მუშაობაც ძალზე მოისუსტებს; გაგრის მაზრკომის ქალთა განყოფილება 4 თვეა არავითარ ხელმძღვანელობას არ უწევს ადგილობრივ ქალთა ორგანიზაციების მუშაობას.

მოისუსტებს გარდა ამისა მუშაობა ღარიბ გლეხთა ჯგუფებ შორისაც, რომელთა რიცხვი დიდია კოლხიდა-ალხადზინის რაიონში. ამ რაიონში მოჯამაგირეთა რიცხვი აღწევს 300-დე და არც ერთ დამქირავებელთან არ არის დადებული კოლექტიური ხელშეკრულება.

გლეხკომები მხოლოდ ფორმალურად არსებობენ. წევრები მათ არ ყავთ, ფონდი სრულიად არ მოეძებნებათ. უჯრედებმა არ იციან, თუ როგორ გაუწიონ მათ ხელმძღვანელობა. საბჭოსთან და სხვა ორგანიზაციებთან კომუჯრედებს სუსტი კავშირი აქვთ.

მუშაობა შეიძლება წაიწიოს წინ. მხოლოდ საჭიროა მეტი ენერგია და გეგმიანი პრაქტიკული მუშაობა. ახალ ბიუროებს ევალებათ პარტიის ამოცანების უფრო მეტ ნაყოფიერად გადაწყვეტა.

ია.

საკავშირო კომპარტიის ცეკაში

მასიური ნებაყოფლობითი საზოგადოებანი სოფლად

ცეკას საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებამ მოისმინა მოხსენება სოფლად მომქმედ მასიურ ნებაყოფლობით საზოგადოებათა მუშაობის გამოკვლევის შესახებ. აღნიშნულია, რომ საზოგადოების მიერ სავსებით არ არის შესრულებული დირექტივი, რომელიც შეეხება ნებაყოფლობით საზოგადოებებში წევრების მექანიკურ და მასიურ ჩაბმას, ნაკლები ყურადღება ექცევა აგრეთვე ფასიანი აპარატის შემცირებას და გადამეტებულ ცენტრალიზმის აღმოფხვრას. ნებაყოფლობითი საზოგადოებათა ფრაქციებს დაევალათ ორი კვირის განმავლობაში გამოიმუშაონ ამ დირექტივების შესრულების კონკრეტიული გეგმა უახლოესი 3 თვისათვის.

შემდეგ ცეკას საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებამ საჭიროთ სცნო მოიწყოს საზოგადოებათა უჯრედები მხოლოდ იქ, სადაც არსებობს მტკიცე ნიადაგი მოწყობილ უჯრედის პრაქტიკულ მუშაობის ჩასატარებლად.

ნებაყოფლობითი საზოგადოებათა სოფლის ორგანიზაციებში პროლეტარულ გავლენის უზრუნველსაყოფად საჭიროთ იქნა ცნობილი მათი მოქმედება უწინარეს ყოვლისა მიმართული იქნას სოფლის პროლეტარულ და ნახევრად პროლეტარულ ფენების დარაზმვისაკენ, ამ ფენებიდან უნდა გამოიყოს საზოგადოებათა აქტივი. საჭიროა აგრეთვე მიექცეს ყურადღება აქტივის კვალიფიკაციის აწევას სპეციალურ თათბირების მოწვევით, კურსების მოწყობით და მათთვის სათანადო ლიტერატურის მიწოდებით. ცეკას საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება აღნიშნავს, რომ ნებაყოფლობით საზოგადოებებში სოფლად ხვდებიან კულაკური და პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლებისადმი მტრულად განწყობილი ელემენტები იმ მიზნით, რათა საზოგადოების ორგანიზაცია გამოიყენონ თავიანთი ინტერესებისათვის. ამიტომ საჭიროა ამ მოვლენის უფრო დეტალურად შესწავლა და მასთან ბრძოლის წარმოება.

საზოგადოებათა მიმდინარე მუშაობა უნდა იქნას მიმართული საბჭოთა ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოების დახმარებისაკენ სხვადასხვა ღონისძიებათა ცხოვრებაში გასატარებლად (საზოგადოების ამოცანების მიხედვით) და მჭიდროთ უნდა იქნას დაკავშირებული ადგილობრივ საბჭოსთან.

ცეკას საგიტ. საპროპ. განყოფილება აღნიშნავს, რომ ნებაყოფლობით საზოგადოებებში არასაკმარის მონაწილეობას იღებს სოფლის ინტელიგენცია და ამიტომ მას საჭიროდ მიაჩნია, რათა უფრო საფუძვლიანად იქნას გამოყენებული სოფლის ინტელიგენციის ცოდნა და გამოცდილება ნებაყოფლობით საზოგადოებათა პრაქტიკულ მუშაობაში. საზოგადოებათა გამგეობაში და უჯრედებში უმთავრესად უნდა იქნან ჩაბმული პარტიის წევრები მოჯამაგირეების, ღარიბ და საშუალო შეძლების გლეხების წრიდან.

საბჭოთა საქართველო

დეპეშები

წითელი წერაქვის კვირეული

ფოთი, 5 აგვისტო. ინგლისის გაფიცულ მემაღაროელებთან სოლიდარობის ნიშნათ კომკავშირმა ჩაატარა „წითელი წერაქვის“ კვირეული და ქალაქში მოაწყო მანიფესტაციები. მოეწყო აგრეთვე ყულაბებით ფულის შეგროვება.

ნავთსადგურის გასამაგრებელი მუშაობა

ფოთი, 5 აგვისტო. ნავთსადგურში სწარმოებს გაცხარებული მუშაობა ნავთსადგურის სამხრეთ ნაწილის გასამაგრებლათ. დამზადებულია 49 ვებერთელა ქვა-ბეტონი მასივი. სწარმოებს აგრეთვე მუშაობა ფარნების შესაკეთებლათ.

ნავთსადგურის მუშაობათა გამოსაკვლევათ ჩამოვიდა ნავთსადგურების განყოფილების მთავარი ინჟინერი კრეპიუხინი.

სახლები მუშებისათვის

ფოთი, 5 აგვისტო. დამთავრდა ორსართულიანი ქვის სახლის საძირკვლის ჩაყრა; ეს სახლი მუშებისათვის შენდება.

ბამბის თესლის გატანა ინგლისში

ფოთი. 5 აგვისტო. ბამბის პროდუქტის საზოგადოება აწარმოებს გაძლიერებულ ექსპორტს ბამბის თესლეულობისას ინგლისში.

აზერბეიჯანიდან ფოთში ყოველდღიურათ მოდის 20—25 რონოდა ბამბის თესლეულობისა.

ნავთსადგურში

ფოთი, 5 აგვისტო. ჩამოვიდენ საბჭოთა სავაჭრო ფლოტის გემები: „ტეოდორ ნეტტე“, „ლენინ“, „ივან სერგეევი“ და იალქნიანი მატორიანი ხომალდი „წითელი მეომარი“. გემებმა სპარსეთისთვის მოიტანეს 24 რონოდა თავი შაქარი, საშუალო აზიისთვის 6 რონოდა ჩაი და ამიერ-კავკასიისათვის 21 რონოდა თეთრი ფქვილი.

ჩამოვიდა საბჭოთა სავაჭრო ფლოტის გემი „ვასილ ფომინი“, რომელმაც ზაჰესისათვის მოიტანა 30.000 ფუთი ცემენტი.

ტრაქტორები და მანქანები

ქუთაისი, 5 აგვისტო. სასოფლო-სამეურნეო ბანკის ქუთაისის განყოფილებამ შეიძინა და დასავლეთ საქართველოს სოფლებში გაგზავნა გლეხებს შორის გასანაწილებლათ 300 კულტივატორი. სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობა „საჩხერე“-მ მიიღო ჰოლდის სისტემის ტრაქტორი.

გაფლანგვა და უყაირათობა

ქუთაისი, 5 აგვისტო. ქუთაისის უმუშევართა კოლექტივში გამოაშკარავდა უყაირათობა და გაფლანგვა.

ბამბის საწმენდი ქარხნის აგება

ქუთაისი, 5 აგვისტო. დიდი ჯიხაიშის სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობა შეუდგა ბამბის გამწმენდ ქარხნის აგებას. სასოფლო-სამეურნეო ბანკის ქუთაისის განყოფილებამ ამხანაგობას გაუხსნა ქარხნის ასაშენებლათ 3.500 მან. კრედიტი.

მოჯამაგირეთა კონფერენცია

ქუთაისი, 5 აგვისტო. მაზრის მოჯამაგირეთა კონფერენცია შეიკრიბება ქუთაისში 10 აგვისტოს. დღის წესრიგშია: მოხსენებები მიწატყის კავშირისა, კომკავშირისა, ქუთაისის სამაზრო კომიტეტის წარმომადგენლის და შრომის დამცველ ინსპექტორის.

გზა ონს და შოვს შუა

ქუთაისი, 5 აგვისტო. დამთავრდა საავტომობილო გზის აგება ონსა და შოვის კურორტს შორის. შოვსა და მამისონის უღელტეხილის შორის, გამავალი გზის შეკეთება სწარმოებს.

ნათესების მდგომარეობა

ქუთაისი, 5 აგვისტო. ნათესების მდგომარეობა ქუთაისის მაზრაში 5 ნიშნიანი სისტემით 1 აგვისტოსთვის გამოიხატება შემდეგნაირათ: სიმინდი 4, ბაღები 2, 8, ვენახები—4, ბამბა 3, კაკალი 3, 2, ბოსტნეული 3, 3, ბაღჩა 3, 2; ხორბლის მოსავალი იყო საშუალო. პური უკვე მომკილია. ბამბის ნათესები მცირეოდენ გაუმჯობესდენ.

აფხაზეთი

ნათესების მდგომარეობა

სოხუმი, 5 აგვისტო. ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს ცნობების მიხედვით სასოფლო-სამეურნეო კულტურის მდგომარეობა 1 აგვისტოსთვის გამოიხატება შემდეგი ნიშნებით: სიმინდი 3, 6, თამბაქო 3, 4, ბამბა 3,1; ვენახი 3; 6; ხილის ბაღები 3, 1, ფუნდუკი 2, 3, ციტრუსი 3, ბოსტნეული 3, 1.

პოლიტგანათლება

სოხუმი, 5 აგვისტო. სოხუმის პარტიული კომიტეტი შეუდგა პოლიტსკოლების ქსელის გაფართოებას; აგრეთვე შექმნილია პოლიტცოდნის სკოლების ხელმძღვანელთა კურსები. მეცადინეობა სკოლებში დაიწყება სექტემბერში.

აჭარისტანი

ყალბი პლომბების მკეთებელთა საქმე

დ. რუხაძის საქმე

ბათომი, 5 აგვისტო. უმაღლეს სასამართლოს სამოსამართლო კოლეგიამ უმაღლესი სასჯელი გადაუწყვიტა დომენტი რუხაძეს, რომელსაც ბრალად ედებოდა მოქალაქე მონიავას მოკვლა და მონიავას ძმის და მილიციონერის დაჭრა.

აჭარისტანის ცაკმა უმაღლესი სასჯელი შესცვალა 10 წლის სასტიკი იზოლიაციით და უფლების აღკვეთით ათი წლის ვადით.

ბათომი, აგვისტო. აჭარისტანის უზენაესმა სასამართლომ საკასაციო წესით განიხილა კოლოსოვის, მისი დის სიდოროვიჩის, კარპოვის და ინწკირველის საქმე, რომელთაც ბრალდებათ ყალბი პლომბების კეთება.

პირველად საქმის გარჩევის დროს კოლოსოვს და სიდოროვიჩს მიესაჯათ სოციალურ დაცვის უმაღლესი ზომა, ხოლო კარპოვს და ინწკირველს—5 წლის ციხე.

საქმის მეორეჯერ განხილვის შემდეგ კოლოსოვს უმაღლესი ზომა შეეცვალა 10 წლის დაპატიმრებით სიდოროვიჩი სავსებით გამართლდა. კარპოვს მიესაჯა—5 წლის ციხე, ხოლო ინწკირველი მამხილებელ საბუთების უქონლობის გამო სავსებით განთავისუფლებული იქნა სასჯელისაგან.

„ლურჯი ხალათი“ სოფლად

ბათომი, 5 აგვისტო. „ლურჯი ხალათის“ ბათომის კოლექტივმა, რომელიც არსებობს სამთომადნო მუშათა კავშირთან, მოაწყო მოგზაურობა ოლქში. განზრახულია გამგზავრება ბახუნცეთში, ქედაში, ხულოში და სხვ.

ამ დღეებში კოლექტივი დაბრუნდა ჭიათურიდან, სადაც დიდი წარმატებით გამართა რამდენიმე წარმოდგენა და დაარსა ჭიათურაში „ლურჯი ხალათის“ კოლექტივი. ასეთივე კოლექტივები მოწყობილია ტრანსპორტის მუშათა და აჭარის წყლის ჰიდრო-სადგურის მუშების კავშირთან.

უცნაური წელი

(გარე-კახეთი, სართიჭალა)

სართიჭალის თემში მოსავალმა პირი არ გაიმართლა. წელს გლეხები დიდ იმედებს ამყარებდენ მოსავალზე, რადგან პურები ძალიან კარგი იყო, როგორც სიმაღლით ისე სიხშირით. მაგალითად სოფ. როზენფელდის გლეხებს პურების სიმაღლე საჟენსაც აღწევდა. მაგრამ აქ მოხდა უცნაური რამ. მომკის დრო რომ მოვიდა, გერმანელების პური უთავთავო და უმარცვლო აღმოჩნდა. მთელი მოსავალი მოიმკა და გადავიდა მზეთ. სართიჭალელებს თუმცა მაღალი ყანა არ ქონიათ, მაინც ზოგიერთ ალაგას გერმანელებზე კარგი მოსავალი აკრიფეს.

რაც შეეხება ვენახებს და ხილს, ვენახები სართიჭალელებს და გერმანელებს დაისეტყვათ. ამ სურათის შემდეგ გერმანელები იძახიან: რაშია საქმე? სართიჭალელი ქართველები თითქმის არ ლოცულობენ, მათი ხალხი ბევრი კომუნისტებია, ჩვენ ყველაზე მეტს ვლოცულობთ, და აქ ღმერთმა მოგვაჩვენა დიდი მოსავალი, მაგრამ თავ-თავს არაფერი მისცაო. ქართველებს, ურწმუნოებს კი მოსავალი მოუვიდათ“.

როზენფელდის გლეხებმა სასწრაფოთ მოიტანეს 5 ყუთი სეტყვის რაკეტები, შესდგა ტრაქტორთა ამხანაგობა, ერთი უკვე ნაყიდია, და მოსავლის დაზღვევაზედაც ლაპარაკობენ.

ა. სეხნიაშვილი.

დავიმშენით

(ს. კაკაბეთი, სიღნაღის მ.).

წასული წლის მოუსავლიანობის გამო ჩვენ სულ გაჭირვებაში ვართ. გლეხობამ ვერ დათესა საკმარისი პირნახული, რადგან საკვები პურიც არა ჰქონდათ. სათესლე პურის შოვნა ძალიან გაძნელდა.

სამაზრო ხელისუფლებამ საკვებათ მოგვცა ორი ვაგონი ხორბალი, ჩვენ ეს პური მოვიხმარეთ სათესლეთ. ჩვენდა საუბედუროთ ამ ხორბალმა ჩვენს მიწაზე არ ივარგა და შრომა უნაყოფოთ დაიკარგა.

წასულ წელს ხელისუფლება ძალიან შეგვეწია, დახმარების სახით გლეხობას მისცეს 25 ვაგონი ხორბალი. და ამ წელსაც სოფელს თავს დაატყდება დიდი შიმშილი. სათესლე პურიც არ მოგვეპოვება, თორემ საკვები ხომ არ გაგვაჩნია. რაც სეტყვას გადაურჩა, ისიც დაუსრულებელ წვიმების გამო მინდორში გვილპება.

ეს უბედური საქონლის ჭირიც აღარ გაგვეშორდა. აუარებელი საქონელი გასწყვიტა. იმედია საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ბანკი აღმოგვიჩენს დახმარებას კაკაბეთის საკრედიტო ამხანაგობის მეშვეობით მუშა საქონლის შეძენის საქმეში.

გ. თამაზაშვილი.

წერილებიდან

წავკისი. (თბილისის მაზრა)

სარევიზიო კომისიას სძინავს. ჩვენს თემში არსებობს კოოპერატივი, რომელსაც გამგეობაც ჰყავს და სარევიზიო კომისიაც. უკვე რვა თვეა და სარევიზიო კომისიას რევიზია ერთხელაც არ მოუხდენია. ვინ გააღვიძებს მას?

ნიავი.

ბორჯომში

უზრდელი ტყის გამგე. აქ არის ტყის გამგეთ ვინმე მარგველაშვილი, რომელმაც თავისი უზრდელობით აიკლო გლეხობა. ყველას ისე უბაკუნებს ფეხს, გეგონება ძველი ბოქაულიაო. სამსახურში მაშინ გამოცხადდება, როცა მოეპრიანება. თუ ვინმემ რამე უთხრა, იქაურობას ყვირილით და გინებით აიკლებს. კარგი იქნება, რომ ვინმე გამოჩნდებოდეს მარგველაშვილის უზრდელობის ექიმათ.

ხუთი გლეხი.

საგარეჯო (გარე-კახ.).

კინომ დაგვივიწყა. მოძრავი კინო წინად ხშირად სტუმარი იყო საგარეჯოში. სამ კვირაში ერთხელ მაინც მოდიოდა. ეხლა კი ორნახევარი თვე იქნება კინო-სურათი აქ არ წასულა. ვიცით, რომ მოძრავი კინო დადის სართიჭალაში და ხაშმში, საიდანაც აგვიქცევს ხოლმე ჩვენ გვერდს და სხვაგან მიემართება. რას მიეწერება ამგვარი უყურადღებობა?

ურანი.

ზემოთ-გულუხეთის თ. (სენ. მ.).

მოკრივე თავმჯდომარე. თემაღმასკომის თავმჯდომარე გიორგი კიკაბიძემ ორჯერ სცემა ადგილობრივ თეატრში გ. გიგინეიშვილს. დამსწრე გლეხები ამ სურათით აღშფოთებული არიან. ვინ მისცა თავმჯდომარეს მუშტ-კრივების უფლება, როგორ უნდა დაიცვას მან ამის შემდეგ წესრიგი სოფლად?

წყლისპირელი.

საგარეჯო (გარე-კახეთი)

რა უნდა გაკეთდეს? ჩვენს თემში არ ვარგანან პატარა ბოგირები. ძნით დატვირთული ურმები ამ ბოგირებზე ვერ გადის. ამასთანავე საჭიროა იხვის დიდი ხიდის შეკეთება. დაძველებული და დაზიანებულია 9 წლედის შენობა, თეატრი, სასამართლოში შესასვლელი კიბეები და მრავალი სხვა. აქაურ წერილებიდან, რომელნიც გაზეთებში იბეჭდება, ადგილობრივ ხელისუფლების ქების გარდა არაფერი სწერია. არ ვარგა თავის მომძინარება და ენერგიის მოდუნება.

ალ. ბ—ლი.

წერილები

ცრუ კორესპონდენტობის წინააღმდეგ

ჩვენ [illegible] შემთხვევა რამდენჯერმე აღვნიშნავს ერთი მეტად მავნე სენი, რომელიც თან სდევს ისეთ დიდ საზოგადოებრივ მნიშვნელობის მოვლენას, როგორიცაა მუშა-გლეხ კორესპონდენტთა მოძრაობა. ჩვენ ვლაპარაკობთ ეგრედ წოდებულ ცრუ-კორესპონდენტობაზე.

როგორც ვიცით, გაზეთს, პრესის ხმას ყოველთვის და განსაკუთრებით ჩვენს პირობებში დიდი მნიშვნელობა ეძლევა. გაზეთი სხვა თავის დანიშნულებასთან ერთად, სასტიკად ებრძვის ჩვენი სინამდვილის მახინჯ მხარეებს, რაც უნდა ითქვას სიმართლე, არც ისე იშვიათი მოვლენაა.

ამ ბრძოლაში მუშა და გლეხი კორესპონდენტები საბჭოთა გაზეთს დაუფასებელ სამსახურს უწევენ. ბევრი კიდევაც ჩივის, რომ მუშა და გლეხი კორესპონდენტები ასცდენ თავიანთ სწორ გზას და მთელ თავის ყურადღებას ბოროტმოქმედების მხილებას აქცევენ, მთავარი კი მხედველობიდან ეპარებათო.

ეს ერთი შეხედვით სწორი ბრალდება, არც ისე სწორი აღმოჩნდება, თუ ჩვენ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ჩვენი სინამდვილე, ჩვენდა სამწუხაროდ, ბლომადაა სიმახინჯით. მშრომელ კორესპონდენტების წერილებიც ამ სინამდვილის ანარეკლია და აბა, რა მათი ბრალია, თუ ამ კორესპონდენციებში სჭარბობს მამხილებელი წერილები.

მთავარი აქ ის არის, რომ მამხილებელი კორესპონდენცია სწორად აღნიშნავდეს სინამდვილეს და მას შეცდომაში არ შეჰყავდეს არც გაზეთი, არც მკითხველი მასა. სამწუხაროთ აქ ყველაფერი რიგზე არაა. არის შემთხვევები, როცა მუშა და გლეხ კორესპონდენტის სახელით რედაქციებს რაიმე ბოროტი განზრახვით აწვდიან ყალბ ცნობებს ვისიმე წინააღმდეგ.

ზაფხულობით, როცა სოფელს ემატება წერა-კითხვის მცოდნე ძალები, გლეხ კორესპონდენტების რიცხვი საგრძნობლათ იზრდება. მაგრამ ამისდა თანაბრად იზრდება ცრუ-კორესპონდენტობის სენიც.

ამ სენის წინააღმდეგ საბრძოლველად რედაქციებს სხვა მრავალ საშუალებებთან ერთად ერთი უებარი საშუალება გააჩნიათ. ესაა მხილება თვით ცრუ კორესპონდენტის, მისი მზის სინათლეზე გამოყვანა—ვინაობის გამოაშკარავება. ასეთი მაგალითები, როგორც მკითხველებს ემახსოვრება, არა ერთი ყოფილა.

ყველას უნდა კარგათ ახსოვდეს გაზეთის მნიშვნელობა და ფასი. არავინ არ უნდა სცადოს რედაქციის ნდობის ბოროტად გამოყენება. წინააღმდეგ შემთხვევაში, ნურავინ დაგვემდურება, თუ გაზეთიც მას სამართლიან სასჯელს მიუზღავს.

ა. ბ—ლი.

წითელ ჯარში

ჩვენი ნაწილი სამთავისის კომუნაში

(მე-4-ზე ლეგიონის მეთაურთა სკოლა)

25 ივლისს დილის 5 საათზე, გავედით სალაშქრო წესით სამთავისის კომუნისაკენ, ქვემო-ქალაში დასვენების შემდეგ საღამოს 5 საათისათვის სიმღერით მივედით სამთავისის კომუნაში.

მისვლისთანავე კომუნის წევრმა ამხ. ცხადაძემ დაგვათვალიერებია მთელი კომუნის მიდამო, თავის ინვენტარით, რის შემდეგ აგვიხსნა დაწვრილებით კომუნის მდგომარეობა და წესრიგი, რომელიც შემუშავებული აქვს კომუნის წევრებს.

ამხ. ცხადაძეს მისცეს აუარებელი შეკითხვები, რომელზეც ამომწურავი პასუხი გასცა ამხანაგმა.

კურსანტები განცვიფრებაში მოიყვანა წესრიგმა და სისუფთავემ, რომელიც სუფევს კომუნაში.

საღამოს კომუნის კლუბში ადგილობრივ ძალების საშუალებით გამართულ იქნა წარმოდგენა, რომელშიც მონაწილეობა მიიღენ აგრეთვე კურსანტებმა.

საერთოთ უნდა აღინიშნოს, რომ კომუნამ დიდი შთაბეჭდილება დასტოვა კურსანტებზე.

მეორე დღეს ნახულით კმაყოფილი ჩვენი ნაწილი დაბრუნდა სალაშქრო მოძრაობით თავის ნაწილისაკენ.

სასურველია წ.-არმიის ნაწილმა, სადაც კი ეს მოსახერხებელია, ნახონ ეს კომუნა.

სამხკორი **ხიშტი.**

ცვალებადელები ემზადებიან

(მე-6-სე ლეგიონის მეორე ათასეული)

ა.-წ. პირველ აგვისტოდან ჩვენი ლეგიონი უშვებს 1903 წელში დაბადებულ ცვალებად წითელარმიელებს. მომავალი წლის შეკრებამდი, ამისათვის წითელარმიელებში სწარმოებს გაცხოველებული მუშაობა, როგორც სამხედრო, ისე პოლიტიკურ დარგში. ეწყობა ლენკუთხეები სხვადასხვა საუბრებით. ყველა ცვალებადელები არიან დაინტერესებულნი, რათა ჩააბარონ გამოცდები და გათვითცნობიერებულნი დაბრუნდენ სოფლებში, არ დაივიწყონ თავიანთი წითელი ყაზარმა, სადაც მათ შეიძინეს ამ სამი თვის მეცადინეობით ის ცოდნა, რომელიც მათთვის საჭიროებას წარმოადგენდა. აქ მათ ისწავლეს ბევრი რამ, რაც გამოადგებათ სოფელში.

წითელარმიელი **პ. ლობჟანიძე.**

ვემსახუროთ ღარიბ გლეხებს

(მე-8-ე ლეგიონი)

ლეგიონის დაბანაკების ადგილას გლეხები შეუდგნენ პირნახულის დაგროვებას. ქვრივობლების და ღარიბ გლეხების დასახმარებლად ლეგიონმა გამოჰყო წითელარმიელების საკმაო რიცხვი. ეს ამხანაგები თავისუფალ დროს მიდიან სოფლად და ემსახურებიან გლეხებს ყანის მომკაში, გათოხნაში და სხვა სამუშაოში.

გლეხები სიხარულით ხვდებიან წითელარმიელებს.

კორესპონდენტობას ვსწავლობთ

(მე-8-ე ლეგიონი)

შესრულდა ექვსი თვე, რაც ჩვენი ლეგიონის სკოლაში ჩამოყალიბდა სამხკორთა წრე.

წითელარმიელები დიდ აქტივობას იჩენენ კედლის გაზეთის გამოცემის საქმეში და კოლექტიურ წერილების შედგენაში. კოლექტიური წერილები წრის მიერ ეგზავნება რომელიმე სოფლის ორგანიზაციას ჯარის ცხოვრების გაცნობის მიზნით.

წრეში მეცადინეობა კარგათ არის დაყენებული და ნაყოფიც შესამჩნევია. ბევრმა წითელარმიელმა ისწავლა კორესპონდენტობა, რაც გამოადგებათ სახლში დაბრუნებისას.

ი—ა.

პროფკავშირებში

მტვირთველ მუშების მოთხოვნა პროფსაბჭომ დააკმაყოფილა

13 ივლისს, ამხ. ყურულაშვილის თავმჯდომარეობით შემდგარმა პროფსაბჭოს პრეზიდიუმის სხდომამ გაარჩია საკითხი რ. კ. გზებზე მომუშავე მტვირთავ მუშების რკინისგზის დამზღვევ სალაროში გადარიცხვის შესახებ. ამ საკითხზე ვრცელი ინფორმაცია გააკეთა ამხ. გ. ყურულაშვილმა. მან აღნიშნა, რომ რკ. გზებზე მომუშავე მტვირთველი მუშები ირიცხებიან საერთო (ტერიტორიალურ) დამზღვევ სალაროში. თბილისის რკ. გზის უბანში მომუშავე მუშებს სურთ, რომ რკ. გზის დამზღვევ სალაროზე იქნენ მიწერილი. მათ ეს მიტომ უნდათ, რომ თბილისში რკ. გზელებს თავიანთი საავადმყოფოები და ამბულატორიები აქვთ. მტვირთავ მუშებს ეახლოებათ ამბულატორიები და საავადმყოფო.

სულ სხვა მდგომარეობაა მაზრაში. აქ მტვირთავ მუშებს სურთ დარჩენ საერთო (ტერიტორიალურ) დამზღვევ სალაროში. რკინისგზის მტვირთავ მუშებს საშუალება უნდა მიეცეთ, რომ თავიანთი წარმომადგენლები რკ.გზ. სალაროში და უფლებრივად ყოველმხრივ გათანასწორებული იქნენ რკ. გზის სხვა მუშებთან. მტვირთავ მუშების ხარჯზე მყოფი პირნი საექიმო და სხვა დახმარებით, ისე როგორც, სხვა დაზღვეული მუშების ხარჯზე მყოფნი უზრუნველყოფილნი არ არიან. ეს საკითხი აუცილებლად უნდა მოაგვაროს რკ. გზის დამზღვევმა სალარომ. მტვირთავ მუშებს სოფლად ყავს დედმამა, რომლებიც მათ ხარჯზე იმყოფებიან. ამათი დახმარების საკითხიც უნდა მოგვარდეს.

საკითხის გარშემო კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხ. ლაშქარაშვილმა (თბ. რკ. გზ. დამზღვევ სალაროს თავმჯდ.), ელბაქიძემ და ფრუიძემ.

ამხ. ლაშქარაშვილმა აღნიშნა, რომ თბილისის რკ. გზ. მომუშავე მტვირთავ მუშების მისწრაფებაა, რომ ისინი გადარიცხული იქნენ რკ. გზის დამზღვევ სალაროში, გამოწვეულია მით, რომ მათ უფრო ეახლოებათ რკინისგზის საავადმყოფო და ამბულატორიები. მაგალითად სად. ნავთლუღში მომუშავე მტვირთავი მუშა იძულებულია საექიმოდ ორთაჭალაში წავიდეს იმ დროს, როცა ნავთლუღში რკ. გზ. მუშების ამბულატორიაა.

ამხ. ელბაქიძემ აღნიშნა, რომ საქ. პროფსაბჭოს წინა დადგენილებებმა იმოქმედეს რკ. გზელებზე და ამ დადგენილებებით უფრო მეტი უფლებები მიენიჭა რკ. გზ. მტვირთავ მუშებს, როგორცაა მაგ. დასასვენებელი სახლებით, სანატორიუმებით და სხვ. ჩვენ მოწოდებული ვართ მუშათა საკეთილდღეოთ ვიმუშაოთ და დავაკმაყოფილოთ მუშათა მოთხოვნები. რკ. გზის მტვირთავები ითხოვენ რკ. გზ. დამზღვევ სალაროში გადარიცხვას, ისინი უნდა გადავრიცხოთ.

საბოლოო სიტყვაში ამხ. გ. ყურულაშვილმა სთქვა, რომ რადგან თბილისის რკ. გზ. უბანში მომუშავე მტვირთავი მუშები ითხოვენ რკ. გზ. დამზღვევ სალაროში გადარიცხვას, ისინი უნდა იქნან გადარიცხული იქ. რაც შეეხება თბილისის უბნის გარდა, საქართველოს რკ. გზებზე მომუშავე მტვირთავ მუშების რკ. გზის დამზღვევ სალაროზე მიწერას, ეს შესაძლოა მოწესრიგდეს თუ თვით მუშები მოითხოვენ ამას. უბნების და მიხედვით.

პრეზიდიუმმა დაადგინა: **თბილისის რკ. გზის უბანში მომუშავე მტვირთველები 15 ივლისიდან გადაირიცხოს რკ. გზის დამზ. სალაროში.** დაევალა თბ. რკ. გზ. დამზღვევ სალაროს ა.-კ. პროფკავშირის საგზაო კომიტეტთან შეთანხმებით მოაგვაროს მტვირთავ მუშების ხარჯზე სოფელში მყოფთა საექიმო და სხვ. საკითხები მტვირთავ მუშებზე გავრცელდეს ყოველივე უფლებები, რითაც კი რკ. გზებზე მომუშავე სხვა მუშები სარგებლობენ. გარდა თბილისის რკ. გზ. უბანში მომუშავე მტვირთავებისა, საქართველოს რკ. გზ. მომუშავე მტვირთავები დარჩენ საერთო (ტერიტორიალურ) დამზღვევ სალაროში. თუ ტერიტორიალურ სალაროში დარჩენილი მუშები უბნების მიხედვით მოითხოვენ რკ. გზ. სალაროში გადარიცხვას — პრეზიდიუმის დადგენილებით თითოეული უბნის საკითხი უნდა დაისვას ცალკე.

პროფკორი—ღვინო.

პროფმუშაობის ქრონიკა

საბჭ. და სავაჭ. მუშაკების კავშირში

— **სატარიფო საკითხები.** საბჭოთა და სავაჭროთა მუშაკების კავშირის ცენტ. გამგეობამ თავის სხდომაზე დაადგინა: მუშაობის სპეციფიური პირობების გამო მსხვილ განყოფილებებში (აჭარისტანი, აფხაზეთი და ქუთაისი) აღნიშნულ განყოფილებების თავმჯდომარენი ტარიფიკაცია ქმნილ იქნან ა.-წ. 1 ივლისიდან პასუხისმგებელ მუშაკთა ტარიფის მე-15 ხარისხით სრულ დატვირთვით.

— **ბიბლიოთეკების ცენტრალიზაციის შესახებ.** ცენტ. გამგეობა პრინციპიალურად საჭიროდ სცნობს წვრილ ბიბლიოთეკების ცენტრალიზაციას, მხოლოდ კულტგანყოფილებამ კერძო შემთხვევაში ანგარიში უნდა გაუწიოს აღნიშნულ დაწესებულებებში სამსახურის გაწევას და კავშირის წევრთა დამაკმაყოფილებლობას.

— **ეკონომ-კომისიის დაარსება.** ცენ. გამგეობა პრინციპიალურად საჭიროდ სცნობს ეკონომ-კომისიის დაარსებას.

— **კულტფონდის შესახებ.** სამაზრო განყოფილებების საშუალებების კულტფონდში და უმუშევართა ფონდში გადარიცხვის ნება ეძლევა იმ განყოფილებებს და სამაზრო განყოფილებებს, რომელთაც თავიანთი ბალანსი გამოყავთ უდეფიციტოთ და სადაც არის ამის საჭიროება.

ამხ. ა. ახმეტელის დაკრძალვა

გუშინ დაკრძალეს ა.-კ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარი ამხ. ანდრო ახმეტელი.

გამოსვენებამდე რესპუბლიკის მთავარ საავადმყოფოსთან აუარებელმა ხალხმა მოიყარა თავი. გამოცხადდნენ სრული შემადგენლობით ყველა იმ დაწესებულების წარმომადგენელნი, სადაც განსვენებულ ამხანაგს უმუშავია.

საღამოს 5½ საათზე მიცვალებული გამოასვენეს საავადმყოფოს დასასვენებელი დარბაზიდან. პროცესია, რომელიც პლეხანოვის პროსპექტით წამოვიდა, გრძელდებოდა რესპუბლიკის მთავარ საავადმყოფოდან ჟორესის (ყოფილ კირკის) ქუჩამდე.

მიცვალებულის ხსოვნის აღსანიშნავად მიძღვნილ იყო მრავალი გვირგვინები. მათ შორის საქ. კომპარტიის ა.-კ. საოლქო კომიტეტიდან, საქ. კ. პ. ცეკადან, თბილისის კომიტეტიდან, საქართველოს სახ. კომ. საბჭოდან და ცაკიდან, შინავაჭრობის სახალხო კომისარიატიდან, მუშფაკიდან, პროფკავშირებიდან და მრავალ სხვა დაწესებულებებიდან.

პროცესიამ გაიარა პლეხანოვის პროსპექტი ჟორესის ქუჩა, ელბაქიძის (ყოფილ ვერის) დაღმართი, ლენინის ქუჩა, წყნეთის ქუჩა და პეტრიაშვილის ქუჩით მიცვალებული გააცილეს ვერის ახალ სასაფლაოზე.

დაკრძალვის წინ საქართველოს ცაკის სახელით სიტყვა წარმოსთქვა ამხ. ს. თოდრიამ, რომელმაც განსვენებული ამხანაგი დაახასიათა, როგორც ენერგიული, კომუნისტური იდეალებით გამსჭვალული საბჭოთა მოღვაწე.

სახალხო კომისართა საბჭოს სახელით სიტყვა წარმოსთქვა ამხ. ვარძიელმა, რომელმაც მოკლედ მიმოხილვა გაუკეთა განსვენებულის მრავალფეროვან მოღვაწეობას საბჭოთა მშენებლობის ასპარეზზე. იუსტიციის სახალხო კომისარიატის სახელით სიტყვა წარმოსთქვა ამხ. ჩახუნაშვილმა. დამცველი კოლეგიის სახელით პ. ქავთარაძემ;—სიტყვები წარმოსთქვეს აგრეთვე შინავაჭრობის სახალხო კომისარიატის, მუშფაკის და სამეურნეო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა.

7½ საათზე განსვენებული ამხანაგი მიაბარეს მიწას.

სამძიმარის დეპეშები

ამხ. ფილიპე მახარაძის დეპეშა

საქ. სახ. კომ. საბჭოს

ამხ. ანდრო ახმეტელის სრულიად მოულოდნელმა გარდაცვალებამ უზომოდ დამამწუხრა. პარტიამ, ხელისუფლებამ მასში დაკარგა მეტად ერთგული და იშვიათი ენერგიის მქონე ადამიანი. მას ჯერ კიდევ ბევრის გაკეთება შეეძლო სოციალისტური აღმშენებლობისათვის. ანდრო ახმეტელის ხსოვნა არ აღმოიფხვრება ჩვენი გულიდან.

ბორჯომი, 5 ივლისი.

ფილიპე მახარაძე.

მანგლისიდან

ღრმა მწუხარებას გამოვსთქვამთ ამხ. ანდრო ახმეტელის უდროოთ გარდაცვალების გამო.

ს. თუმანოვი. ლ. მიროტაძე. მ. კვარაცხელია, ი. ხახუა.

ფართლეულობის ბაზარზე

ფასების მოწესრიგება

ამიერ-კავკასიის შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის დადგენილებით, საფეიქრო ნაწარმოებების ბითუმად გაყიდვა საკავშირო საფეიქრო სინდიკატის და სახელმწიფო სავაჭრო საპაიო სამართველოების საწყობებიდან უნდა ხდებოდეს შემდეგი პროცენტების დადებით საბჭოთა კავშირის შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის მიერ დაწესებულ ფასებზე:

ბამბეულ მანუფაქტურაზე დაწესებული უნდა იქნეს შემდეგი დანართი:

თბილისში—საქონლის სახელმწიფო ორგანოებზე და კოოპერაციაზე გაყიდვის დროს—10,8 პროც., კერძო პირებზე გაყიდვის დროს—12,30 პროც..

ბაქოში, 9,8 პროც და 11,30 პროც..

ერევანში—11,25 პროც. და 12,75 პროც.; ბათომში—11,60 პროც. და 13,10 პროც..

მატყლზე, კამვოლის საქონელზე და მაუდზე დაწესებული უნდა იქნეს:

თბილისში—სახელმწიფო ორგანოებზე და კოოპერაციაზე გაყიდვის დროს—7,75 პროც.; კერძო პირებზე გაყიდვის დროს—9,25 პროც.; ბაქოში—(თანაბრად)—7,45 პროც. და 8,95 პროც.; **ბათომში**—8,15 პროც. და 9,69 პროც.; **ერევანში**—8,15 პროც. და 9.65 პროც.

დანართი სელის საქონელზე:

თბილისში (სახელმწიფო ორგანოებისა და კოოპერაციისათვის)—7,5 პროც.; კერძო პირებისათვის—9 პროც.; **ბაქოში**—7,2 პროც. და 8,7 პროც., **ერევანში**—7,6 პროც და 9,10 პროც. **ბათომში**—7,65 პროც. და 9,15 პროც.

განსაზღვრულია დანართი საფეიქრო და კამვოლის ნაწარმოების ყოველ [illegible] საწვრილმანო ვაჭრობაზეც, ეს დანართი ამიერ-კავკასიის ყველა ქალაქებში და ადგილებში, რომლებიც მდებარეობენ რკინისგზის ხაზზე არ უნდა აღემატებოდეს 17 პრც.; იმ ადგილებში, რომლებიც დაშორებულია რკინისგზის ხაზიდან 25 კილომეტრამდე—18 პროც.; 50 კილომეტრამდე—19 პროც. და 50 კილომეტრზე უფრო შორს—20 პროც.

ამიერ-კავკასიის შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულების სამმართველოებს წინადადება მიეცა თვალყური ადევნონ ამ დადგენილების სისწორით გატარებას ცხოვრებაში.

რიონის ნაპირების გამაგრება

ფოთის აღმასკომმა შუამდგომლობა აღძრა საქართველოს საგეგმო კომისიის წინაშე, რათა გამაგრებული იქნეს მდ. რიონის ნაპირები, რადგან წყალს ყოველწლიურად მიაქვს მთელი უბნები.

როგორც ვიცით, ფოთში რიონი ორად იყოფა: სამხრეთ და ჩრდილოეთ შტოთ. თანდათანობით წყლის უმეტესი ნაწილი ჩრდილოეთ შტოსკენ მიილტვის და სამხრეთ-შტო კი თანდათანობით ისილება. რადგან ჩრდილოეთ შტო ვერ იტევს წყლის მთელ მასას, წყალი რეცხავს ნაპირებს და დანგრევას უქადის მთელ რიგ კაპიტალურ ნაშენებს, როგორიც არის ნავთსადგურის შენობები, სახელოსნო სკოლა, რკინის-გზის ლიანდაგი და სხვა.

არის ორი შესაძლებლობა საშიშროების თავიდან ასაცილებლად. პირველი—მთელი წყალი გადაყვანილი უნდა იქნეს ჩრდილოეთ შტოში, უკანასკნელის ნაპირების გამაგრებით და ჯებირების მოწყობით. მეორე—სამხრეთ შტოს გაღრმავება და წყლის თანაბრად გაშვება ორივე შტოში.

საგეგმო კომისიამ იქონია მსჯელობა აღნიშნულ საკითხებზე და უფრო მიზანშეწონილად სცნო მეორე ვარიანტი, რადგან, საგეგმო კომისიის აზრით, მიუღებელია ქალაქის კეთილმოწყობის მხრივ. რომ მდინარის ერთი შტო გადაიქცეს დაჭაობებულ ადგილად.

საჭიროდ იქნა ცნობილი მდინარის სამხრეთ შტოს გაღრმავება და მდინარის გაყოფის ადგილას ისეთი ჯებირების მოწყობა, რომლებიც შეამცირებენ წყლის რაოდენობას ჩრდილოეთ შტოში და ამავე დროს წყლის საგრძნობ ნაწილს გადისვრიან სამხრეთ შტოში.

ამას გარდა, ჩრდილოეთ შტოს საშიფათო ადგილები გამაგრებული უნდა იქნეს. მთელი ეს მუშაობა დაჯდება 761.000 მანეთი, აქედან 300.000 მ. გაღებული უნდა იქნეს 1926—27 წლის განმავლობაში, რათა შესრულებული იქნეს გადაუდებელი სამუშაოები.

ნაწლავების ექსპორტის გარშემო

თბილისის აღმასკომის კომუნალურ განყოფილებასა და სააქციო საზ-ბა „ზაკუტილსირიე“-ს შორის დაწყებული დავა იმის შესახებ, თუ ვინ უნდა აწარმოებდეს ნაწლავების დამუშავებას და ექსპორტს, განსახილველად გადაეცა ამიერ-კავკასიის შინავაჭრობის სახალხო კომისარიატს.

ა.-კ. შინავაჭრობის სახალხო კომისარიატმა მხედველობაში მიიღო რა, რომ „ზაკუტილსირიეს“ უკვე მოწყობილი აქვს ნაწლავების საექსპორტო აპარატი და სასურველი არ არის მისი დაშლა, დაადგინა მხარი დაუჭიროს „ზაკუტილსირიეს“ წინადადებას, რომლის ძალით აღმასკომის ნაწლავების პავილიონები და საწყობი ისევ იჯარით უნდა გადეცეს „ზაკუტილსირიეს“.

ნაწლავების დამუშავების და რეალიზაციის საქმის ქალაქის აღმასკომისათვის გადაცემა ა.-კ. შინავაჭრობის სახალხო კომისარიატის აზრით გამოიწვევს საექსპორტო ორგანიზაციის უკვე მოგვარებულ აპარატის დაშლას; აღმასკომის მიერ ახალი საქმის დაწყება გამოიწვევს დიდ ხარჯებს, რაც ტვირთად დააწვება ისედაც ნაკლებ მომგებიან საექსპორტო საქონელს.

ამის გამო, ამიერ-კავკასიის შინავაჭრობის სახალხო კომისარიატი საჭიროდ სცნობს, რომ სააქციო საზ-ბა „ზაკუტილსირიეს“ გაუგრძელდეს ხელშეკრულება ნაწლავების პავილიონებზე და საწყობზე, რომელთა საიჯარო ვადა თავდება მიმდინარე წლის პირველ სექტემბერს.

წარმოკავშირის ლიკვიდაციის გარშემო

ამ დღეებში შესდგა წარმოკავშირის კრედიტორთა კრება, რომელზედაც არჩეულ იქნა კრედიტორების წარმომადგენელი წარმოკავშირის სალიკვიდაციო კომისიაში.

სალიკვიდაციო კომისია მუშაობას დაიწყებს ახლო ხანში.

ამ ჟამად სალიკვიდაციო კომისია აწარმოებს წარმოკავშირის ბუხჰალტერიის წესრიგში მოყვანას და დაწყებული ოპერაციების დამთავრებას.

აუცილებელი მიმდინარე მუშაობის საწარმოებლად დატოვებულია მოსამსახურეთა მეტად განსაზღვრული შტატი.

დანარჩენი თანამშრომლები დათხოვნილია.

ბორჯომის წყალი

ბორჯომის წყალზე მიმდინარე ზაფხულზე მეტად დიდი მოთხოვნილებაა, როგორც თბილისში, ისე საქართველოს სხვა რაიონებშიაც. წყალის დიდი რაოდენობა იგზავნება აგრეთვე რუსეთში.

ყოველდღიურად ბორჯომის ქარხანა ამზადებს 16.500 ბოთლ წყალს, რომელიც მთლიანად საღდება. ეს რაოდენობა სავსებით ვერც კი აკმაყოფილებს არსებულ მოთხოვნილებას.

ბორჯომის მინერალური წყლის სამმართველო ახლო ხანში თბილისში ხსნის წვრილად სავაჭრო მაღაზიას რუსთაველის პროსპექტზე, რუსთაველის თეატრის პირდაპირ.

სასოფლო სამეურნეო იარაღები

მიწათ-მოქმედების სახ. კომისარიატის სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების ცენტრალურმა საწყობმა ა.-წ. აპრილის 1-დან ივლისის 1-მდე შეიძინა გლეხობისათვის საჭირო სხვადასხვა მანქანა-იარაღები და თესლეულობა 26.553 მან. ღირებულების. გლეხობას მიეყიდა 23.724 მანეთის მანქანა-იარაღები და თესლეულობა.

საქ.-სას.-სამ. ბანკისაგან მანქანა-იარაღები საწყობის მიერ მიღებულია საკომისიოდ გასასაღებლად დასახელებული სამი თვის განმავლობაში 300 ათასი მანეთის ღირებულების, გაცემულია 200 ათასი მანეთის.

ქიმიური ლაბორატორია

უკვე დაიწყო მუშაობა სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან ცენტრალურ ქიმიურ ლაბორატორიის მოსაწყობად.

ს. მ. უ. ს. პრეზიდიუმის დადგენილების თანახმად, სახალხო მეურნეობის საბჭოს ყველა ლაბორატორიები გაერთიანებული იქნება იმ ახალ ცენტრალურ ლაბორატორიაში, რომელსაც ექნება სამი ძირითადი განყოფილება: საანალიზო, ტექნიკური და სარეაქტივო განყოფილებები. საანალიზო განყოფილებაში იწარმოებს მასალების რიცხვობრივი და თვისობრივი ანალიზი. ტექნიკურ განყოფილებაში იწარმოებს სამთო, ცხოველთა და მცენარეთა სამეფოს ნედლეულის შესწავლა იმ მიზნით, რომ გამორკვეული იქნეს მისი გამოყენების შესაძლებლობა.

სარეაქტივო განყოფილებაში იწარმოებს პრეპარატების დამზადება, როგორც თვით ლაბორატორიის შინაური საჭიროებისათვის, აგრეთვე სხვა ლაბორატორიების შეკვეთების დასაკმაყოფილებლად.

ცენტრალური ლაბორატორია ეწყობა სამეურნეო ანგარიშზე. საანალიზო შეკვეთების მიღება იწარმოებს, როგორც სახელმწიფო სამეურნეო ორგანოებისაგან, ისე კერძო პირებისაგანაც.

გლეხის ბიუჯეტი

ამიერ-კავკასიის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო ამ დღეებში დაამთავრებს 1924-25 წლის საგლეხო ბიუჯეტის მასალების დამუშავებას.

სომხეთის საგლეხო ბიუჯეტის შესადგენი მუშაობა სავსებით დამთავრებულია, რაც შეეხება საქართველოს და აზერბეიჯანს, გამოყვანილია წინასწარი დასკვნები ამ რესპუბლიკების საგლეხო ბიუჯეტის შესახებ. ამ ერთ კვირაში დასრულდება ყველა რესპუბლიკების საგლეხო ბიუჯეტების დამუშავება. მთელ რიგ მნიშვნელოვან საკითხების გადაწყვეტის დროს უკვე სარგებლობენ საგლეხო ბიუჯეტის შესახებ გამოტანილ წინასწარი ცნობებით და დასკვნებით. მაგალითად, საგლეხო ბიუჯეტი გამოყენებული იქნა ამიერ-კავკასიის საგეგმო კომისიის საკონტროლო ციფრების შედგენის დროს, სასოფლო მეურნეობის ბალანსის გამოყვანის დროს და ნედლი ბამბის თვითღირებულების განსაზღვრას დროს.

1925-26 წლის საგლეხო ბიუჯეტის შესადგენად მუშაობა უკვე სწარმოებს. მასალები საგლეხო ბიუჯეტისათვის იკრიბება ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების 500 სამეურნეო ერთეულიდან. მიმდინარე წლის საგლეხო ბიუჯეტის დამუშავება დამთავრებულ იქნება 1926 წლის პირველ ნოემბრისათვის.

ამ ჟამად ა.-კ. სტატ. ცენტ. სამმართველო აგროვებს სტატისტიკურ ცნობებს სასოფლო-მეურნეობის შესახებ.

გეოლოგიური ექსპედიცია

ლენინგრადიდან აჭარისტანში ჩავიდა გეოლოგიური ექსპედიცია. ექსპედიციას ხელმძღვანელობს ლენინგრადის სამთო ინსტიტუტის პროფესორი **გრიგორიევი.** ამ ჟამად ექსპედიცია მუშაობს შუახევის სამთო რაიონში. გრიგორიევის ექსპედიციასთან ერთად გამოკვლევებს აწარმოებენ აჭარისტანის სამთო განყოფილების გეოლოგი-ინჟინერები. ექსპედიციის მიერ უკვე გამოკვლეულია თუნუქის, სპილენძის, ტყვიის და ვერცხლის მადნები. გეოლოგიური სამუშაოები დამთავრდა სოფელ ვაიოს და უჩამბას რაიონებში. ექსპედიციის მიერ გამოკვლევის მიზნით შეგროვილია რამოდენიმე ათასი ფუთი მადანი და გეოლოგიური ნიმუშები. ექსპედიციის მუშაობა აჭარისტანში გაგრძელდება კიდევ ერთს თვეს. აჭარისტანის სამთო რაიონების გეოლოგიურ გამოკვლევისათვის წელს ცენტრის მიერ გადადებულია 40 ათასი მანეთი.

დასასვენებელ სახლებში

დასასვენებელ სახლებში გაგზავნილთა რაოდენობა

ორი თვის განმავლობაში სოციალური დაზღვევის მთავარ სამმართველოს მიერ საქართველოს დასასვენებელ სახლებში გაგზავნილია 3.570 კაცი. აქედან წაღვერის დასასვენებელ სახლში გაგზავნილია—1.813, მცხეთის დასასვენებელ სახლში—962; ბორჯომის—40; სურამის—294 და გაგრის დასასვენებელ სახლში —300.

815 კაცის გაგზავნა

აგვისტოს პირველ ნახევრისათვის სოციალური დაზღვევის მთავარ სამმართველოს მიერ გაგზავნილია ახალი პარტია. წაღვერის დასასვენებელ სახლში გაგზავნილია—400; მცხეთის დასასვენებელ სახლში—200; ბორჯომის დასასვენებელ სახლში—90; სურამის დასასვენებელ სახლში—65 და გაგრის დასასვენებელ სახლში—60 კაცი. სულ აგვისტოს პირველ ნახევრისათვის დასასვენებლად გაიგზავნა—815 კაცი.

რეჟიმი დასასვენებელ სახლებში

საქართველოს ყველა დასასვენებელ სახლებში დაწესებულია მტკიცე სავალდებულო რეჟიმი. სახლების სამმართველო ფხიზლად ადევნებს თვალყურს დაწესებული რეჟიმის დაცვას და ყველა ისინი, ვინც არღვევს ამ წესრიგს ლოთობით, ხულიგნური მოქმედებით და სხვა უზნეო საქციელით, სდევნიან დასასვენებელ სახლებიდან.

საკრედიტო საქმე

სას.-სამ. კრედიტის გასაძლიერებლად

ამიერ-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო ბანკმა შუამდგომლობა აღძრა ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს წინაშე, რათა წინადადება მიეცეს ამიერ-კავკასიის ფინსახკომს, რომ ამიერ-კავკასიის 1926—27 წლის ბიუჯეტში შეტანილი იქნეს განსაზღვრული თანხა ამიერ-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო კრედიტის სისტემის საშუალებების გასაძლიერებლად.

ამასთანავე ამიერ-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო ბანკი აღნიშნავს, რომ ბიუჯეტით გადადებული თანხა გაცემულ იქნა სასწრაფო სამიზნო სესხის სახით.

პატარა ფელეტონი

„ალაგმეთ სიცხე“

(მილიციისა და მუშგლეხინის საყურადღებოთ)

„უკანასკნელი სამი დღის განმავლობაში ქალაქში ძალიან დაცხა“.

იშვიათად თუ გაიგებთ
ახირებულ კაცის ამბავს:
არც ჭკუა აქვს იმის ქცევას,
სულელურსაც არ წააგავს.
აი, ეხლაც: გარეთ ცხელა,
დადგა ბუღი, დადგა მტვერი,
ახირებულს სიბრაზისგან
უცახცახებს ულვაშ-წვერი.
შეკითხვებს სწერს, სწერს შენიშვნებს
მუშგლეხინის გასაგონათ,
და მოითხოვს, რომ ბუნება
მილიციის გახდეს მონად.
დაჟინებით ითხოვს მუდამ
მის გაზეთში მოთავსებას...
ერთს ვათავსებთ, რადგან ვიცით
არ მოიტანს იგი ვნებას.

—:—

„ჩვენს უბანში, ორი დღეა
სიცხე ურცხვად დანავარდობს.
გვტანჯავს, სიქა გაგვაცალა,
მტვერის ყლაპვას ვინღა დარდობს.
არც დღე გვძინავს, აღარც ღამე
ამ უტიფრის გადამკიდე,
რწყილ-ბაღლინჯო შეგვისია.
კოღოები ბლომათ კიდე.
მისი შიშით ბავშვებს უკვე
ქუჩაში ვერ გაუვლია,
ქალებსა და მოხუცებს ხომ
არაქათი დაულია.
რომ როგორმე ამ მხეცისგან
დაიფარონ, იხსნან თავი,
ხალხი მტკვრისკენ გარბის ხოლმე
ძალ მიხდილი, მომაკვდავი.
ჩვენს რისხვას და აღშფოთებას
არც ზღუდე აქვს, აღარც კიდე.
მაგრამ ვინ გვყავს გამკითხავი,
პატრონი და მხარს შემხიდე!...
თუმც უბანში არის პოსტი“,
„ფხიზლობს“ ვითომც მილიცია,
გუშაგისთვის არა ერთხელ
გაფრთხილება მიგვიცია,
მაგრამ ყურებს ვინ იბერტყავს?!!..
ჩვენთვის აბა ვის სცალია?!!...
მხეცისაგან ვისრისებით,
თითქოს ბუზი ან კალია.
ჩვენ მოვითხოვთ: აილაგმოს
უტიფარი, ურცხვი სიცხე.
მილიციავ! აუწიე
ყურები და მაგრათ მისცხე.
მუშგლეხინო! ამ საქმესაც
მიაქციე ყურადღება:
ჩვენი სისხლით ურცხვი სიცხე
მომავალში ნუ გაძღება.
დე! იცოდეს, რომ მშრომელთა
არ შერჩება არვის ჩაგვრა.
ამხ. ხმალაძე! შენებურათ,
ერთი მისცხე მაგას მაგრა.

—:—

ვბეჭდავთ წერილს. იმედია
მოვა „ოპროვერჟენია“.
ხელს მოაწერს ათი მოწმე:
პავა, ზივა და ჟენია.
მოგვწერენ, რომ ეს წერილი
სიყალბეა მთელად სრული.
კერძო ინტერესითაა
ის გაზეთში „გამოსრული“,
ვიცით ასე, რომ იქნება,
მაგრამ მაინც ვბეჭდავთ წერილს:
იქნებ ვინმემ მართლაც მოსცხოს
ამ მზეს მუცელ გამობერილს.

ხოზიკა.

ბრძოლა მომჭირნეობისათვის

მორიგი ამოცანა

მომჭირნეობის რეჟიმის კამპანიამ უკვე შეიძლება ითქვას, განვითარების პირველი საფეხურები განვლო. საზოგადოებრივი აზრი ამ ამოცანის უაღრესი მნიშვნელობისა და მის ცხოვრებაში მთელი სისასტიკით გატარების აუცილებლობის შესახებ საკმაოთ ჩამოყალიბებული და გარკვეულია.

ამიტომ კამპანიის შემდეგი წარმატებითი მსვლელობისათვის საჭიროა საკითხის არა თეორიული გაშუქება, არა იმდენად აგიტაცია მომჭირნეობის სასარგებლოთ, რამდენადაც საქმის და ისევ საქმის კეთება.

პრაქტიკულ მიღწევებს მომჭირნეობის დარგში, ამ მიმართულებით წარმოებულ მუშაობაში მიღებულ გამოცდილების სხვისთვის გაზიარებას, გადადგმულ ნაბიჯების მიზანშეწონილობის შემოწმებას და სხვა ამგვარ მუშაობას გაცილებით მეტი მნიშვნელობა აქვს მომჭირნეობის საქმისათვის, ვიდრე სიტყვიერ ან წერილობით აგიტაცია-პროპაგანდას.

ამისდამიხედვით უნდა წარიმართოს ჩვენი პრესის მუშაობაც, რომელსაც უთუოდ დიდი წილი უდევს მომჭირნეობის კამპანიის წარმოებაში. გაზეთი უნდა გახდეს და არის ყველა რამდენადმე ღირსშესანიშნავ მიღწევათა აღმნუსხავი და გამსაზოგადოებრივებელი.

„სად, რა გაკეთდა“—აი ის საზომი, რომლითაც უნდა მიუდგეთ დღეს ჩვენს წარმოება-დაწესებულებას.

დრო უკვე საკმარისი გავიდა, თითქმის ყველა წარმოება-დაწესებულებებში გადაიდგა ნაბიჯები მომჭირნეობის ჩასატარებლათ. საჭიროა ამ მუშაობის შემოწმება, საჭიროა მისი გადასინჯვა და შეფასება. ეხლა უფრო მეტი საშუალებაა ამ ნაბიჯების მიზანშეწონილობის შესაფერებლათ ვიდრე ეს კამპანიის დასაწყისში იყო.

ამიტომ მთელი ჩვენი ყურადღება უნდა მიქცეულ იქნას პრაქტიკულ მიღწევების, თუ მიუღწევლობის აღნიშვნაზე, მათ შემოწმებაზე და გაშუქებაზე. აქ დიდი სამსახურის გაწევა შეუძლიათ ისევ მუშა და გლეხ კორესპონდენტებს. მათ თავიდანვე მხურვალე მონაწილეობა მიიღეს მომჭირნეობის რეჟიმის კამპანიაში და იქვე არაა, ასეთივე ენერგიით განაგრძობენ შემდეგშიაც.

ამნაირათ, სად რა გაკეთდა, სად რა ვერ გაკეთდა, ან არ გაკეთდა, აი ის საკითხები, რომელნიც უნდა გადაიქცეს მომავალში ჩვენი ყურადღების მთავარ საგნათ მომჭირნეობის რეჟიმის ჩატარების საქმეში.

ვ. ქვენობნელი.

პრესა მომჭირნეობის შესახებ

ძირითადი პირობა

მმართველობის აპარატის გაჯანსაღება ბევრ შემთხვევაში ესმით, როგორც უმთავრესად შტატის შემცირების საკითხი. მომჭირნეობის რეჟიმთან დაკავშირებით არა ერთ შემთხვევას ჰქონია ადგილი, როცა დაწესებულებაში მოახდინეს შტატის მექანიკური შემცირება.

პირველ ხანებში ასეთი ღონისძიება ერთობ ეფექტიანი და დაწესებულების სალაროსათვის სარფიანიც გამოდგა. მაგრამ შემდეგ გამოირკვა, რომ შტატის მექანიკურად შემცირებამ უარყოფითი გავლენა იქონია მუშაობაზე, რომ ფულის დაზოგვა საქმის შეფერხების ხარჯზე მოხდა. ზოგჯერ ისეთი მდგომარეობაც შექმნილა, რომ ლიკვიდაცია ქმნილი მოსამსახურეები ძალავ თავიანთ ადგილებზე დაუბრუნებიათ, რადგან მათ გარეშე შეუძლებელი შეიქნა დაწესებულების ნორმალური მუშაობა.

ამ საკითხს იხება მოსკოვის „პრავდა“-ში ამხ. ზელიკსონი, რომელიც სწერს, რომ:

„სახელმწიფო და სამეურნეო ორგანოთა მართველობის აპარატის გაუმჯობესება უნდა მიმდინარეობდეს სამი მიმართულებით: 1) აპარატის გაიაფება; 2) მისი მუშაობის ხარისხის გაუმჯობესება; 3) მართველობის აპარატის მასასთან დაახლოება (უმთავრესად ფართე მშრომელი მასა უნდა ჩაბმული იქნას მართველობის საქმეში).

აქამდე მართველობის აპარატის ესა თუ ის გაუმჯობესება უმთავრესად ხდებოდა აპარატის დაკვრითი წესით, შეკვეცით (შტატების მასიური შემცირება). აპარატის გაუმჯობესების მუშაობაში აუცილებლათ შეტანილ უნდა იქნას ერთგვარი გეგმიანობა. უახლოეს საოპერაციო წლისათვის უნდა დასახულ იქნას თუნდაც მინიმალური, მაგრამ ყველასათვის სავალდებულო გეგმა, რომელშიაც გათვალისწინებული იქნება ყველაზე მეტად მნიშვნელოვანი მხარეები ჩვენი სამმართველო აპარატის!

ავტორი უთუოდ სწორა უდგება საკითხს. რაციონალიზაცია ძირითადი და გადამჭრელი ღონისძიებაა ჩვენი სამმართველო აპარატის გაჯანსაღებისათვის, მის გამარტივებისა და გაიაფებისათვის. ამ საქმეში პირველი ადგილი უჭირავს გეგმაშეწონილ მუშაობის ხელმძღვანელ ორგანოებს, როგორიცაა მუშგლეხინი. სახელმწიფო საგეგმო კომისია და სხვანი.

საამშენებლო მასალები

გაძლიერებული საამშენებლო მუშაობა მოითხოვს დიდძალ მასალას. საამშენებლო მასალის საჭიროების ზრდას ისეთივე ტემპით ვერ მიჰყვება ამ მასალის დამზადება. ამიტომ მთელი რიგი პირველი საჭიროების საამშენებლო საგნებისა არ მოიპოვება ბაზარზე.

მაგ. თბილისის ბაზარზე სრულიად არ იშოვება ცემენტი, ნაკლებად არის რკინის მასალები; თუნუქი, წყალსადენის მილები კი სრულებით არ მოიპოვება.

დანარჩენი საამშენებლო მასალა მოიპოვება, მაგრამ იჩენს ფასების გადიდების ტენდენცია. მაგალითად 10-15%-ით აიწია სახურავი თუნუქი, წყალსადენის მილები კი სრულებით 12 პროცენტით მინები. აიწია ჩვენებური ხე-ტყის ფასებმა.

შარშანდელთან შედარებით გაძვირდა აგრეთვე აგური. ნაცვლად შარშანდელი 29 მანეთისა, მიმდინარე წლის ივლისის დამლევს 1000 ცალი აგური ფასობდა 32 მან.

გაძვირდა საამშენებლო ქვაც. შარშანდელი 35-40 მანეთის ნაცვლად, წელს კუბიკური საჟენი ქვა ფასობს—45 მანეთი, ხოლო საამშენებლო ქვიშა 20-25 მან. ნაცვლად 35 მანეთი.

აგურის და ქვის ასეთი გაძვირების გამო საამშენებლო ორგანიზაციებს განზრახვა აქვთ დაიკვეთონ სომხეთიდან ტუფის ქვა, რომელიც უფრო იაფი ჯდება.

უცვლელია ფასები ქიმიურ საამშენებლო მასალებზე (საღებავებზე და სხვ.).

საამშენებლო მასალის გაძვირებასთან ერთად იზრდება კვალიფიკაციურ მუშა-ხელის ხელფასიც. გასული წლის ამავე პერიოდთან შედარებით მუშა-ხელი გაძვირებულია 15-20%-ით.

სვანეთის გზატკეცილი

ორი თვის წინად დაიწყო მუშაობა სვანეთის გზატკეცილის გასაყვანად. გზა გაჰყავთ სოფელ ჯვარიდან დაბა მესტიამდე ენგურის ხეობის გასწრივ 120 ვერსის მანძილზე. კლდის სამუშაოების შესასრულებლად გაგზავნილ იქნა კავკასიის წითელ-დროშოვან არმიის მესანგრეთა ბატალიონი. მიწის სამუშაოები კი დაკისრებული აქვს ადგილობრივ მოსახლეობას.

მუშაობის დაწყებიდან უკანასკნელ დრომდე —ივლისის დამლევამდე მესანგრე ბატალიონის მიერ შესრულებულია 3.000 კუბიკურ მეტრამდე კლდის სამუშაოები. ამავე ბატალიონის მიერ გაკეთებულია 25-ზე მეტი ხიდი.

თვით სვანეთის მოსახლეობის მიერ ივლისის დამლევამდე შესრულებულია 18-20 ათას კუბიკური მეტრი მიწის სამუშაოები. სულ გზაზე იმუშავა 4.000-მდე სვანმა. გლეხობა დიდი ხალისით ასრულებს მასზე დაკისრებულ შრომის ბეგარას, მიუხედავათ იმისა, რომ ბევრ მათგანს —50 - 60 ვერსის მანძილიდან უხდება გამოსვლა სამუშაოებზე. ხშირად გლეხები უფრო მეტს ხანს რჩებიან სამუშაოებზე, ვიდრე ბეგარით არის დაწესებული. ივლისის დამლევისათვის მიწის სამუშაოები შეჩერებული იქნება. რადგან ამ ხანებში სვანებს არ სცალიათ. მუშაობა განახლდება სექტემბრის შუა რიცხვებში.

აგარაკები

შოვი

მიმდინარე სეზონში შოვის აგარაკმა მიიზიდა დიდძალი მოაგარაკენი. შოვში ასული არიან არა მარტო რაჭის სხვადასხვა ადგილებიდან, არამედ დასავლეთ საქართველოს სხვა კუთხეებიდანაც. აგარაკი ჯერ სრულიად მოუწყობელია. მოაგარაკეები დაბინავებულნი არიან საგანგებოდ აგებულ ყავრის კარვებში; აგარაკი ორ ნაწილად არის გაყოფილი. ერთ ნაწილში, რომელიც მდ. ჭანჭახს გაღმა მდებარეობს და დაბლობს წარმოადგენს, დაბინავებულნი არიან მლექით დაავადმყოფებულნი, მეორე ნაწილში—ფერდობზე გაშენებულ კარვებში დაბინავებულნი არიან ჯანმრთელობის აღსადგენად და დასასვენებლად წასულნი მოაგარაკენი. ამჟამად შოვში იმყოფება სულ 600-700 კაცი. აგარაკზე მოწყობილია საერთო სასადილო-ბუფეტი, რომელიც სადილს აწვდის მოაგარაკეებს და ადგილობრივ მუშებს. აგარაკებზე გახსნილია ამბულატორია, აფთიაქი, სამკითხველო და სხვა. მიმოსვლა ონსა და შოვს შუა ყოველდღიურად სწარმოებს, ხოლო ქუთაისთან კვირაში ორჯერ. სურსათ-სანოვაგე შედარებით სხვა აგარაკებთან ძვირია.

აგარაკი საირმე

ივლისის შუა რიცხვებში დაიწყო საგარაკო სეზონი კურორტ საირმეში (ბაღდადის რაიონი, ქუთაისის მაზრა). ქუთაისიდან ბაღდათამდე მისვლა-მოსვლა სწარმოებს ავტომობილებით, ხოლო ბაღდათიდან საირმემდე ცხენებით და ურმებით. კურორტზე აუარებელმა ხალხმა მოიყარა თავი. აგარაკზე წინად აგებულ სახლებში დაბინავებულია 200 მოაგარაკე; დანარჩენი დაახლოებით—300-მდე კაცი მოთავსებულია კარვებში. აგარაკზე გახსნილია ერთი საზოგადო სასადილო, არის ერთი ექიმი და პატარა აფთიაქი.

სურსათ-სანოვაგე საკმაო მოიპოვება. ფასები საშუალოა. საგარაკო სეზონი გაგრძელდება სექტემბრის დამლევამდე.

ქუთაისის ელ.-ტექნიკუმში

10 აგვისტოდან დაიწყება ქუთაისის ელექტრო-ტექნიკუმში შესვლის მსურველთა განცხადებების მიღება და გაგრძელდება 25 აგვისტომდე. მისაღები გამოცდები დაიწყება პირველ სექტემბრიდან და დამთავრდება 10 სექტემბრისათვის.

წელს ტექნიკუმის პირველ კურსზე არის 25 თავისუფალი ადგილი; წინასწარი ცნობით კი ელექტრო-ტექნიკუმში შესვლის მსურველთა რიცხვი 500 აღემატება.

განათლების სახალხო კომისარიატის წინაშე ტექნიკუმის გამგეობის მიერ აღძრულია შუამდგომლობა პირველ კურსიან მეორე პარალელური განყოფილების გახსნის შესახებ. ტექნიკუმთან მოწყობილია აგრეთვე სადურგლო და სახარატო სახელოსნოები. აღძრულია შუამდგომლობა, რომ ტექნიკუმს საშუალება მიეცეს გამოუშვას ამ სახელოსნოებიდან მაღალ კვალიფიკაციის ხარატები და დურგლები.

პედაგ. საბჭოს გადაწყვეტილი აქვს შეავსოს ელექტრო-ტექნიკუმის მოწყობილობა.

მუშათა ცხოვრება

ქარხნის ჰანგები

მე ქარხნები მასწავლიან ბრძოლის სიმღერებს;
იმათ ჰანგებზე ამიწყვია მეც ჩემი ქნარი;
ოდესაც ძრავი მძლედ მოძრაობს, ვეძლევი ლხენას,
და მანქანების ხმა გაისმის ზეიმით, მძლავრი.

—*—

იქ მედგრად ფრთას შლის, მძლეთა-მძლეობს შემოქმედება;
ღერძები შორით-შორს გაბმულნი სწრაფად ბრუნავენ;
ღვედები ბორბლებს დაუზარლად გარს ევლებიან.
და შრომის შვილნიც ხელს უწყობენ, მათზე ზრუნავენ.

—*—

უსულო საგნებს იქ ედგმება მძლეთა-მძლე სული,
ნაფრისაგან მედგრად ჰქმნიან შემოქმედ ძალებს
ლითონის გმირებს მკერდ ქვეშ უცემს ფოლადის გული,
ზამბარაკები ადის, დადის, მათ ამოძრავებს.

—*—

მძინარეებზე ელსადგურნი გვიმრავლდებიან;
უხილავ ფრთებსა მძლავრად შლიან ელთა ძალები;
შრომის სამეფოს საძირკველნი უმაგრდებიან;
წელნი და ჟამნი იქმნებიან სანეტარები!...

მუშა შაქრო ნავთლუღელი.

ეს დეფექტები უნდა გამოვასწოროთ

(რკინისგზის მთავარ სახელოსნოების მუშათა ცხოვრებიდან)

მთავარ სახელოსნოების მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებაზე მომჭირნეობის რეჟიმის შესახებ მოხსენება, გააკეთა სახელოსნოების უფროსმა, მაისურრევმა. მან ნათლად დაასურათა მომჭირნეობის რეჟიმის მნიშვნელობა და აღნიშნა შემდეგი: ის დაზგები, რომელნიც დღეს იმყოფებიან ხმარებაში, ვერ აკმაყოფილებენ სახელოსნოების წარმოების ზრდის მოთხოვნილებას, მაგრამ „ზაჰესიდან" ახლო მომავალში ენერგიის მიღებისთანავე ბევრი რამ მოწესრიგებული იქნება.

შემდეგ მომხსენებელი აღნიშნავს, რომ მუშა-ხელოსნები გულცივად ეპყრობიან თავიანთ მოვალეობას. ისინი გადიან სისტემატიურად სამქროდან სამქროში და სულ ტყუილა-უბრალოდ დგანან რიგში კოოპერატიულ დუქნის წინ. ამით კი ისინი ფლანგავენ სამუშაო დროს და აზარალებენ თავიანთ თავს, წარმოებას და ტრანსპორტს.

შემჩნეულია, რომ ხელოსნები თავიანთ სამუშაოს არ ასრულებენ კარგად: მაგალითად, ჭანჭიკები არ იმაზება სწორად, ლითონის ჩამოსხმული ნაწილები არ ვარგან; ხარატი უსწორ-მასწოროდ ჩარხავს.

ყველაფერი ამით ფერხდება წარმოება, იფლანგება მასალა და ზარალობს ტრანსპორტი.

საერთოდ შრომის დისციპლინა სახელოსნოებში ძლიერ მოისუსტებს.

მუშა-ხელოსნებში საქმისადმი პასუხისმგებლობა თითქმის არ არსებობს, რაც მიუღებელია ჩვენ პირობებში.

ამ ბოროტების წინააღმდეგ უნდა იქნეს მიღებული სასტიკი და გადამჭრელი ზომები.

შემჩნეულია აგრეთვე შეკეთების თავის დროზე აუსრულებლობა: ესა თუ ის სამქრო არ იღებს ზომებს, რომ შეკეთება სასწრაფოდ და დროზე იქნეს შესრულებული. ამით შეკეთები გროვდება; ორთქლმავლის გამოშვება ფერხდება, რკ.-გზ. ხაზები კი ფრიად საჭიროებენ შეკეთილ სავანს.

თითო ორთქლმავლის შეკეთებას 127 დღე უნდებით. რუსეთში კი თითო ორთქლმავლის ძირითად შეკეთებას 50 დღე უნდებიან. თითოეულ რონოდების შეკეთებას 4 თვე უნდებით.

ეს ყველაფერი გამოწვეულია მით, რომ შეკეთები თავის დროზე არ სრულდება,—და ნაწილების სამქროებზე მიწოდება გვიანდება.

ჩვენ აუარებელ მასალას ვხარჯავთ, მასალის შოვნა კი ძალზე ძნელია, ხან ზოგი მასალა ცოტა არა, ხან გვჭირია და ვერ ვშოულობთ ბაზარზე. ხელოსნების პირდაპირი მოვალეობაა, ასეთ ვაი-ვაგლახით ნაშოვნ მასალას გაუფრთხილდენ, იგი უბრალოდ არ ფლანგონ.

ხშირია ასეთი ფაქტები, რომ ქურა ანთია, თვით მუშა კი ქურასთან არ არის, სადღაც წასულა. ამასობაში კი სათბობი მასალა იფლანგება.

იგივე ითქმის აგურზე და კალაზე, რომლებზეც ბევრი მოთხოვნილება გვაქვს და საჭიროა გავუფრთხილდეთ.

რკინა-ფოლადის ლეწის (ЛОМ) გამოყენებას უნდა უმთავრესი ყურადღება მივაქციოთ. ხშირია ისეთი შემთხვევა, რომ ბევრი გამოსადეგი მასალა ურევია და ის უსარგებლოდ მიდის უვარგის ლეწს შორის.

მუშკორი ნ. ჯავახაძე.

ხშირად ასეთი ექსკურსიები

ქალაქ თბილისის სახალხო კავშირის მუშა-მოსამსახურეებმა ამ დღეებში მოაწყვეს ექსკურსია ქ. ბორჯომში.

ექსკურსიას ხელმძღვანელობდენ სახ. კავშირის ად-კომი ამხ. ივ. იმედაშვილის და ო. კანდელაკის სახით. გვყავდა ლექტორი ამხ. ნ. სტრელცოვსკი, რომელმაც გულმოდგინედ განგვიმარტა ქ. ბორჯომის ბუნებრივი სიმდიდრით დაჯილდოვებული კუთხეები, მინერალური წყლების მნიშვნელობა და მათი შემადგენლობა. ტყის მცენარეთა უმთავრესი შემადგენლობა და აზონის („გაზია") გავლენა ადამიანის ორგანიზმზე. ვინახულეთ ხელოვნური ჩანჩქერი, ელსადგური, ყოფილ რომანოვების სასახლეები და ძველი ისტორიული ნაშთები, რომელთაც დიდი შთაბეჭდილება დასტოვეს მუშა-მოსამსახურე ექსკურსანტებზე. ექსკურსია ნაყოფიერი იყო.

ვისურვებ, რომ ხშირად ეწყობოდეს ასეთი მნიშვნელოვანი ექსკურსიები.

ექსკურსიელთაგანი.

ჩილაგულია ზოგიერთი კოჯორის აგარაკების გასამშვენიერებლად

(გაზეთ „კომუნისტის" რედაქციას)

თქვენი გაზეთის ა-წ. 8 ივლისის № 154-ში მოთავსებულ წერილის შესახებ, სათაურით: „კოჯორის აგარაკები". თბ. აღმასკომის საკურორტო განყოფილებამ გვაცნობა შემდეგი:

„კოჯორში უბრალო, ძველი ფარნები მოიხსნა, რომლების ნაცვლად უკვე გაკეთებულია აირის ახალი ფარნები. გზების გაკეთება კი დაწყებულია და დამთავრდება მოკლე ხანში.

აღმასკომის საინფ. ნაწილის გამგის მაგიერ ცქიტიშვილი.

ეს სკოლა აუცილებლად უნდა აღადგინოთ

1925 წ. მუშების მოთხოვნილებით ლენინის უბანში გაიხსნა მუსიკალური მუშფაკი. მუშები დიდი სიხარულით შედიოდენ ამ მუშფაკში, ვინაიდან ფასი სწავლისა წელიწადში 5 მანეთი მუშებისთვის ხელმისაწვდომი იყო. მუშფაკში იყო: 1) „სასკრიპკო" წრე, რომელშიც ირიცხებოდა 25 მოწაფე, 2) როიალ-პიანინოზე—50 მოწაფე და 3) საკონცერტო წრეში იყო 14 მოწაფე. მუშებმა ამ მუშფაკში ნახევარი წლის განმავლობაში იმდენი უნარი გამოიჩინეს, რომ მათი გამოსვლა კლუბებში დიდ შთაბეჭდილებას სტოვებდა, რისთვისაც მათ მასწავლებლებს, ზაქ. ფალიაშვილს და გორინევსკის დიდი მადლობაც გამოეცხადათ. მაგრამ დახეთ უბედურებას! სწავლის ფული ხუთი მანეთის მაგიერ გახადეს 24 მანეთი წელიწადში. მუშას ამის გადახდა არ შეეძლო და მუშფაკი დაიკეტა. ორი თვის შემდეგ თუმცა ისევ გახსნეს იგი, მაგრამ აქ სხვა წრეები აღარ არსებობს გარდა როიალზე მეცადინეობისა, სადაც დადის 5-6 მოწაფე.

განათლების კომისარიატმა უნდა მიაქციოს ყურადღება ამას და კვლავ უნდა აღადგინოს საჭირო წრეებით მუსიკალური მუშფაკი.

ნიკოლოზ კევლიშვილი.

ავარები გვაწუხებენ

გოგებაშვილის (ყოფ. პეტროვის 1 უბ.) ქუჩა დასახლებულია დიდძალი მუშა-მოსამსახურეებით, რომელთა მდგომარეობა მეტად აუტანელია ამ ქუჩის უყურადღებოდ მიტოვებით. სხვათა შორის ამ ქუჩას ეტანება ბევრი ავარა ბალღი, რომელიც ქმნის ყოველნაირ უწესრიგობას (ღამით დაუსრულებელი ყვირილი, ქეიფი, ჩხუბი და სხვა.). მასთან ქუჩაში განუწყვეტლივ გამართულია დიდძალი ბავშების თამაში, ამაურობა, რომელიც გრძელდება დილიდან დაწყებული საღამოს 11 საათამდე, რომელთა პატრონებს არაფრად არ მიაჩნიათ დაღლილ-დაქანცულ მუშა-მოსამსახურეთა მყუდროების დარღვევა; ყველაფერ ამას ზედ ემატება ღორების თარეში და ის გარემოებაც, რომ განუწყვეტლივ აქცევენ ბინძურ წყალს ქუჩაში, რის გამოც, განსაკუთრებით ზაფხულის განმავლობაში სდგას საშინელი სუნი და მოსალოდნელია რაიმე სენის გაჩენაც ამ ნიადაგზე.

საშიშია, რომ თავაზიანად ვინმეს კანონიერი შენიშვნა მისცე. მაშინვე აგიკლებენ ლანძღვა-გინებით და შეიძლება რაიმე ხიფათსაც გადაატყდე.

ერთი სიტყვით აქ ხალხი იმდენათ აშვებულია, რომ საჭიროდაც არ სთვლის არავისთან რაიმე პასუხისმგებლობას და მეტად თავგასულია.

მეეზოვეები ყოველივე ამას სთვლიან ჩვეულებრივ მოვლენათ ან და რას გახდებიან.

საჭიროა მშრომელი ხალხის ინტერესები მტკიცედ დაცული იქნეს და აქაც დაარსდეს საგუშაგო ერთი მილიციით.

მაყურებელი.

გამოგზავნილი წერილებიდან

(ქ. სამტრედიის აღმასკომის და დამზღვევ სალაროს გამგის საყურადღებოთ)

— **რატომ არ არიან დაზღვეულნი ეს მუშები.** მიუხედავად იმისა, რომ მუშა-მოსამსახურეთა დაზღვევა სავალდებულოა ყველა დამქირავებლებისათვის, ზოგიერთი დაწესებულებები მაინც არ ატარებენ ამას ცხოვრებაში. ავიღოთ მაგალითისათვის ქ. სამტრედიის აღმასკომი. მის განკარგულებაში მყოფი 3 მუშა, რომლებიც მწვანე ბაზარზე მუშაობენ ერთი მწონავად და ორი ხარჯთ-ამკრეფად, დღემდის არ არიან დაზღვეულნი. ავადმყოფობის დროს საექიმო დახმარებას მოკლებულნი არიან. ვინ უნდა მოაგვაროს ეს საქმე?

მცოდნეთაგანი.

— **ამ დიდ საქმეს ნუ დატოვებთ ყურადღების გარეშე.** ზოგიერთი მუშაკების ხელში დადგენილებები, დებულებები და სხ. მხოლოდ ქაღალდზე რჩება, რასაც უნდა ვებრძოლოთ სასტიკად. ქ. სამტრედიის და საჯევახოს შუა, მდინარე რიონზე ახალი რკინისგზის მშენებლობის საქმეში 600-ზე მეტი მუშა მუშაობს. მაშინ, როდესაც საშუამავლო ბიურო სავსეა კავშირის წევრებით, აქ ნახევარზე მეტი მუშაობს არა კავშირის წევრი. ეს ხდება იმიტომ, რომ დაწყებული დაბალი თანამდებობის პირიდან და გათავებული მაღალ თანამდებობით ყველას აქვს უფლება ამა თუ იმ სამუშაოზე მუშის მიღებისა, რაც სწორე არ არის და უმუშევარ კავშირის წევრთა შორის იწვევს სამართლიან უკმაყოფილებას. აქ ბევრი ჩარჩ-სპეკულიანტები და ფულის გამფლანგველები ბუდობენ.

საჭიროა ყურადღების მიქცევა.

დროა ადგილკომმაც ცხოვრებაში გაატაროს კოლექტიური ხელშეკრულება, რათა კავშირის წევრი უმუშევრები და აიჩაგრონ.

ი. ჭანავა.

ქრონიკა

გერმანიის ახალი კონსულის ჩამოსვლა

გუშინ თბილისში ჩამოვიდა გერმანიის ახალი გენერალური კონსული თბილისში ბ-ნი გეშკე.

დღეს ბ. გეშკეს მიიღებს ამიერ-კავკასიის მთავრობის თავმჯდომარე ამხ. **მამია ორახელაშვილი.**

ს. მ. უ. საბჭოში

საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით, ლითონის ტრესტის მმართველად დაინიშნა ამხ. ავატკოვი, ტყავის ტრესტის მმართველად ინიშნება ამხ. **პოლოხოვი.**

მეტეოროლოგიური გამოკვლევა

ახლო მომავალში საქართველოს გეოფიზიკური ობსერვატორია იწყობს ზონდებით დაკვირვებებს; ამ მიზნით ობსერვატორია გაუშვებს ჰაერში სპეციალურ იარაღებს. ობსერვატორია სთხოვს მოქალაქეებს, თუ ვინიცობაა იპოვნიან ასეთს იარაღს, მიიტანონ უახლოეს სამილიციო სამმართველოში. იარაღის მპოვნელს და სამმართველოში მომტანს ობსერვატორია მისცემს გასამრჯელოს.

თბ. აღმასკომში

— **სახლი მუშებისათვის.** ქალაქის აღმასკომის უძრავ ქონებათა განყოფილებამ ა. კ. რკინის გზათა სამმართველოს მისცა იჯარით 49 წლის ვადით, თავისუფალი ბინა ორჯონიკიძის ქუჩაზე. რკინის გზის სამმართველოს განზრახული აქვს ააშენოს იქ სახლი მუშებისათვის.

— **კლიმატოლოგიური მასალები.** თბილისის აღმასკომის სტატისტიკურმა განყოფილებამ გამოსცა და ამ დღეებში გამოვა ბაზარზე გასასყიდათ, თბილისის ობსერვატორიის ადიუნქტის კოჩერგინის გამოკვლევა: „თბილისისა და მისი მაზრის კლიმატოლოგიური მასალები".

— **ფეხბურთელთა გუნდი.** საბჭოთა და სავაჭროთა მუშაკების ადგილკომის მეთაურობით, თბილისის აღმასკომთან დაარსებულ ფეხბურთელთა გუნდში ჩაწერილია 15 კაცი.

— **კვალიფიკაციის შემოწმება.** აღმასკომის განათლების განყოფილებამ გამოიმუშავა პედაგოგიურ სამსახურში მისაღებ პირთა კვალიფიკაციის შესამოწმებელი დებულება. განზრახულია ცოდნის შემოწმება საზოგადოებათმეცნიერებაში ბუნებისმეტყველებაში, ქართულ და რუსულ ენებში. შემმოწმებელი კომისია მუშაობას დაიწყებს 20 აგვისტოდან.

სხვადასხვა

— **აბრეშუმის ფაბრიკები.** ხონის, სამტრედიის და ოზურგეთის აბრეშუმის ფაბრიკებში იმუშავებს 600 მუშა და მუშა ქალები.

— **საფინანსო კურსები.** ფინსახკომთან არსებულ საფინანსო კურსებზე მსმენელთა მიღება უკვე დაიწყო და გაგრძელდება 5 სექტემბრამდე; ვისაც დამთავრებული აქვს ტეხნიკუმი ან ცხრაწლედი კურსებზე მიღებული იქნება უგამოცდელოთ.

კრებები და მოხსენებები

— **განათლების მუშაკთა სახლში.** შაბათს, 7 აგვისტოს, საღამოს 7 საათზე შესდგება განათლების მუშაკთა ტეხნიკური პერსონალის კრება.

— **უმუშევართა კრება.** შაბათს, საღამოს 7 საათზე პროფსაბჭოს დიდ დარბაზში შესდგება საბჭ. სავაჭრო მუშაკების უმუშევარ წევრთა კრება.

შემთხვევები

როგორ მოხდა 26 კომუნარის სახელობის მექანიკურ ქარხნის გაქურდვა

31 ივლისს ღამის 3 საათზე სისხლის სამართლის მილიციას აცნობეს, რომ გაცარცულია ლითონ-ტრესტის „26 კომუნარის სახელობის მექანიკური ქარხანა".

სისხლის სამართლის სამძებრო მილიციის მიერ დაუყონებლივ იქნა მიღებული ზომები და იმავე ღამეს დააპატიმრეს სამი დღის წინ ქარხნიდან დათხოვნილი მუშა **მიხ. მალაევსკი,** რომელსაც აღმოაჩნდა ნაქურდალი საქონელი: საბეჭდავი მანქანა, მატორის ასამუშავებელი ღვედი 8 მეტრის სიგრძის, რკინის საჭრელი ხერხი, შვედური გასაღები, კბილებიანი ვაზი, ფარდა და სხვა, ღირებული სულ 800 მანეთამდე.

დაპატიმრებული ქურდობაში გამოტყდა. ქარხანა შემდეგნაირად გაუქურდავს:

31 ივლისს შაბათს მალაევსკი მისულა ქარხანაში ქურდობის მიზნით. მუშაობის დამთავრებისა იგი დამალულია ქარხანაში ისე, რომ ვერავის დაუნახავს და ამ გვარათ დაუკეტათ ქარხანა.

ღამით მას შეუგროვებია ყველა ჩამოთვლილი ნივთები და შეუხვევია ერთად ფარდაში, გაუღია სამჭედლო, რომლის ფანჯარა გამოდის საბჭოს ქუჩაზე, გაუჭრია ფანჯარაზე გაკეთებული ბადე და მიმალულა.

მხეცური მკვლელობა

ქუთაისში მეფურნემ პავლე თევდორაძემ მოჰკლა თავისი ავადმყოფი 18 წლის ქალიშვილი. მკვლელობის მიზეზი ყოფილა—ქალიშვილის მეძავი ავადმყოფობა, რამაც მამა მისი გააღარიბა. მკვლელობის შემდეგ თევდორაძე მიიმალა, მაგრამ შეპყრობილი იქნა მილიციის მიერ: თევდორაძემ აღიარა დანაშაული.

დახრჩობა

ბათომის აღმშენებელთა კავშირის მდივნის მოადგილე დიმიტრი იზოშვილი დაიხრჩო ზღვაში ბანაობის დროს. იზოშვილის გვამი იპოვეს.

გამფლანგველის დაპატიმრება

სისხლის სამართლის მილიციის თანამშრომლებმა შეიპყრო მოქ. **სულხანოვი,** რომელსაც ბრალდება 2.000 მან. გაფლანგვა და მთელ რიგ ბოროტმოქმედების ჩადენა.

სულხანოვმა თავი სცნო დამნაშავეთ 1650 მან. გაფლანგვაში, ხოლო აფერისტობაში კი არა.

— დაპატიმრებულია კოოპერატივ „ბოეც"-ის სასადილოს (№ 5) გამგე **ბაუმანი,** რომელსაც ბრალდება 300 მან. მითვისება და გაფლანგვა.

— **სახელოსნოს გაქურდვა.** 4 აგვისტოს ბოროტმოქმედებმა გაქურდეს მოქ. ნ. ესაკიას სახელოსნო (განოვის ქ. № 10), საიდანაც წაღებულია 300 მან. ღირებული სხვადასხვა საქონელი.

ხელოვნება

სიმფონიური ორკესტრი მუშათა კლუბებში

მე-6 სიმფონიურ კონცერტზე საბჭოთა მუშა-მოსამსახურეების კლუბში შესრულებული იქნა ჩაიკოვსკის ნაწარმოებნი. კონცერტის უმთავრეს ნომერს წარმოადგენდა მე-4 სიმფონია. ამ სიმფონიის შესრულება არ შეიძლება ჩაითვალოს მხატვრულად. რა თქმა უნდა ტეხნიკურად იგი შესრულებული იქნა უნაკლოთ, მაგრამ ეს საკმარისი არაა. ჩაიკოვსკის სიმფონიაში მოცემულია ღრმა იდეური შინაარსი და იგი შესრულებული უნდა იქნას მკაფიო ხმოვანი დინამიკით და ტემპერამენტით.

სიმფონიის პირველი და უკანასკნელი ნაწილი საკმარისი სიცხადით არ ყოფილა შესრულებული. გარდა ამისა ტემპი (განსაკუთრებით პირველ ნაწილში) უნდა იცვლებოდეს მუსიკალურ შინაარსის მიხედვით. კარგად იქნა შესრულებული მეორე და მესამე ნაწილი.

შემდეგ ორკესტრმა შეასრულა ჩაიკოვსკის საუცხოვო უვერტიურა-ფანტაზია შექსპირის დრამისა „რომეო და ჯულიეტა"-დან.

მშვენივრად შეასრულა ჩაიკოვსკის ნაწარმოები სკრიპკაზე ახალგაზრდა არტისტმა იაკობ ბროდსკიმ.

ჰ. ბ.

კომპოზიტორი ქალი—ბ. ამირეჯიბი

ფართო საზოგადოება ჯერ კიდევ უშუალოდ ვერ იცნობს ბარბალე ამირეჯიბის შემოქმედებას. იგი ფრიად ნიჭიერი მუსიკოსია და კიდევ უფრო ნიჭიერი კომპოზიტორი. ბარბალე ამირეჯიბმა შესძინა მუსიკალურ ხელოვნებას მთელი რიგი ნაწარმოებებისა საფორტეპიანო ლიტერატურიდან. ამ ნაწარმოებებს შეუძლია დაიკავოს თვალსაჩინო ადგილი საკომპოზიტორო შემოქმედებაში. ბარბალე ამირეჯიბის ნაწარმოებს ახასიათებს შინაარსის გარკვეულობა და ლამაზი მელოდია. მისი ნაწარმოები სავსებით აკმაყოფილებს კომპოზიციის თეორიის მოთხოვნილებას. ეს ნაწარმოები ძვირფას განძს წარმოადგენენ თანამედროვე სამუსიკო ხელოვნებაში.

ავტორი შეუდგა თავის ნაწარმოებების გამოცემას. აღსანიშნავია სიუიტა, პრელიუდიები, ნოკტიურნები, ეტიუდები და რომანსები, რომლებიც დაწერილი არიან აღმოსავლეთური სტილით და ქართული ტექსტით. ბარბალე ამირეჯიბმა დაამთავრა თბილისის მუსიკალური სასწავლებელი პროფესორ მოტკოვსკის კლასში და შემდეგ გააგრძელა ცოდნა მოსკოვში ცნობილ საფრონოვთან. იქ დაასრულა კონსერვატორია ლაურეატის ხარისხით. ამჟამად ამირეჯიბი მასწავლებლობს თბილისის სამუსიკო ტეხნიკუმში.

მუსიკოსი.

ხელოვნების ქრონიკა

— **აკაკი წერეთლის ნაწერების მეორე ტომი.** დაიბეჭდა და ამ დღეებში გამოვა გასასყიდათ აკაკი წერეთლის თხზულებათა მეორე ტომი, გამოცემა სახელგამის.

— **ახალი ჟურნალი.** იბეჭდება და ახლო ხანში გამოვა პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის ქუთაისის განყოფილების ყოველთვიური სალიტერატურო ჟურნალი „რიონი".

— **ან. დოლიძის წიგნი.** სახელგამმა გამოსცა ანდრო დოლიძის მოთხრობების კრებული: „შავი წარსული".

აგრო-ცოდნის გავრცელება

მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის მიერ 13 მაზრიდან მიღებულ ცნობების თანახმად, ამ მაზრებში ა. წ. აპრილის 1-დან ივლისის 1-მდე მოსახლეობაში აგრო-ცოდნის გავრცელების საქმე შემდეგი ციფრებით ხასიათდება.

გაიმართა 173 სოფელში 655 სხვადასხვა საუბარი, რასაც დაესწრო 16.863 მსმენელი—16.555 მამაკაცი და 308 დედაკაცი. წაკითხულ იქნა სხვადასხვა ადგილას (სოფლად და ქალაქად) 40 ლექცია, დამსწრეთა რიცხვი—3.785, აქედან 3.505 მამაკაცი და 280 დედაკაცი.

მოკლევადიანი კურსები გამართული იყო 3, მსმენელთა საერთო რიცხვი—149, აქედან—113 მამაკაცი და 36 დედაკაცი.

უფასოთ დაურიგდა გლეხობას 524 სხვადასხვა პოპულიარული ბროშიურა.

სასოფლო-სამ. მუზეუმი

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო მუზეუმის მნახველთა რაოდენობა ა. წ. აპრილის 1-დან ივლისის 1-მდე უდრიდა 1.700 კაცს, აქედან: 60 პროც. ადგილობრივ სასწავლებელთა მოწაფენი, 30 პროც. წითელარმიელები, 5 პრ. უკრაინიდან, ადერბეიჯანიდან, სომხეთიდან და სხვა საბჭოთა რესპუბლიკებიდან მოსულნი.

ა.კ. სასოფლო-სამეურნეო გამოფენისათვის სასოფლო-სამეურნეო მუზეუმმა დაამზადა საქართველოს სოფლის მეურნეობის დამახასიათებელი 500 ექსპონატი.

რკინის გზებზე

ვაგონები და ორთქლმავალი სპარსეთისათვის

თანახმად ხელშეკრულებისა, გუშინ ა. კ. რკ. გზებმა გადასცეს სპარსეთს სამი საკლასო ვაგონი და ორი ორთქლმავალი, შეკეთებული თბილისის მთავარ სახელოსნოებში. ვაგონებიდან 2—რბილია და ერთიც სალონ-ვაგონია.

ვაგონები და ორთქლმავალი გუშინ გაიგზავნა ჯულფაში.

პურის შემოტანის ნორმა

გადაზიდვის კომიტეტის გამოანგარიშებით 1926—27 წელს ამიერ-კავკასიაში შემოტანილი იქნება 16 მილიონი ფუთი პური.

მალე გასაფუჭებელი საქონლის გადაზიდვა

გადაზიდვის კომიტეტის ცნობით მალე გასაფუჭებელი საქონელი რკინისგზაზე მიმდინარე წლის მეოთხედში უზრუნველყოფილია როგორც გადაზიდვის საშუალებებით, ისე ყინულით.

საფოსტო საქმე

მიზნობრივი გადასახადი რადიო-ნაწარმოებზე

ფოსტა - ტელეგრაფის სახალხო კომისარიატმა პირველი აგვისტოდან შემოიღო მიზნობრივი გადასახადი რადიო - ნაწარმოებზე. მიზნობრივი გადასახადი ეხება ყოველგვარ რადიო - ნაწარმოებს, რომლებსაც ამზადებენ ქარხნები, სახელოსნოები, შინა-მრეწველები და სხვა. გადასახადი არ ეხება რადიოს გადამცემ აპარატებს.

ამანათები სოლოვეცის კუნძულებზე

ფოსტა - ტელეგრაფის სახალხო კომისარიატმა განაახლა ამანათების მიღება - გაგზავნა სოლოვეცის კუნძულებზე.

ესპერანტო

იმ ქვეყნების სია, სადაც შეიძლება დეპეშების გაგზავნა საერთაშორისო ენა — ესპერანტოზე, შევსებულია შემდეგი ქვეყნებით: საბერძნეთი, შვეიცარია, ეგვიპტე, ტუნისი, მაროკო და პორტუგალიის კოლონიები.

ამანათები უცხოეთიდან

ფოსტა - ტელეგრაფის სახალხო კომისარიატმა შესწყვიტა უბაჟო და დაკლებულ ფასიან ამანათების მიღება უცხოეთიდან.

სასამართლო

ცილისწამება

ვასილ გრიგორიანცი ძლიერ დაახლოებული იყო ნინო თ-თან.

ნინო ყოველთვის ემუდარებოდა გრიგორიანცს შეერთო ის ცოლად, გრიგორიანცი კი უპასუხებდა—„ცოტა კიდევ დაიცადეო".

ქალის მშობლები ვასილს სიძესავით უყურებდენ და თითებზე ითვლიდენ დღეებს, როდის ეღირსებოდნენ ქალიშვილის „გაბედნიერებას".

ის იყო ნიშნობა უნდა მოეწყოთ, რომ გრიგორიანცი ქუთაისში წავიდა. მან აღუთქვა ნინოს, რომ წერილებს ხშირ-ხშირად მისწერდა. გადის ხანი და დაპირება დაპირებათ რჩება.

გავიდა ხანი. გრიგორიანცი და ნინო ისევ შეხვდენ ერთმანეთს.

გრიგორიანცმა განუცხადა ქალს, რომ მას ძველი გრძნობის არაფერი შერჩენია.

მაშ, დამაცადე შენ არამზადავ, ქალი არ ვიყო, თუ შეგარჩინო—უპასუხა ბრაზმორეულმა ნინომ.

ნინომ გადასწყვიტა შური ეძია. მან შეიტანა სასამართლოში განცხადება, რომელშიაც აღნიშნავდა, რომ გრიგორიანცს უნდოდა მისი მოწამვლა და ამ მიზნით საწამლავი ჩაუყარა საჭმელში.

სახალხო სასამართლოში გამოირკვა ამ ბრალდების უსაფუძვლობა.

გრიგორიანცმა პასუხისგებაში მისცა ნინო ცილის წამებისათვის.

სასამართლომ ნინოს მიუსაჯა 6 თვის პირობითი სასჯელი და გამოსაცდელათ დაუნიშნა სამი წლის ვადა.

ნარევი

პრინცი კონტრაბანდისტი

საფრანგეთ-გერმანიის საზღვარზე დააკავეს კონტრაბანდისტი, რომელსაც დიდი რაოდენობით გადაჰქონდა მორფი, კოკაინი და სხ. ნარკოტიული ნივთიერებანი. „კელნის გაზ." ცნობით ის აღმოჩნდა ბურბონთა ყოფ. სამეფო გვარეულობის შთამომავალი პრინცი ლუი. პრინცი-კონტრაბანდისტი გადაგზავნეს პარიზში, სადაც მან რამდენიმე დღე დაჰყო საპატიმროში, რის შემდეგ განთავისუფლებულ იქნა მისი დის—ესპანეთის დედოფლის თხოვნით.

ბავშვების დაღუპვა

კალიფორნიაში, ქ. სანტა-როზას ახლოს, ტრაღიკულ შემთხვევას ჰქონდა ადგილი: დაინგრა „თავისუფლების" ძეგლი, რომელიც ქალაქის პარკში იყო დადგმული. ძეგლი 2.000 ფ. იწონიდა. ნანგრევებს ქვეშ მოჰყვა 65 ბავშვი, რომლებიც ძეგლს ქვეშ თამაშობდენ და 12 მოზრდილი.

ფულების გატაცება ჰაეროპლანით

ნიუ-იორკის ქალაქის ბანკიდან გაიტაცეს დიდძალი ფული, მძარცველები დაჯდენ ჰაეროპლანში და გაფრინდენ თავიანთი ნადავლით. პოლიციელები ჰაეროპლანებით გამოუდგენ მათ. ნიუ-იორკის მცხოვრებლები შეიქნენ საჰაერო ბრძოლის მოწამე: ჰაეროპლანი მძარცველებით დაზიანდა და ჩამოვარდა. მძარცველები, რომელთა შორის ერთი ამერიკის არმიის სავიაციო რაზმის თვალსაჩინო მუშაკი აღმოჩნდა, დაიღუპენ.

ახალი ქვეყანა

ინგლისელმა მფრინავმა კინგსბეიმ, რომელსაც ჰაეროპლანი გაუფუჭდა სამხრეთ-აფრიკაზე გადაფრენის დროს, აღმოაჩინა ახალი, სრულიად გამოუკვლეველი ქვეყანა. გაზ. „ჰერალდ"-ის ცნობით, ეს ქვეყანა წარმოადგენს მეტად ნაყოფიერ ველს ტროპიკული მცენარეულობით. კინგსბეიმ აღმოაჩინა იქ ძველი, ჯერ უცნობი ცივილიზაციის ნაშთები, ქვის ქალაქების ნანგრევები და სხვა.

ჰაბსბურგებმა ლიბერალური პროფესია აირჩიეს

ჰაბსბურგების ყოფ. სამეფო გვარეულობის ერთ-ერთმა წევრმა, სარაევოში მოკლულ ერცჰერცოგის ფერდინანდის შვილმა, ახლახან ჩააბარა გამოცდები გრაცის (ავსტრია) უნივერსიტეტში იურისტის ხარისხის მისაღებათ. მისი ძმა აგრონომიულ ინსტიტუტში სწავლობს ქ. ბრუკში.

წყალდიდობა ჩილიში

ჩილიში დიდი წყალდიდობაა. ჩილის სატახტო ქალაქი სანტ-იაგო მოწყვეტილია დანარჩენ ტერიტორიას. ფოსტა-ტელეგრაფის შენობა და პრეზიდენტის სასახლე წყალმა დაანგრია. მთავრობას ცალკე რაიონებთან კავშირი აქვს რადიოს საშუალებით.

ბანკების დაცვა

„ნიუ-იორკ-ტაიმს"-ის ცნობით, შეერთებულ შტატების ყველა დიდ ბანკებში მცველები შეიარაღებული არიან ბალონებით, რომლებიც მხრჩოლავი გაზებით არის სავსე.

მეცნიერება და ტეხნიკა

უდიდესი ანგარი

ტემპელგოფში (ბერლინის გარეუბანი) დაამთავრეს აგება უდიდესი ანგარის (აეროპლანების სადგომი), სადაც შეიძლება ასამდი აეროპლანის მოთავსება. ანგარის სიგრძე უდრის 208 მეტრს, განი—30 მეტს. მოფრენილ აეროპლანებისათვის ნიშნების მისაცემად ანგართან მოწყობილია პროჟექტორი, რომელიც 250 მილიონი სანთლის ძალის სინათლეს იძლევა. პროჟექტორის მოქმედების რადიუსი 75 კილომეტრს უდრის. ღამით —აეროპლანების გაფრენის ან დაშვების დროს, მთელი მოედანი ანგარის წინ განათებული იქნება 7 დიდი ელექტრონული ლამპით—„მზეებით" და ამრიგად, როგორც აფრენა, ისე დაშვება შესაძლებელია უხიფათოდ მოხდეს. გარდა ამისა, სახიფათო ადგილები შეღებილია თეთრ-წითელ ფერათ, რომლის დანახვა ძლიერ ადვილია დღისით ფრენის დროს. ღამით კი ეს ადგილები განათებულია წითელი ელექტრონული ლამპებით.

ტემპელგოფში ყოველდღიურად იღებენ და ისტუმრებენ 70 აეროპლანს.

ხელოვნური ვიტამინები

გერმანული გაზეთები იუწყებიან, რომ სამმა ლეიპციგელმა მეცნიერმა აღმოაჩინა ხელოვნური ვიტამინების დამზადების საშუალება. ამ აღმოჩენას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, რადგან საჭმელი, რომელიც არ შეიცავს, ან მცირე რაოდენობით შეიცავს ვიტამინებს, იწვევს რახიტს. ლეიპციგელმა მეცნიერებმა არა მარტო გამოარკვიეს ვიტამინების ქიმიური შემადგენლობა, არამედ მათი წარმოშობის მეთოდებიც.

ხელოვნური კატასტროფები

სექტემბრის პირველ რიცხვებში ამსტერდამში (ჰოლანდია) შესდგება მშველელ და უბედურ შემთხვევების დროს პირველი დახმარების აღმომჩენ საზოგადოებათა საში კონგრესი.

კონგრესებთან დაკავშირებით მოეწყობა ორი ხელოვნური უბედური შემთხვევა პირველი საექიმო დახმარების მეთოდების ჩვენებით. ამსტერდამის ახლო მოაწყობენ მატარებლის გადავარდნას ლიანდაგიდან. მეორე ასეთი „უბედური შემთხვევა" მოეწყობა ზღვაზე, როტერდამის ახლო. გაიმართება კონკურსი და პირველი საექიმო დახმარების აღმოჩენის საუკეთესო წესისათვის გაცემული იქნება ჯილდო.

„ჩიტის რძე" და მისი თვისებები

ხალხურმა გამოთქმამ—„ჩიტის რძეც კი არ აკლდათო" დიდი ხანია უკვე მიიპყრო მეცნიერების ყურადღება. დაკვირვებებით დამტკიცდა, რომ მას შემდეგ, რაც კვერცხებიდან გამოიჩეკება ბარტყები, რომლებსაც ჯერ კიდევ არა აქვთ ჩვეულებრივი საკვების მონელების უნარი, განსაკუთრებული ჯირკვლები, რომლებიც მოთავსებულია მშობლების პირში, გამოყოფენ რძისებურ სითხეს. ეს სითხე ხელს უწყობს ამ საკვების გარბილებას და აქცევს მას საჭმლად —„ჩიტის რძეთ", რომელსაც ადვილათ იხელებენ ბარტყები. ამ გათხელებული ნივთიერებით კვებავენ ზოგიერთი ფრინველები თავიანთ ბარტყებს.

უკანასკნელმა გამოკვლევამ დაამტკიცა, რომ განსაზღვრული პერიოდის შემდეგ ფრინველების—მშობლების ჯირკვლები აღარ გამოყოფენ ამ რძისებური სითხეს და მათი კუჭის წვენის შემადგენლობა უბრუნდება ნორმას, ე. ი. შეიცავს მარილის სიმჟავეს 2½-დან 5%-ით. ეს სიმჟავე ძლიერ მავნებელია ბარტყებისათვის, მაგრამ სწორეთ ამ დროს მშობლები დენიან ბარტყებს ბუდეებიდან და აიძულებენ დამოუკიდებლათ იკვებონ.

დინოზავრის კვალი

კვინსლენდში (სამხ. ით-ავსტრალია) უძველესი დროის გეოლოგიურ ფენებში იპოვეს დინოზავრის მონათესავე ცხოველის—რეტოზავრის ძვლები.

ძვლების მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ რეტოზავრების სიგრძე 6 საჟენს უდრიდა.

სატელეფონო რეკორდი

სტოკჰოლმს (შვეცია) პირველი ადგილი უჭირავს მთელს მსოფლიოში ტელეფონის ქსელის განვითარებით. პირველ მაისისათვის სტოკჰოლმში ითვლებოდა 90.000 აბონენტი. სტოკჰოლმის მოსახლეობა შეადგენს 450.000. ამრიგათ 5 მცხოვრებზე ერთი ტელეფონის აპარატი მოდის.

წერილი რედაქ. მიმართ

ამხანაგო რედაქტორო!

„კომუნისტი"-ს № 174 სხვათა შორის წავიკითხე ერთი ცნობა, სადაც სწერია: „30 ივლისს, შესდგა თბილისის აღმასკომთან არსებულ კომისიის სხდომა, რომელსაც დავალებული აქვს თბილისის ქუჩების და მოედნების სახელების დარქმევა და გადარქმევა".

ამ კომისიის მუშაობასთან დაკავშირებით ზედმეტი არ იქნებოდა დარქმევა-გადარქმევის გარდა აღგვენიშნა ერთი, თუმცა წვრილმანი, მაგრამ მაინც საგულისხმო დაუდევრობა. მე ვლაპარაკობ ახალ წარწერების შესახებ, რომელნიც დღეს ამშვენებენ ჩვენი სასახელო ბელადების ან ხალხის წინაშე დამსახურებულ ძველი მოღვაწეების სახელებით ქუჩებს.

ძალიან ხშირად აქ დაუშვებელ შეცდომებს აქვს ადგილი. მაგალითად ყოფ. „გუდოვიჩის" და დღეს „დანიელ ჭონქაძის" სახელით წოდებულ ქუჩაზე თქვენ ნახავთ წარწერას: „დავით ჭონქაძის ქ." ყ. „კირკის" და ეხლა ჟორესის ქუჩაზე „უორრესის ქ." და სხვა. დაბაში ან სადმე მივარდნილ პროვინციალურ ქალაქშიაც კი დაუშვებელია ასეთი უვიცობა, მით უფრო მიუღებელია ის თბილისისათვის, რომლის აღმასკომს, რასაკვირველია, მოეპოვება ისეთი ძალები, რომელნიც ჟორესის და დანიელ ჭონქაძის გვარების ცოდნაში არ დაიბნევიან. ვფიქრობ, რომ ხსენებული კომისია, რომელზედაც გადმოგვცემს „კომუნისტი", მომავალში აღარ დაუშვებს ასეთ შეცდომას და ძველ „ცოდვებსაც" მალე გაასწორებს.

ამხანაგ. სალამით **მაქსიმელიშვილი.**

იურიდიული დახმარება

კითხვა

მე ვმსახურებდი წ. ჯარში 1924 წ. მაისიდან 1925 წ. ნოემბრამდე. უვადო შვებულების შემდეგ, როგორც აფთიაქის თანამშრომელი (ფარმაცევტი) მომცეს დროებითი ადგილი ერთ-ერთ საბჭოთა აფთიაქში ვინაიდან მუდმივი არ იყო. იქ ვმსახურებდი 1925 წ. 1-ლი დეკემბრიდან ამა წლის აპრილის 7 რიცხვამდე, შემდეგ ისევ დროებით თანამდებობაზე გადამიყვანეს ქალაქის 1-ლ სავადმყოფოს აფთიაქში (ყოფ. არამიანცის) და დღემდე ვმსახურებ დროებით ადგილზე (აგერ 4 თვეა). ამა წლის აპრილის 4-ს გავხდი ავათ და ვიწექი სავადმყოფოში 10 დღე. შემდეგ შეუდექი მუშაობას. სავადმყოფოს მთავარი ექიმი მეუბნება, რომ თქვენ, როგორც დროებითი მომუშავე, ეხლა მიგიღეთ სამსახურში (ე. ი. მე რომ მუშაობას შეუდექი ივლისის თვის 13-ს იქედან მითვლის სამსახურს სტაჟს.

გთხოვთ ახსნა-განმარტებას თუ როგორ პირობებშია დროებითი მომუშავე 1) რა უფლებებით სარგებლობს იგი ან რამდენ ხანს უნდა იმუშაოს, რომ მიეცეს მას მორიგი შვებულება, 2) ეკუთვნის თუ არა მას დაზღვევა. 3) შეუძლიან თუ არა დაითხოვონ იგი უმიზეზოდ და მის მაგივრად მოიწვიონ მის ადგილას ისევე დროებითი მომუშავე.

ვარ მედსანშრომის კავშირის წევრი (წიგნაკის № 5665).

დროებითი მომუშავე ვახ.

პასუხი

თანახმად შრომის კანონთა კოდექსის მუხ. 175-ისა, სოცდაზღვევა ვრცელდება ყველა დაქირავებით მომუშავე პირებზე (ამ შემთხვევაში თქვენზედაც) დამოუკიდებლად იმისა, თუ სად მუშაობს დაქირავებული,—სახელმწიფო, საზოგადო წამოწყება-დაწესებულებაში თუ კერძო პირთან და მიუხედავათ სამუშაოს ხასიათის სამუშაო დროის ხანგრძლივობის და ხელფასის გასწორების წესებისა.

შრომის კანონები და კოლექტიურ ხელშეკრულების ყველა პირობები თქვენზედაც, როგორც სხვებზე, რომელნიც მუშაობენ შტატის სამსახურზე (იხ. იქავე მუხ. 16)—ვრცელდება თანაბრად.

მორიგი შვებულების მიღების უფლება თქვენთვის წარმოიშვება მხოლოდ იმის შემდეგ, როდესაც თქვენ შეგისრულდებათ ხუთნახევარი თვე დღიდან თქვენი სამუშაოზე დაშვებისა. (იხ. იქავე მუ ხ.114).

უმიზეზოდ მუშა-მოსამსახურის დათხოვნა დაუშვებელია საერთო წესით.

პარტიული კალენდარი

მე-2-ე ქართ. მსრ. დივიზიის პოლიტგანყოფილება წინადადებას აძლევს [illegible] ლებულ ამხანაგებს, რომლებიც ჩარიცხულნი არიან დივიზიის, პოლიტგანყოფილების ცვალებადთა სიაში, გამოცხადდენ ა. წ. აგვისტოს 10, დილის 8 საათზე ხსენებულ დივიზიის შტაბში (ლუნაჩარსკის ქუჩა № 2) ცვალებად უფროსთა შემადგენლობის საერთო შეკრებაზე: 1) **ბახტაძე** ვასილი ნიკოლოზის ძე, 2) **სირაძე** გრიგორი ერმილეს ძე, 3) **ტყაბლაძე** პოლიექტ მეთოდის ძე, 4) **დათუაშვილი** ივანე ვლადიმირის ძე, 5) **უბირია** ევგენი ვასილის ძე, 6) **ნუცუბიძე** ვლადიმერ მიხეილის-ძე, 7) **თარხანოვი** გარეგინა პავლეს ძე.

პოლიტგანყოფილების უფროსი ბლუაშვილი.

საქ. კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის მე-3 რაიკომი იუწყება, რომ პარასკევს, 6 აგვისტოს, დილის 10 საათზე მე-3 რაიკომის შენობაში გაიმართება **მე-3 რაიკომის საორგანიზაციო თათბირი.**

დღის წესრიგი: 1. საფეიქრო-საპნის და ზეთის ტრესტის უჯრედის საორგანიზაციო კომისიის ანგარიში, 2. საპნის და ზეთის ქარხნის ფეიქართა საფაბრიკო კომიტეტის ფრაქციის ანგარიში, 3. ახალგ. ლენინურ კომკავშირის მე-3 სარაიონო ორგანიზაციის ზრდის მოწესრიგების შესახებ, 4. ქალაქის სასკოლოების უჯრედის მუშაობის გამოკვლევის შესახებ.

პარასკევს, 6 აგვისტოს საღამოს 5 საათზე, მუშ. კლუბის შენობაში სასახლის ქ. № 5, მოწვეულია ქალაქის რაიონის შემდეგი უჯრედების ჯგუფობრივი კრებები: 1. 2. 3. 4. 5. 6. 7. 8. 9. 10. 11. 12. 13. 14. 15. 16. 21. 43. 52. 54. 59. 60. 63. 67.

დღის წესრიგი: საკავშირო კომპარტიის ცეკას და ცენტრ. საკონტროლო კომისიის ივლისის პლენუმის შედეგების შესახებ. დანარჩენი უჯრედები იხილავენ ადგილობრივ საკითხებს.

საქ. კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომი წინადადებას აძლევს შემდეგი უჯრედების მდივნებს გამოცხადდნენ ქალაქის რაიკომის საგიტ.-საპროპაგ. განყოფილებაში 6—7 აგვისტომდე. №№ 5. 8. 13. 15. 16 24. 26. 32. 34. 36. 38. 39. 40. 42. 45. 46. 49. 54. 55. 56. 59. 60. 61. 63. 64.

ნორჩ პიონერთა თბილისის ბიურო ამით იტყობინება, რომ შაბათს, 7 აგვისტოს ს. პ. კ. საბჭოს დიდ შენობაში შესდგება თბილ. ორგანიზაციის **პიონერ-მუშაკთა საქალაქო თათბირი**

დასწრება ყველა ნ. პ. კოლექტივების ხელმძღვანელებისა, მათ თანაშემწეთა, ქ. ქ. უჯრედებთან არსებულ პიონერ-კომისიის წევრების, პიონერ-კოლექტივებში, პარტიისა და ქალთა ორგანიზაციის წარმომადგენელთა, რაიონების ყველა ფასიან მომუშავეთა (თავმჯდომარები, ინსტრუქტორები, ექიმები) და აგრეთვე ყველა ის კულტურული ძალების, რომელნიც ჩაბმულნი არიან პიონერ-მუშაობაში, დასწრება აუცილებელია დაუგვიანებლივ.

ალმშენებელთა პროფკავშირის საქართველოს ცენტრალური გამგეობა ღრმა მწუხარებას გამოსთქვამს კავშირის ც. გ. წევრის, ბათომის საოლქო განყოფილების პ | მგ. მდივნის

ამხ. დიმიტრი იზაშვილის

ქალ. ბათომში ა. წ. 2 აგვისტოს ნაშუადღევის 1-ლ საათზე ტრაღიკულად დაღუპვის გამო. ცხედრის გამოსვენება მოხდება ა. წ. 6 აგვისტოს საღამოს 5 საათ.—საკუთარ ბინიდან კათოლიკეთა ქ. № 15
ქვ. 3162

ედუკი ივანეს ასული კაკაბაძე, სარგის თავისი მეუღლით მარიამ ნიკოლოზის ასულით, არტემონ და დავით ნესტორისძენი კაკაბაძენი ამით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ კვირას, 8 აგვისტოს, ქუთაისში მთავარანგელოზის საკათედრო ეკლესიაში გადახდილ იქნება მათთვის ძვირფას

ნესტორ ნიკოლოზის ძე კაკაბაძის

გარდაცვალებიდან ორმოცს დღეზე წირვა და პანაშვიდი. ქვ. 3154

ღრმად დამწუხრებულნი: მეუღლე აკაკი პავლესძე კობახიძე, მშობლები: სპირიდონ ოქროპირისძე, ილენტია გლახას ასული და და თამარა სპირიდონის ასული კობერიძეები აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ 3 აგვისტოს გარდაიცვალა მათთვის ძვირთასი

ბაბილინა (კობერიძე) კობახიძისა

პანაშვიდი დღეს საღამოს 7 საათზე. დაკრძალვა წმ. ნინოს სასაფლაოზე. გამოსვენება შაბათს 7 აგვისტოს საღ. 4 საათზე ლენინის უბანი. ყურგანის ქუჩა საკ. სახლიდან. ქვ. 3164

პავლე პეტრესძე კობახიძე, პელაგია ლევანის ასული, რძალი ლილი ყარამანის ასული, შვილები: ვალერიან, დავითი და კონსტანტინე ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 3 აგვისტოს გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი რძალი

ბაბილინა სპირიდონის ასული
(კობერიძე) კობახიძისა

გამოსვენება შაბათს 7 აგვისტოს დილის 4 საათზე ლენინის უბანი კურგანის ქ. ქვ: 3164

საზაფხულო
აპოლო
(ბაღი „არტო", პლეხ. № 105).
საზაფხულო
ეთერი
(სახელმწ. ოპერის ბაღში)
ზოლეი
ნ. 1613 0—4

პრემიერა
„სამი თაობა"
ტ. მეიგამის მონაწილეობით
(სურათ „Обломки крушения"-ს გმირი)
ანონსი: ჩქარა საუკეთესო სურათი „მანდრენ"
საუკეთესო სურათი
„ზეინაბი და რამლიკა"
ნორმა ტოლმეჯის მონაწ.
ანონსი: ჩქარა საუკეთესო სურათი „შალიმატ"
მერი პიკფორდის მონაწილეობით
„ორი პრეტენდენტი"

ახალი მუშათა კლუბი
(სასახლის ქ. №, ყოფ. ქართული კლუბი)
დღეს, პარასკევს, 6 აგვისტოს
სიმფონიური კონცერტი
სანდრო ინაშვილის მონაწილეობით
პროგრამაში: ვაგნერი, ჩაიკოვსკი, მუსორგსკი და სხ.
კრედოს ოპ. „ოტელო"-დან და იგორის არიას ოპერიდან „თავადი იგორი" შეასრულებს სანდრო ინაშვილი.
ნ. 1641

გაზ. „კომუნისტი"-ს
ხელისმომწერთა საყურადღებოთ

გაზ. „კომუნისტი"-ს მთავარი კანტორა **დაბეჯითებით სთხოვს,** ხელისმომწერლებს, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც საჭირო მისამართებში ცვლილებების შეტანა ან სრულიად გამოცვლა, პროვინციის ხელისმომწერლებმა გამოგზავნონ ის მისამართი, რომლითაც გაზეთს იღებენ, ხოლო თბილისელებმა აუცილებლად წარმოადგინონ ის **ქვითარი (ან ქვითარის №-რი).** რომელიც მიღებული აქვთ „კომუნისტი"-ს კანტორიდან ხელის მოწერის დროს.

წინააღმდეგ შემთხვევაში ყოველგვარი კორესპონდენცია, მისამართებთან დაკავშირებული, უყურადღებოთ იქნება დატოვებული.

ხარჯების დასაფარავად, მისამართების შეცვლის მსურველები მოვალენი არიან წარმოადგინონ კანტორაში 25 კაპ.

მთავარი კანტორა

ელექტრონით და სინათლით
სამკურნალო
საწოლებით
მიხეილ გედევანიშვილის
სახელობის
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20
50—3

ექიმი
გ. ნ. ონანოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი, სქესობრივი სისუსტის ექიმობა
ავადმყოფების მიღება დილით 9 საათიდან 12 საათამდე, საღამოთ 5—8 ს-დე. ქალების 7—8 ს-დე.
განყოფ. ელისაბედის ქუჩა, № 3.

ექიმი ი. ი. გერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ მიხეილის შესახვევი, № 8.

ექიმი შუხმანი
სიფილისი, ვენერიული სნეულებანი და მათი შედეგები. მიღება დილის 7—8 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე. კ. ცეტკინის (ყოფ. ელისაბედის ქ. № 89
25—1

გაზ. „კომუნისტი"-ს

მთავარი კანტორა წინადადებას აძლევს ჭიათურის გამგე **გოგელიას,** ზუგდიდის კონტრაგენტ **რუდის** და სამტრედიის კონტრაგენტ **მ. წულაიას** გამოცხადდენ მთავარ კანტორაში აგვისტოს 5-მდე ანგარიშების შესადარებლად და გასასწორებლად.

0—1 გაზ. „კომუნისტი"-ს მთავარი კანტორა.

გაზ. „კომუნისტი"-ს რწმუნებულად
შორაპნის მაზრაში
ინიშნება
გიორგი გოგელია
რომელთანაც შეიძლება ხელისმოწერა გაზ. „კომუნისტზე", „მუშაზე" და „ახალი სოფელზე"
0—3 გაზ. „კომუნისტი"-ს მთავარი კანტორა

პირველ საამხანაგო საზოგადოება
„ტრანსპორტის"
თბილისის კანტორა
ამით აცხადებს, რომ ა. წ. 6 აგვისტოს დილის 10 საათზე, საწყობში № 1, მოლოკანის ქუჩ. № 48
აუქციონით გაიყიდება
საწყობში ქვითარებით მიბარებული მოუკითხავი საქონელი:
№№ 308530, 620710, 458227, 479740, 93707, 637795, 557707, 567637, 537987, 346768, 80165 და 80168—ქერის სოლოდი: (ячменный солод) ასანთი, ბოსტნეულის პიურე, პირის საპონი, საგალანტერიო და საკანცელარიო საქონელი, ოხრა და მუმია, ფეხსაცმელების შპილკები ხის, ხორბლის ფქვილი და სახურავი რკინა.
საქონლის დათვალიერება შეიძლება ყოველდღე ვაჭრობის დღემდე დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 2 ნახ. საათამდე.
ის პირი, რომელიც საჯარო ვაჭრობით იყიდის საქონელს, ვალდებულია დაუყოვნებლივ შეიტანოს საწინდარი არა ნაკლებ ნასყიდობის 50 პროც.-ისა, დანარჩენი კი უნდა იქნას შეტანილი არა უგვიანეს მეორე დღის 12 საათისა.
თანხის შეტანის დაგვიანების შემთხვევაში, საწინდარი გადაირაცხება მიბარებულ საქონლის დავალიანების დასაფარავად.
საზ. „ტრანსპორტის" თბილისის
ნ. 1643. კანტორის მმართველი—მ. ა. მუდრი.

გაზეთ
„კომუნისტის" „მუშა"-ს და „ახალი სოფლის"
რწმუნებულად ქ. ხაშურში და ბორჯომ-ბაკურიანის რაიონში ინიშნება
მათე გოგუაძე
რომელთანაც შეიძლება ზემოაღნიშნულ გაზეთებზე ხელის მოწერის მიღება.
გაზ. „კომუნისტი" „მუშა" და „ახალი სოფლის"
მთავარი კანტორები

მოწაფეთა საყურადღებოთ
გამოვიდა და იყიდება
ფ. ი. მიხალევსკის
„პოლიტიკური ეკონომიის დაწყებითი კურსი"
(ქართულ ენაზე)
მისამართი: გაზ. „კომუნისტის"-ს მთავარი კანტორა, რუსთველის პროსპექტი № 34
0—1

თბილისის ქალაქის ლომბარდი
(ლორის-მელიქოვის ქ. № 8) ამით აცხადებს, რომ კვირას, 8 აგვისტოს, დილის 11 საათზე დანიშნულია
საჯარო ვაჭრობა
ვადა გასულ გირაოებისა. გასასყიდი გირაოების ნომრები გამოცხადებულია ქალაქის ლომბარდში. ნ. 1642

ქ. თბილისის მე-3 რაიონ. სასამართლოს აღმასრულებელი ქ. ძამოევი

ამით აცხადებს, რომ 9 აგვისტოს 1926 წ. დილის 12 საათზე სახლში № 60 კახეთის ქუჩაზე საჯარო ვაჭრობით გაყიდის მნაცაკანა, მარიამი და ელისაბედ პოლოსოვების უძრავ ქონებას: რომელიც შესდგება ორი სართულიან სახლისაგან. მიწა ზომით 510 კვ. საჟენი შეფასებულს 1500 მანეთად, და როგორც მეორე ვაჭრობა დაიწყება შეძლეულ ფასიდან კომუნბანკის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის მე-3 უბნის სახალხო სასამართლოსაგან 8 აპრილს 1926 წ. თარიღით, № 4024 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. მყიდველმა უნდა წარმოადგინოს მოწმობა თანახმად სამ. საპ. კოდ. 311 მუხლისა.

ქ. თბილისის 2-რე რაიონ. სასამართლოს აღმასრულებელი ლ. ს. სვიატოდუხოვი

ამით აცხადებს, რომ 9 აგვისტოს 1926 წ. დღით 2 საათზე სახლში № 14 აკიმოვის ქუჩაზე საჯარო ვაჭრობით გაყიდის შოლომ ბახანოვის მოძრავ ქონებას: ბინის მოწყობილებას შეფასებულს 277 მანეთად, კომუნალურ ბანკის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის მე-2 უბნ. სახალხო სასამართლოსაგან 30 ივნისს 1926 წ. თარიღით, № 2071 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა.
3151

ქ. თბილისის მე-3 რაიონ. სასამართლოს აღმასრულებელი ქ. ძამოევი

ამით აცხადებს, რომ 9 აგვისტოს 1926 წ. დილის 9 საათზე სახლში № 4 არღუთინის ქუჩაზე, საჯარო ვაჭრობით გაყიდის ისაკა შაბთოპელის უძრავ ქონებას: რომელიც შესდგება ნახევარ სახლის უფლებისა, ერთი სართულიანი სახლისა მიწა ზომით 19 ¾ კვ. საჟ. შეფასებულს 1060 მანეთად, და როგორც მეორე ვაჭრობა დაიწყება შეძლეულ ფასიდან. „ზაკგოსტორგის" ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის მე-3 უბ. სახალხო სასამართლოსაგან 15 ივლისს 1926 წ. თარიღით, № 2855 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. მყიდველმა უნდა წარმოადგინოს მოწმობა თანახმად სამ. სამ. საპ. კოდექსის 311 მუხლისა.
3150

ექიმი ა. ს. ფონ-ირტელი
მიხეილის პროსპექტი, № 10, (ვორონცოვის ხიდის მახლობლად, ყოფ. „ბო-მონდი").
გარდა საექიმო, სიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათა (სიმსივნეების ბუასილის, სქესობრივი სისუსტე, ტრიპერის) სპეციალისტი. ავადმყოფების მიღება დილის 8 საათიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე.

სურამი
ექიმი ნ. ა. ჯანდიერი
მიიღებს ავადმყოფებს შინაგან (ბავშვებს და დიდებს) და ქალთა სნეულებით.
ყოველდღე: დილით 2 საათამდის საღამოზედ 5 საათიდამ—7 საათამდის
მისამარ.: აგარაკი მეიერისა.

ექიმი
მეგრაბიანცი
ფილტვების, ჭლექის და გულის სნეულებანი
ციების საგანგებო მკურნალობა ელექტრო-შუქით და რენტგენის სამკურნალო კაბინეტში
სურათების გადაღება და რენტგენის სხივებით წამლობა. მიღება დილ. 9—1 და საღ. 5—8 საათ. ბებუთოვის ქუჩ., № 23, შაბათ-კვირაობით ავადმყოფები მიიღებიან გარაკ მანგლისში. 25—1

პროფ. ზ. მ. მუხაძე
ზაფხულში მიიღებს ქირურგიულ და უროლოგიურ ავადმყოფებს საღამოობით 6—7 საათამდე გარდა შაბათისა და კვირა დღისა. მისამართი პლეხანოვის პროსპ. № 58. ტელ. 5—77
25—1

პროფესორი
მ. წინამძღვრიშვილი
საზაფხულოდ გაემგზავრა ქალ. ბორჯომში 13—1

ექიმი ჯალალოვი
კანის და ვენერიული ავადმყოფობანი, სიფილისი.
შეშხაპუნება „914". ტრიპერის და მისი შედეგების წამლობა
ავადმყოფ. მიიღება დილ. 6 ნახ.—8 საათ., საღამოს 5-დან—9 საათამდე ქალები 12—2 საათ. დღის.
მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ვორონცოვის ყოფილი ძეგლის მახლობლად. 25—1

დაჰკარგა უვადო პასპორტი, გაცემული ხარკოვის მე-2 რაიონის მილიციის მიერ, ვენიამინ მარკოვს-ძე ხოდოვის სახელზე, ჩ. გ. 3148

დაჰკარგა მეტრიკული ამონაწერი № 110, პავლე ხიზანაშვილის სახელზე. ჩ. გ. 3147

დაჰკარგა კავშირის წიგნაკი № 11164, პოლიევქტო ივანეს-ძე კოკაიას სახელზე, ჩ. გ. 3152

დაჰკარგა პირადობის მოწმობა № 185 | 1338, პანტელეიმონ გვასალიას სახელზე, ჩ. გ. 3521

დაჰკარგა კავშირის წიგნაკი № 367, პირადი წიგნაკი 4, და პირადობის მოწმობა № 887 და სხვა მოწმობები დავით გიორგის-ძე თოთლაძეს სახელზე, ჩ. გ. 3152

დაჰკარგა საბჭოთა დაწესებულებ. და სავაჭრ. მუშაკ. კავშირის წიგნაკი № 8999, ქვითრებით და პირადობის მოწმობა თბილისის აღმასკომ. საფინგანის მიერ გაცემული ალექსანდრე დოლიძეს სახელზე, ჩ. გ. 3153

დაჰკარგა მეტრიკული ამონაწერი № 2456, არჩილ ივანეს-ძე მაჩაბელს სახელზე, ჩ. გ. 3155

დაჰკარგა სამხედრო ბეგარისაგან განთავისუფლების მოწმობა შალიკო დოლიძეს სახელზე, ჩ. გ. 3158

დაჰკარგა მეტრიკული ამონაწერი № 16902 ალექსანდრე ალექსის-ძე ჭანტურაიას სახელზე, ჩ. გ. 3157

დაჰკარგა პირადობის მოწმობა № 31 ნესტორ ი. სულაძის სახელზე, ჩ. გ. 3156

დაჰკარგა მეტრიკული მოწმობა № 2041 ნესტორ მარგალიტაძის სახელზე, ჩ. გ. 3161

დაიკარგა ქვითარი № 43623 თბილისის ქალაქის ლომბარდისა, ჩ. გ. 3160

დაჰკარგა პარტბილეთი № 494,060, გ. მგალობლიშვილის სახელზე, ჩ. გ. 3160

დაჰკარგა მეტრიკული ამონაწერი № 150 კონსტანტინე ჭავჭანიძის სახელზე, ჩ. გ. 3159

დაჰკარგა უვადო პასპორტი № 189 მიხეილ ბესარიონის-ძე შიშინიშვილის სახელზე, ჩ. გ. 3165

დაჰკარგა პასპორტი და მეტრიკული ამონაწერი გიორგი ოთხმეზურის სახელზე, ჩ. გ. 3163

დაჰკარგა მეტლეთა კავშირის საწევრო წიგნაკი № 38, მოცემული თელავის მეეტლეთა კავშირიდან და ცხენის სარეგისტრაციო ბარათი, მოცემული თელავის სამხედრო კომისარიატიდან შაქრო დავითის-ძე აბრამიშვილის სახელზე, ჩ. გ. ნ. 1644

დაჰკარგა პირადობის წიგნაკი № 86, მოცემული იყალთოს თემ აღმასკომიდან პართენ დავითის-ძე ზასუშვილის სახელზე; ჩ. გ. ნ. 1644

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სტამბა, კამოს ქუჩა, 68